

# გენდერული თანასწორობა საქართველოში:

## ბარიერები და რეკომენდაციები

---

განახლებული გამოცემა  
ნაწილი II



საქართველოს პარლამენტი



კვლევა მომზადდა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ. ინიციატივის მხარდამჭერები არიან: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) - გაეროს ერთობლივი პროგრამის “გენდერული თანასწორობისთვის” ფარგლებში, რომელიც ხორციელდება შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით; ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის ფინანსური ხელშეწყობით.

კვლევის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭო და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

### ავტორები:

ნინო ჯანაშია – გენდერის ექსპერტი

თავი 7: გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში;

თავი 8: გენდერული თანასწორობა სპორტის სფეროში;

თავი 9: გენდერული თანასწორობა კულტურის სფეროში;

თავი 10: ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება;

ანა ილურიძე – გენდერის ექსპერტი

თავი 5: გენდერული თანასწორობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში;

თავი 6: საზიანო პრაქტიკა;

ლიკა ჯალაღანიძე – გენდერის ექსპერტი

თავი 4: ქალთა ეკონომიკური გაძლიერება.

# სარჩევი

აბრევიატურები	6
წინასიტყვაობა	7
I. შემაჯამებელი მიმოხილვა	8
II. რეკომენდაციების ნუსხა	14
III. შესავალი	30
IV. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება	33
ა. ქალები და ეკონომიკა.....	33
ბ. ქალთა შრომითი უფლებები.....	36
ბ.1. სახელფასო თანასწორობა .....	38
ბ.2. ორსულ, ახალნამშობიარებ და მეძუძურ მშრომელთა უფლებები .....	40
ბ.3. მინიმალური ანაზღაურება.....	42
ბ.4. შრომის ინსპექციის მანდატი .....	44
გ. გენდერული თანასწორობა სოფლის მეურნეობაში.....	45
დ. COVID-19-ით გამოწვეული კანდემის გავლენა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე.....	47
V. გენდერული თანასწორობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	49
ა. საქსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების მისაწვდომობა .....	50
ბ. დედათა ჯანმრთელობა.....	52
გ. თანამედროვე კონტრაცეფციის შესახებ ინფორმაციის და მომსახურების მისაწვდომობა .....	53
დ. ორსულობის უსაფრთხო შეწყვეტის სერვისის მისაწვდომობა.....	54
ე. მოზარდთათვის საქსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებისა და განათლების მისაწვდომობა .....	54
ვ. საქსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მისაწვდომობა მოწყვლად ჯგუფებში .....	55
გ. სურობაცია და სურობატი დედაების უფლებრივი მდგომარეობა .....	57
თ. COVID-19-ით გამოწვეული კანდემის გავლენა გენდერულ თანასწორობაზე ჯანმრთელობის დაცვის სფეროში .....	58

<b>VI. საზიანო პრაქტიკა</b>	<b>61</b>
ა. იძულებითი, ადრეული და ბავშვთა ქორწინება და ქალთა გენიტალიების დასახიჩრება	61
ბ. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკა/ვაჭიშვილის ყოლისთვის უპირატესობის მინიჭება	64
გ. COVID-19 პანდემიის გავლენა საზიანო პრაქტიკაზე	65
<b>VII. გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში</b>	<b>66</b>
ა. განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ზოგადი საკანონმდებლო გარანტიები	69
ბ. საქსუალური და სხვა სახის შვიწროება განათლების სფეროში	70
გ. გენდერული დისბალანსი აკადემიურ პერსონალს შორის	71
დ. გენდერული თანასწორობა ეროვნულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში	73
ე. ასაკის შესაბამისი სწავლება რეკროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ	75
ვ. გომონათა სასკოლო დასწრება და ადრეული ქორწინების გამო სწავლის შეწყვეტა	76
ზ. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული სირთულეები განათლების სფეროში	78
<b>VIII. გენდერული თანასწორობა სპორტის სფეროში</b>	<b>80</b>
ა. ნორმატიული ჩარჩოსა და პოლიტიკის არარსებობა სპორტში გენდერული თანასწორობის შესახებ	81
ბ. სპორტის სფეროში გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და დამუშავება	84
გ. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული დამატებითი სირთულეები და მათი დაძლევის გზები სპორტის სფეროში	85
<b>IX. გენდერული თანასწორობა კულტურის სფეროში</b>	<b>87</b>
ა. გენდერული თანასწორობა კულტურის კანონმდებლობასა და პოლიტიკაში	89
ბ. გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და დამუშავება კულტურის სფეროში	92
გ. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული დამატებითი სირთულეები და მათი დაძლევის გზები კულტურის სფეროში	93
<b>X. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება</b>	<b>95</b>
ა. ქალთა მონაწილეობა კონფლიქტების პრევენციისა და მართვის პროცესებში	97
<b>ა.1. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ქალთა ჩართულობის დაბრკოლებები კონფლიქტების პრევენციისა და მართვის პროცესებში</b>	<b>100</b>
ბ. კონფლიქტების შედეგად დაზარალებული გოგონების და ქალების უსაფრთხოების დაცვა, სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უზრუნველყოფა	101
<b>ბ.1. უსაფრთხოება და ძალადობისგან დაცვა</b>	<b>102</b>
<b>ბ.2. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უზრუნველყოფა</b>	<b>104</b>
<b>ბ.3. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული გოგონების და ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება</b>	<b>105</b>
გ. საქართველოს პარლამენტის როლის გაძლიერება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის იმპლემენტაციაში	107
დ. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული დამატებითი სირთულეები და მათი დაძლევის გზები უსაფრთხოების, სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ძრილში	108

## აბრევიატურები

BPFA	პეკინის სამოქმედო პლატფორმა
CEDAW	გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია
CRC	გაეროს ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენცია
CRPD	გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის კონვენცია
ECHR	ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
FWCW	ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენცია (პეკინი)
GBR	ქართული დაბადების რეგისტრი
ICCPR	გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი
ICESCR	სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საერთაშორისო უფლებათა პაქტი
ICPD	კაიროს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენცია
SDG	მდგრადი განვითარების მიზნები
SRHR	სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებები
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
WHO	მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაცია
პაფ	პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება
სგპი	სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
სსპ	სისხლის სამართლის კოდექსი
მშპპ	მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი
მსო	მშრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

# წინასწორი

პუბლიკაცია „გენდერული თანასწორობა საქართველოში – ბარიერები და რეკომენდაციები“ წარმოადგენს ღირებულ დოკუმენტს არა მხოლოდ პარლამენტის საქმიანობისთვის, არამედ გენდერის საკითხზე მომუშავე ყველა ორგანიზაციისა და დაინტერესებული პირისთვის. ანგარიში შეიქმნა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ინიციატივით, მრავლისმომცველი თვისებრივი კვლევის საფუძველზე, რომელიც პირველად 2017 წელს ჩვენი პარტნიორი დონორების მხარდაჭერით ჩატარდა და წარმოადგენს სექტორში მოღვაწე ორგანიზაციებისა თუ ექსპერტების მთავარ მიგნებებსა და მოსაზრებებს საკანონმდებლო ჩარჩოსა და აღსრულებაში გენდერული პერსპექტივის უზრუნველყოფისათვის.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს როლიდან გამომდინარე, აღნიშნული პუბლიკაციის განახლებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ აქ გამოკვეთილ გამოწვევებს უნდა უპასუხოს საბჭომ და დასახოს შესაბამისი პრიორიტეტები სამომავლო საქმიანობისთვის. შესაბამისად, ანგარიშში წარმოდგენილია ექსპერტების მიერ დამუშავებული მონაცემები გენდერული თანასწორობის კუთხით ქვეყანაში არსებული უახლესი ტენდენციების და საკანონმდებლო ბარიერების შესახებ, შემოთავაზებულია გამოწვევების შესაძლო გადაჭრის გზები და როგორც მოკლევადიანი, აგრეთვე გრძელვადიანი პერსპექტივები კონკრეტული რეკომენდაციების შესრულებისათვის.

წინა ვერსიის მსგავსად, კვლევა ამჯერადაც ორი ნაწილისგან შედგება – პირველი ნაწილი მოიცავს ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორიცაა: გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმები, დისკრიმინაცია, ქალთა მიმართ ძალადობა, პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა და ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება, ასევე, გენდერული ბიუჯეტირება, გენდერული გავლენის შეფასება და გენდერული აუდიტი; მეორე ნაწილში კი გაერთიანდა ისეთი საკითხები, როგორიცაა: ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, შრომითი უფლებები, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, გენდერული თანასწორობა განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროებში. მიმდინარე წელს ანგარიშში დამატებულია 3 მნიშვნელოვანი მიმართულება, რაზეც პარლამენტი და გენდერული საბჭო აქტიურად მუშაობენ: გენდერული გავლენის ანალიზი, გენდერული ბიუჯეტირება და გენდერული აუდიტი.

კვლევის განახლების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები სახელმწიფო უწყებებისა და საკითხზე მომუშავე პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საკონსულტაციო შეხვედრების საფუძველზე გაიწერა განახლებული რეკომენდაციები, რომლებიც საჭიროებს როგორც მყისიერ რეაგირებას მოკლე ვადაში, აგრეთვე გრძელვადიან მიდგომას.

გვსურს, მადლობა გადავუხადოთ ჩვენს დონორ ორგანიზაციებსა და პროცესში ჩართულ ყველა მხარეს და ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე ანგარიში კვლავაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაში, სახელმწიფო მექანიზმების დახვეწისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, გენდერული მენისტრიმინგის ორგანულად ინტეგრირებაში.

**ნინო წილოსანი,**

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი  
საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე

# I. შემაჯავებელი მიმოხილვა

„გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები – განახლებული გამოცემა“ (ნაწილი II) ემსახურება 2017 წელს განხორციელებული ანალოგიური კვლევის შედეგად გენდერული თანასწორობის სფეროში მიღებული მიგნებების, გამოკვეთილი ხარვეზებისა და რეკომენდაციების გადახედვას. 2017 წლიდან დღემდე საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად კანონმდებლობასა თუ პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების სახით, რაც ასევე მოიცავდა, ქვეყნის მიერ საერთაშორისოდ ნაკისრ ვალდებულებათა იმპლემენტაციისთვის ზომების მიღებას. თუმცა კანონმდებლობაში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში კვლავ მნიშვნელოვანი ხარვეზები რჩება, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან სიღრმისეულ, კომპლექსურ და განგრძობით მუშაობას მოითხოვს. აღნიშნული ზომების დაუყოვნებელი მიღების საჭიროება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს COVID-19-ის პანდემიის კრიზისით გამოწვეული დამატებითი სირთულეების ფონზე, რომელმაც გამოიწვია უსაფრთხოების, სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის დაუყოვნებელი საჭიროებები მთელი მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

წინამდებარე კვლევა გამოყოფს კონკრეტულ მიმართულებებს, რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებს ცვლილებას გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბების კუთხით. ეს მიმართულებებია: ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, გენდერული თანასწორობა ჯანდაცვის სფეროში, საზიანო პრაქტიკები, გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში, გენდერული თანასწორობა სპორტისა და კულტურის სფეროში და ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება.

**ქალთა ეკონომიკური გაძლიერება.** საქართველოში განხორციელებული კვლევების მიხედვით, ქალთა ეკონომიკური მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი კვლავ ნარჩუნდება. საშინაო ვალდებულებები და რელევანტური სამუშაო ადგილების არარსებობა ხელს უშლის ქალებს, იმუშაონ სრულ განაკვეთზე. შესაბამისად, მათ უწევთ, დასაქმდნენ ნახევარ განაკვეთზე, რათა დააბალანსონ ისეთი საშინაო სამუშაო, როგორცაა სახლისა და ბავშვის



მოვლა და ოჯახზე ზრუნვის სხვა ვალდებულებები. საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სახელმწიფომ 2020 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა საქართველოს შრომის კოდექსში, რაც არსებითად მისასაღებელია, თუმცა რიგი გამოწვევები სახელმწიფოს ყურადღების მიღმა დარჩა, მათ შორის, დეკრეტული შვებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც შესაბამისი უწყებების მხრიდან დამატებითი ცვლილებების განხორციელებას საჭიროებს. საქართველოში ასევე მაღალია გენდერული სახელფასო სხვაობა. 2017 წლის სამუშაო ძალის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შესწორებული საათობრივი გენდერული სახელფასო სხვაობა 24.8 პროცენტი იყო, რაც ნიშნავს იმას, რომ ანაზღაურებადი შრომით დაკავებულ ქალებს შრომის ბაზრისთვის უკეთესი მახასიათებლები აქვთ და ნაკლებ ხელფასს იღებენ, ვიდრე დასაქმებული კაცები.

სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები ასევე არადადამაკმაყოფილებელია სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგონების საჭიროებებისა და ინტერესების უზრუნველყოფისთვის. აღნიშნული ზომები ვერ ახდენს სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგონების ეკონომიკურ გაძლიერებას, რადგანაც არ არის მხარდაჭერილი შესაბამისი ეფექტური მექანიზმებით, მათ შორის – არც ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში გენდერული ბიუჯეტირების განხორციელების ვალდებულებით. ამასთან, კვლავ სირთულეს წარმოადგენს აგროკრედიტების მოპოვება ქალების მიერ, რადგანაც ის ითვალისწინებს საკუთრებაში მიწისა და სხვა ქონების ფლობას, რაც ქალების შემთხვევაში იშვიათია.

COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ არსებითად დაამძიმა ქალთა ეკონომიკური მდგომარეობა, განსაკუთრებით კი მარტოხელა დედებისა და მრავალშვილიანებისთვის, სოფლად მცხოვრები და სოციალურად მოწყვლადი შინამეურნეობებისთვის. პანდემიის პირობებში განსაკუთრებით გაიზარდა ქალთა საშინაო შრომის მაჩვენებელი; ქალთა 42% აცხადებდა, რომ პანდემიამდე არსებულ სიტუაციასთან შედარებით, ისინი, მინიმუმ, ერთით მეტ საოჯახო საქმეს ასრულებენ, მაშინ როდესაც ამას კაცების მხოლოდ 35% ამბობს. საშინაო შრომის ტვირთი განსაკუთრებით გაიზარდა ბავშვიან ოჯახებში, რაც სკოლებისა და ბაღების დახურვამაც გამოიწვია.

**გენდერული თანასწორობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.** სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მისაწვდომობისათვის სახელმწიფოს მიერ რიგი პროგრესული ნაბიჯების გადადგმის მიუხედავად, კვლავ არსებობს სისტემური პრობლემები, რომელთა გადაჭრის გარეშე არ შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ყველას თანაბრად მიუწვდება ხელი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ისეთ ბაზისურ სერვისებზე, როგორებიცაა: დედათა ჯანმრთელობა, ოჯახის დაგეგმვა, კონტრაცეფცია, უსაფრთხო აბორტი და აბორტის შემდგომი მეტვალყურეობა.

დადებითად უნდა აღინიშნოს სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება, წინსვლა დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესების, მათ შორის, დედათა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის შემცირების და

ხელოვნური აბორტის ჯამური კოეფიციენტის შემცირების თვალსაზრისით. თუმცა, CO-VID-19 პანდემიის ფონზე თვალნათელია დედათა სიკვდილობის მომატება.<sup>1</sup>

სამწუხაროდ, კვლავ გამოწვევად რჩება ამ სფეროში საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან მისადაგებისთვის კანონებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება, აღსრულება და მონიტორინგი; დახარისხებული მონაცემების რეგულარულად შეგროვების უზრუნველყოფა; ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე და თანამედროვე კონტრაცეპტივებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა პირველადი ჯანდაცვის დონეზე უნივერსალური ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში; ასაკის შესაბამისი, სავალდებულო, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ კომპლექსური განათლების დანერგვა ქვეყნის მასშტაბით არსებულ ყველა სკოლაში; ჯანდაცვის სფეროში პერსონალური ინფორმაციისა და კონფიდენციალურობის დაცვის გაძლიერება; აბორტის სერვისებთან დაკავშირებული პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული წინააღმდეგობების მოხსნა; დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და და სუროგაციის სფეროს რეგულირება.

არსებული საკანონმდებლო ბაზა, ისევე როგორც სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები და პროგრამები ნაკლებად აღიარებს შშმ ქალებისა და გოგონების განსაკუთრებულ საჭიროებებს. დოკუმენტის მომზადებისას არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გამოიკვეთა, რომელიც დღეს შშმ ქალებსა და გოგონების დღის წესრიგში დგას, კერძოდ, სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება შშმ ქალთა და გოგონათა განსაკუთრებული საჭიროებებისა და განსაკუთრებული მოწყვლადობის აღიარება, უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და გონივრული მისადაგების ვალდებულების შეუსრულებლობის საკითხი, შშმ ქალებსა და გოგონებს არ აქვთ სრულყოფილი შესაძლებლობა, რომ სხვებთან თანაბრად ისარგებლონ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ყველა შესაძლო სერვისითა და საშუალებით. შესაბამისად, მისაწვდომობის სრულყოფილად უზრუნველყოფისთვის, მნიშვნელოვანია CRPD-ით აღიარებული ყველა კომპონენტი ადეკვატურად იყოს გაწერილი საკანონმდებლო ნორმებსა და პროგრამებში.

**საზიანო პრაქტიკები.** საზიანო პრაქტიკების შემცირებისა და აღმოფხვრის მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, საქართველოში კვლავ პრობლემაა ადრეულ ასაკში ბავშვთა ქორწინება. აღნიშნული გენდერულად და სოციალურად განსაზღვრული ფენომენია და უფრო მეტად აზიანებს მოწყვლად ჯგუფებს, კერძოდ, სოფლად მცხოვრებ, განათლების არმქონე და არადომინანტური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელ ქალებს.

მიუხედავად პრობლემის მასშტაბისა, არ არსებობს მავნე პრაქტიკების პრევენციის ეფექტური სისტემა, რომელიც წარმოუდგენელია რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ კომპლექსური განათლების სრულმასშტაბიანი დანერგვის არარსებობის პირობებში. ამასთან, პრობლემაა ადრეულ ასაკში ქორწინებისა და ნიშნობის უკვე მომხდარი შემთხვევების იდენტიფიცირება, შეტყობინება, რეფერირება და მართვა.

<sup>1</sup> ჯანმრთელობის დაცვა: სტატისტიკური ცნობარი 2020. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. <https://www.ncdc.ge/#/pages/file/3d9d1b31-4198-4127-90bb-41db1b80aa63>

გამოწვევას წარმოადგენს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკა და ის ფაქტი, რომ სხვა, საქართველოში ნაკლებად იდენტიფიცირებულ, საზიანო პრაქტიკების გავრცელების მასშტაბებზე ქვეყანაში არ არსებობს მტკიცებულებით გამყარებული მონაცემები.

**გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში.** საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებული წარმატებული რეფორმების მიუხედავად, განათლების დონე საქართველოში საკმაოდ დაბალია. არაერთი შეფასებით, საქართველოს განათლების სისტემა ვერ უზრუნველყოფს ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი უნარების სათანადოდ ჩამოყალიბებას.

კვლავ გამოწვევად რჩება განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ზოგადი საკანონმდებლო გარანტიების არარსებობა. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, არ მოიცავს ზოგადი განათლების სისტემის ფარგლებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ვალდებულებებს, ასეთი ვალდებულებები არც უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონშია განსაზღვრული. გარდა ამისა, კანონმდებლობაში არ არსებობს ჩანაწერი განათლების სექტორში სექსუალური შევიწროების შესახებ.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოწვევას წარმოადგენს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ კომპლექსური განათლების ინტეგრირება ფორმალური განათლების სისტემაში. მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების პრაქტიკა, როგორც პრობლემის პრევენციის, ასევე მისი მართვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, პრობლემურია შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სოციალურ სამსახურს შორის კოორდინაცია და რეფერირების მექანიზმის გამართული მუშაობა. განსაკუთრებით პრობლემურია ადრეული/ ბავშვთა ქორწინების საკითხი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი გოგონების შემთხვევაში და აღნიშნულ პრობლემაზე სათანადო რეაგირება.

COVID-19-ის პანდემიამ განსაკუთრებით დააზარალა განათლების სფერო და კიდევ უფრო გააღრმავა განათლების სისტემაში არსებული პრობლემები, როგორებიცაა განათლებაზე ხელმისაწვდომობა, საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გაუმართაობა, მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა საგანმანათლებლო პროცესში სრულყოფილი ჩართულობის პრობლემები. დისტანციურ საგაკვეთილო პროცესში სრულყოფილად ჩართვას ვერ ახერხებდნენ ის ბავშვები, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებოდა ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე. დისტანციური სწავლების რეჟიმზე ხანგრძლივად გადასვლამ, ოჯახებისთვის სათანადო ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გარეშე, რისკის ქვეშ დააყენა ბავშვების ნაწილის განათლების საკითხი, განსაკუთრებით რეგიონებში და მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფ ოჯახებში. გარდა ამისა, სწავლების მთლიანად ონლაინ რეჟიმზე გადასვლის პირობებში გამწვავდა კიბერ ბულინგის საფრთხეები.

**გენდერული თანასწორობა სპორტის სფეროში.** სპორტსა და ფიზიკურ აღზრდაში გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით საქართველოში არაერთი გამოწვევა არსებობს.

მოსახლეობაში დაბალია ფიზიკური აქტივობის მაჩვენებლები, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე. დაბალია სტუდენტთა, განსაკუთრებით გოგონათა ჩართულობა. არაერთი გენდერული გამოწვევაა მაღალი მიღწევების სპორტშიც – სახეზეა გენდერული დისბალანსი პროფესიონალ სპორტსმენებს, ასევე მწვრთნელებსა და მსაჯებს შორის. გენდერული დისბალანსია სპორტულ ორგანიზაციებში როგორც გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე, ასევე დასაქმებულ თანამშრომელთა შორის. სპორტის სფეროში გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების უდიდესი წილი მიემართება კაცებით დომინირებული სპორტის სახეობების დაფინანსებაზე. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში ქალები და კაცები თანაბრად არ არიან ჩართულნი. გარდა ამისა, სპორტში იშვიათი არ არის გენდერულად სტერეოტიპული მედიაგამუქება, ასევე ვლინდება გენდერული დისბალანსი სპორტულ ჟურნალისტიკებს შორის.

გამოწვევას წარმოადგენს ნორმატიული ჩარჩოსა და პოლიტიკის არარსებობა სპორტში გენდერული თანასწორობის შესახებ. ქვეყნის ნორმატიული ჩარჩო არ მოიცავს სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის გაძლიერებისკენ მიმართულ დებულებებს, არ არის გათვალისწინებული გენდერული ასპექტები სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და გადაწყვეტილებების მიღებისას.

გენდერული თანასწორობა კულტურის სფეროში, საქართველოში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს გენდერული თანასწორობის საკითხების სათანადოდ ინტეგრირება კულტურის კანონმდებლობასა და პოლიტიკაში, კერძოდ საკანონმდებლო ჩარჩო არ აყალიბებს კულტურაზე ხელმისაწვდომობისა და შემოქმედებით ინდუსტრიაში თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფის გარანტიებს. კულტურის შესახებ კანონის არცერთი დებულება არ ეხება კულტურის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიებსა და მექანიზმებს. ასევე, ქვეყნის კულტურის სტრატეგია სრულიად მოკლებულია კულტურის სფეროში გენდერული თანასწორობის გააზრებასა და მისი მნიშვნელობის აღიარებას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და დამუშავება კულტურის სფეროში გენდერული ბარიერების იდენტიფიცირებისთვის. სულ უფრო და უფრო აღიარებულია კულტურის როლი მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით. შესაბამისად, შემოქმედებით ინდუსტრიაში ჩართულობის თვალსაზრისითაც გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პოლიტიკის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. მიუხედავად საერთაშორისო ვალდებულებებისა და სტანდარტებისა, საქართველოში არ ხდება კულტურის სფეროში გენდერული სტატისტიკის დამუშავება.

**ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება.** ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი იმპლემენტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში ბოლო 30 წლის განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტების კონტექსტში. მიუხედავად გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა, ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება ქალთა მონაწილეობა კონფლიქტების პრევენციასა და მართვაში – როგორც მოლაპარაკებების ფორმალურ თუ არაფორმალურ პროცესებში, ასევე უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორებში

ჩართულობის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ ეროვნული სამოქმედო გეგმა (2018-2020) მოიცავდა უსაფრთხოების სექტორში გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე, ასევე სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზანს, მაინც ვერ მოხერხდა აღნიშნული მიმართულებებით ქალთა თანასწორი და არსებითი ჩართულობის უზრუნველყოფა.

კვლავ გამოწვევად რჩება კონფლიქტების შედეგად დაზარალებული გოგონების და ქალების უსაფრთხოების დაცვა, სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, ძალადობისგან დაცვა. ქვეყანაში არ არსებობს სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასა და საჭიროების შემთხვევაში, მედიკამენტების მიწოდებას. კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება კონფლიქტის შედეგად დაზარალებული გოგონების და ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება. ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით ერთ-ერთ მწვავე გამოწვევას წარმოადგენს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების საკითხი, ასევე სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მომატებულ საფრთხის შემცველ შენობებში ცხოვრება.

COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა გაამწვავა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემა. ოჯახში ძალადობის გაზრდილი რისკები, ასევე გამოიხატა პანდემიასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ძალადობის სპეციფიკურ ფორმებში (მაგ. ექიმთან ვიზიტის და ტესტირების სერვისთან წვდომის შეზღუდვა და ა.შ.). კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო გართულდა ჯანდაცვის სერვისებზე და ბაზისურ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა. ოკუპირებულ აფხაზეთში ასევე პრობლემას წარმოადგენდა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის სერვისის მიღება, რაც პანდემიამდე შესაძლებელი იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

კოვიდ-19-ის პანდემიამ მძიმედ იმოქმედა კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შემოსავლის წყარო შეუწყდათ ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებ ქალებს, რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არაფორმალურ ეკონომიკურ საქმიანობას ეწეოდნენ; ასევე იმ ქალებს, რომლებიც დამოკიდებულნი იყვნენ საქართველოს მიერ გაცემულ პენსიებსა და დევნილთა შემწეობებზე. გაუარესდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური მდგომარეობაც, ვინაიდან ისინი, ძირითადად, ჩართულნი იყვნენ ისეთ სფეროებში (მცირე ბიზნესი, მომსახურების სფერო), რომლებიც პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა განსაკუთრებით დააზარალა.

ისეთი კრიტიკული მნიშვნელობის საკითხები, როგორცაა: საქართველოს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი, საქართველოს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი, ქალთა მიმართ ძალადობა, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, გენდერული თანასწორობა სამოქალაქო რეგისტრაციის სფეროში, ამომწურავად არის მიმოხილული წინამდებარე კვლევის პირველ ნაწილში – *„გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები – განახლებული გამოცემა (ნაწილი I)“*.

## II. რეკომენდაციების ნუსხა

რეკომენდაციების ნუსხა	პასუხისმგებელი უწყება
<b>ქალთა ეკონომიკური განვითარება</b>	
<p>საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს მთავრობის მხრიდან მდგრადი განვითარების მიზნების ქვეშ აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს აქტიური ჩართულობით. ასევე, მნიშვნელოვანია, მდგრადი განვითარების მიზნების ქვეშ ყველა ამოცანის ნაციონალიზაცია, რათა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზანი იქნეს მიღწეული.</p>	საქართველოს პარლამენტი
<p>საქართველოს პარლამენტმა სისტემურ დონეზე უზრუნველყოს ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით.</p>	საქართველოს პარლამენტი
<p>საქართველოს შრომის კოდექსსა და საჯარო სამსახურის შესახებ კანონში განისაზღვროს თანაბარი ღირებულების მქონე შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების გადახდის ვალდებულება.</p>	საქართველოს პარლამენტი
<p>საქართველოს შრომის კოდექსსა და საჯარო სამსახურის შესახებ კანონში „თანაბარი ღირებულება“ ექსპლიციტურად განისაზღვროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროკავშირის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.</p>	საქართველოს პარლამენტი
<p>საქართველოს პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს შსო-ს 183-ე და 156-ე კონვენციების რატიფიცირება.</p>	საქართველოს პარლამენტი
<p>მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტმა მუშაობა გააგრძელოს საქართველოს „შრომის კოდექსის“ სრული ჰარმონიზებისთვის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებთან. აღნიშნული ასევე გულისხმობს საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შესაბამის ცვლილებებსაც. გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო სამსახურის შესახებ კანონი არ ვრცელდება საჯარო სამსახურში დასაქმებულ ყველა პირზე, სხვადასხვა ფორმის/სტატუსის დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა ჩამოუვარდება საჯარო სამსახურის შესახებ კანონით რეგულირებულ საჯარო უწყებებში დასაქმებულ პირთა შრომით უფლებებს, ამრიგად, კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული განსხვავების პრობლემურობა და მოახდინოს ამ ჯგუფების გათანაბრება.</p>	საქართველოს პარლამენტი  საქართველოს მთავრობა

<p>სახელმწიფომ, ასევე უნდა დაიცვას იმ ადამიანთა უფლებები, რომელთა შრომითი ურთიერთობა საქართველოს შრომის კოდექსით რეგულირდება. შესაბამისად, დასაქმებულისთვის კანონით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდში ყოველთვიური ანაზღაურების ადეკვატური ოდენობით გადახდა, როგორც ეს განსაზღვრულია შსო-ს 183-ე კონვენციაში.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p> <p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>
<p>საქართველოს პარლამენტმა უნდა მოახდინოს შსო-ს 131-ე კონვენციის რატიფიცირება.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>მნიშვნელოვანია, შრომის კოდექსში მოხდეს მინიმალური ანაზღაურების ადეკვატური რეგულირება. აღნიშნული პროცესი სოციალურ პარტნიორებთან, მშრომელთა გაერთიანებებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მათ შორის, შსო) და შესაბამის სპეციალისტებთან გაფართოებულ კონსულტაციებსა და მჭიდრო თანამშრომლობას უნდა დაეყრდნოს, რათა მინიმალური ხელფასის განსაზღვრის მექანიზმმა სრულად მოიცვას მშრომელების საჭიროებები და ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას დაეფუძნოს.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p> <p>საქართველოს მთავრობა</p>
<p>მნიშვნელოვანია, კანონმდებლობის გადახედვა რათა, ერთის მხრივ, სათანადოდ აისახოს ანაზღაურებადი და არაგადაცემადი მამობის შვებულება, რაც ხელს უწყობს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას და მათ შრომის ბაზარზე მეტ ჩართულობას. ასევე, მამის მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულების პრაქტიკული გამოყენების უზრუნველსაყოფად და არსებული ნორმის არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია განახლდეს ის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არეგულირებს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების წესისა და საავადმყოფო ფურცლის გაცემას.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p> <p>საქართველოს მთავრობა</p>
<p>იმისათვის, რომ მინიმალური ხელფასი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტს შეესაბამებოდეს, აუცილებელია, სექტორებისა და სამუშაოს/პროფესიების მიხედვით დაწესდეს. მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილ იქნეს მინიმალური ხელფასის დადგენის მეთოდოლოგიის/მექანიზმის შესაბამისობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტთან.</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>
<p>დისკრიმინაციის საკითხებზე საქართველოს სახალხო დამცველისა და შრომის ინსპექციის მანდატების მკაფიო გამიჯვნისთვის აუცილებელია, საქართველოს პარლამენტმა, გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩართულობით, უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით კონსულტაციების გამართვა, რათა დისკრიმინაციის შემთხვევებზე მანდატების უკეთესი დიფერენცირება მოხდეს და მასზე ეფექტიანი საპასუხო მექანიზმები ჩამოყალიბდეს.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p> <p>გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო</p> <p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>

<p>საქართველოს პარლამენტმა, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ჩართულობით, უნდა ჩაატაროს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფი კანონმდებლობის ანალიზი და რევიზია, რათა ის სრულად პასუხობდეს სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგონების საჭიროებებს და შესაბამის ვალდებულებას აკისრებდეს უწყებებს გენდერული მენისტრიმინგის განხორციელებაზე სოფლის მეურნეობის სფეროში.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p> <p>გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო</p>
<p>პანდემიის პირობებში ეკონომიკისა და ქალთა შრომითი უფლებების კუთხით არსებული გამოწვევების საპასუხოდ არსებითი მნიშვნელობა აქვს, შეიქმნას ინტერუწყებრივი სამუშაო ჯგუფი საქართველოს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მონაწილეობით და შესაბამისი სამთავრობო უწყებების ჩართულობით (ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო), რათა შეფასდეს Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული ზიანი, გაკეთდეს ანალიზი და მიღებულ იქნეს შესაბამისი, გრძელვადიანი ზომები, მათ შორის, ქალთა უფლებებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად დროებითი სპეციალური ზომების მიღების გზით.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p> <p>გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო</p> <p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p> <p>სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p> <p>ეკონომიკის სამინისტრო</p>
<p><b>გენდერული თანასწორობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში</b></p>	
<p>შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელიც მოისმენს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების კუთხით მთავრობის მიერ ვალდებულებების შესრულების ანგარიშს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო და რეგიონული შეთანხმებებით. ასევე, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების კუთხით ძირითადი ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებით (ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა, დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგია).</p>	<p>საქართველოს პარლამენტი და შესაბამისი კომიტეტები</p>
<p>დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის კოორდინაციის საბჭომ: ა) შეიმუშაოს სისტემური მიდგომა პერინატალურ ზრუნვასთან დაკავშირებით, რაც მისაწვდომს გახდის პერინატალურ პერიოდში საჭირო სერვისების მიწოდებას სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით; ბ) მოახდინოს ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრირება როგორც პოსტ, ისე მშობიარობის და პერინატალური სერვისების საბაზო პაკეტში.</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>
<p>პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ჯანდაცვის კომიტეტის თანამშრომლობით უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების ზედამხედველობა.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p> <p>გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო</p>



<p>ორსულობის პირველი 12 კვირის განმავლობაში სავალდებულო აბორტის წინა კონსულტაციის/წინასწარი გასაუბრების ხუთდღიანი პერიოდის გაუქმების საკითხი გადაიხედოს არსებული საერთაშორისო მტკიცებულებებისა და სახელმძღვანელო წესების შესაბამისად, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ აბორტის სერვისების მიმართ ხელმისაწვდომობის შეზღუდვა არ ახდენს გავლენას ქალის მიერ აბორტის გაკეთების გადაწყვეტილებაზე და ამავე დროს, ზრდის აბორტის სახიფათო პირობებში ჩატარების რისკს.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p> <p>გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო</p> <p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>
<p>მნიშვნელოვანია, ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, გათვალისწინებული იყოს უნივერსალური ჯანდაცვის პროგრამის საბაზისო პაკეტი ოჯახის დაგეგმვის მომსახურებისა და კონტრაცეპტივების ჩართვის საჭიროება.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p> <p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>
<p>საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მთავრობისგან მოისმინოს საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში – „სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, ეროვნული შეფასება“ (2019) – გაწერილი რეკომენდაციების შესრულების სტატუსის შესახებ.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>საქართველოს კანონში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ შევიდეს ცვლილება, რათა კანონმა ზუსტად ასახოს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის კონვენციის (CRPD) 25-ე მუხლში მოაზრებული ვალდებულებები შშმ პირთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის ჭრილში.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>გადაიხედოს „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი და შეიცვალოს ყველა ის ჩანაწერი, რომელიც შეიცავს შშმ პირებისთვის დისკრიმინაციულ ენას და არ ესადაგება ან/და წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>გადაიხედოს საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ და შევიდეს ცვლილებები იმგვარად, რომ კანონმა მოიცავს „სექსუალური ჯანმრთელობა“ და განსაზღვროს მის პრაქტიკაში განსახორციელებლად საჭირო ზომები.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>გადაიხედოს საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და შეიცვალოს ყველა ის ჩანაწერი, რომელიც შეიცავს შშმ პირებისთვის დისკრიმინაციულ ენას და არ ესადაგება ან/და წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>გადაიხედოს საქართველოს კანონები „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ და „საექიმო საქმიანობის შესახებ“ და მოხდეს მათი მისადაგება საერთაშორისო სტანდარტებთან.<sup>2</sup></p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>

<sup>2</sup> რეკომენდაციები ინფორმირებულია UNFPA-ს ანგარიშით: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკანონმდებლო ანალიზი, სახელმწიფო პროგრამების მიმოხილვა და რეკომენდაციები“ (2020).

<p>მოხდეს ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, სექს მუშაკი და წამალდამოკიდებული ქალების, ეთნიკურად არადომინანტ ჯგუფებს მიკუთვნიებული, უმადლესი განათლების არმქონე, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საჭიროებების შესწავლა და შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით, გადაიხედოს სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებული სერვისები და სახელმძღვანელო წესები, მათი ინფორმირებულობისა და სერვისებზე წვდომის გაზრდის მიზნით.</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>
<p>საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს სუროგაციის შესახებ ჩარჩო კანონმდებლობას საერთაშორისო პრინციპების და რეკომენდაციების შესაბამისად, სუროგაციაში ჩაბმული ქალებისა და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვების უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს ცვლილება, რომლითაც გათვალისწინებული იქნება სუროგატი დედის და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლების მიერ ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის საკითხი.<sup>3</sup></p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ინიციატივით და უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან თანამშრომლობით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს სისტემურ ხედვას ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში დასაქმებული ქალების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, განსაკუთრებით, პანდემიის პერიოდში, რადგან, აღნიშნული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თავად ჯანდაცვის სექტორის გამართული მუშაობისთვის კრიზისულ პერიოდში.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p> <p>უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო</p>
<p>სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პანდემიის პერიოდში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების უწყვეტი მიწოდება, განსაკუთრებით, სპეციალური საჭიროებების მქონე და მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნიებული ქალებისთვის და მიწოდებული სერვისების ხარისხის მონიტორინგი. მათ შორის: დედებისა და ახალშობილებისთვის ზრუნვის სერვისების უზრუნველყოფა; უსაფრთხო აბორტი და შემდგომი ზრუნვა; კონტრაცეფცია; აივ ინფექცია/ შიდსის ანტირეტროვირუსული საშუალებებისა და სექსუალური გზით გადამდები დაავადებების სამკურნალო ანტიბიოტიკების მიწოდება. ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამედიცინო სერვისების უსაფრთხო და კონფიდენციალური მისაწვდომობა.</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>
<p>ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საკითხზე მომუშავე სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა კრიტიკულად გააანალიზოს პრევენციის და რეაგირების არსებული სისტემა (მათ შორის, გადახედოს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების<sup>4</sup> იმპლემენტაციის ხარვეზებს და სამართალდამცავ უწყებებში საზიანო პრაქტიკებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების წესებს) საზიანო პრაქტიკების, მათ შორის, იძულებით, ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების პრევენციისა და საკითხებთან დაკავშირებით, შეიმუშაოს კონკრეტულად საზიანო პრაქტიკების პრევენციისა და ზიანის შემცირებისკენ მიმართული ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიაზრებს მონაცემთა შეგროვებას, ანალიზს, მონიტორინგსა და გავლენების შეფასებას.<sup>5</sup></p>	<p>საქართველოს მთავრობა</p> <p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>

<sup>3</sup> რეკომენდაცია გადმოტანილია საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშიდან ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ (2020) <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>

<sup>4</sup> მთავრობის დადგენილება #437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ (2016) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478?publication=0>

<sup>5</sup> ინფორმირებულია გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ საქართველოსადმი გაცემული რეკომენდაციით: CRC/C/OPSC/GEO/CO/1 (2019)

<p>საქართველოს პარლამენტი მა მიიღოს რეზოლუცია, რომელიც დაგმობს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკას/ვაჟიშვილის ყოლისათვის უპირატესობის მინიჭებას და შექმნას პლატფორმა პარლამენტში ამ საზიანო პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკისა და საერთაშორისო გამოცდილების გასაზიარებლად, რომლის ფარგლებშიც პარლამენტის წევრები დააფიქსირებენ მხარდაჭერას ამ საზიანო პრაქტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების და ასევე, კორონავირუსის შედეგებთან გამკლავებისაკენ მიმართულ ეროვნულ სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებში საზიანო პრაქტიკების აღმოფხვრისაკენ მიმართული დღის წესრიგის შეტანა, რომელიც ამგვარ პრაქტიკებზე (ბავშვთა/ადრეულ ასაკში ქორწინება, იძულებითი ქორწინება და გენიტალიების დასახიჩრება), მათ გამოვლენასა და მათთან გამკლავებაზე COVID-19-ის პანდემიის გავლენების შეფასების შედეგად ჩამოყალიბდება.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>
<p><b>გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში</b></p>	
<p>რეკომენდებულია, გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონი გასცდეს განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის შესახებ დეკლარაციული ხასიათის ჩანაწერებს და განსაზღვროს აღნიშნულ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კონკრეტული მექანიზმები, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების სრულად გათვალისწინებითა და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>რეკომენდებულია, ზოგადი განათლების, ასევე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონებს დაემატოს გენდერული თანასწორობის გარანტიები და კონკრეტული მექანიზმები, რომლებშიც სრულად იქნება ინტეგრირებული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული განათლების უფლების სამივე განზომილება, კერძოდ, ყველა გოგონასა და ქალისთვის განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა (right of access to education), განათლების სფეროში არსებითი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ვალდებულება (right within education) და განათლების სისტემის მეშვეობით საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის გაძლიერება (right through education).</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>რეკომენდებულია, ზოგადი განათლების, ასევე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონებით განისაზღვროს გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების წარმოებისა და დამუშავების ვალდებულება განათლების ყველა სფეროში, ყველა საფეხურზე.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>რეკომენდირებულია, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში, ასევე ზოგადი განათლების და უმაღლესი განათლების შესახებ კანონებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სექსუალური შევიწროების, ასევე სასკოლო ძალადობის სხვა ფორმების დეტალური განმარტება, მათი პრევენციისა და მათზე რეაგირების ზომები, საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშაოს საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა გასაჩივრების მექანიზმები სექსუალური ძალადობის და სხვა სახის სასკოლო ძალადობის საკითხთან მიმართებით.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საერთაშორისო სტანდარტების – მათ შორის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის 36-ე ზოგადი რეკომენდაციის მოთხოვნათა შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შეიმუშაოს სპეციალური გაიდლაინები სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>

<p>რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშაოს საგანმანათლებლო სისტემის გამოწვევებზე მორგებული სპეციალური ტრენინგ-კურსი პროფესორ-მასწავლებლებისთვის სექსუალური შევიწროების საკითხებში და ჩაატაროს პროფესორ-მასწავლებელთა სავალდებულო ტრენინგი ამ მიმართულებით.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეისწავლოს განათლების სექტორში ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის მიზეზები და მათ დასაძლევად შეიმუშაოს კონკრეტული სტრატეგია, რომელიც განათლების სექტორში დასაქმებულთა გენდერული ბალანსის დამკვიდრებისკენ იქნება მიმართული. სტრატეგია უნდა დაეყრდნოს საუკეთესო პრაქტიკასა და გამოცდილებას და უნდა მოიცავდეს მასწავლებელთა სტატუსისა და ანაზღაურების გაუმჯობესების, ასევე მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისკენ მიმართულ ღონისძიებებს და სხვადასხვა წამახალისებელ ზომებს.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, განათლების სექტორში ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის მიზეზების კვლევა განხორციელდეს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტთან კოორდინაციით. გარდა ამისა, რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, გაუწიოს ზედამხედველობა შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებასა და აღსრულებას.</p>	<p>გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო</p> <p>საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი</p>
<p>რეკომენდებულია, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონმა სახელმწიფოს ვალდებულებად განსაზღვროს ეროვნული სასწავლო პროგრამის გენდერული მეინსტრიმინგი, საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპებსა და საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეიმუშაოს ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის გენდერული მეინსტრიმინგი და მასში ასახოს ეროვნულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში გენდერული თანასწორობის ინტეგრირებასთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხო მიზნები, ამოცანები და კონკრეტული ღონისძიებები.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სათანადო სპეციალისტების და დარგის ექსპერტების ჩართულობით, საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, განახორციელოს ეროვნული სასწავლო გეგმების გენდერული მეინსტრიმინგი.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, შეიმუშაოს შესაბამისი ზომები გრიფირებისადმი დაქვემდებარებული სასკოლო სახელმძღვანელოების გენდერული თანასწორობის ქრილში სისტემატური და სავალდებულო რეცენზირებისთვის.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>

<p>რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სასწავლო სახელმძღვანელოების ავტორ-შემდგენლებისა და რეცენზენტებისთვის, კვალიფიციური ექსპერტების ჩართულობით, შეიმუშაოს სპეციალიზებული ტრენინგ-კურსი გენდერული თანასწორობისა და გოგონათა და ქალთა უფლებების შესახებ. რეკომენდებულია, აღნიშნული კურსის გავლა განისაზღვროს აუცილებელ კრიტერიუმად სასწავლო სახელმძღვანელოს შედგენისა და რეცენზირების პროცესში მონაწილეობისთვის.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მასწავლებელთა პროფესიულ მოთხოვნებს დაამატოს მოთხოვნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მასწავლებელთა სავალდებულო ტრენინგის შესახებ. სამინისტრომ, ასევე, უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ტრენინგისთვის, საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, შესაბამისი მოდულის შემუშავება.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, სასწავლო პროგრამაში გააფართოოს, კომპლექსურად დაფაროს და სასწავლო პროგრამის სავალდებულო ნაწილად აქციოს ასაკთან შესაბამისი სწავლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, მათ შორის – პასუხისმგებლობიანი სექსუალური ქცევის, ადრეული ორსულობის პრევენციისა და სქესობრივად გადამდები ინფექციების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით. ამ ეტაპზე აღნიშნული საკითხი ინტეგრირებულია მხოლოდ მეცხრე კლასის საგნობრივ სტანდარტში. ასევე რეკომენდებულია, აღნიშნული პროგრამის ინტეგრირება მოხდეს სახელმწიფო ახალგაზრდული ბანაკების პროგრამებში.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემასა და მასწავლებელთა საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გამოცდებში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების სათანადოდ ინტეგრირება.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის შიგნით სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხის მიმართ სოციალური ნორმის ცვლილებაზე ორიენტირებული მიდგომები და სტრატეგია, მათ შორის, სკოლების დირექტორთა, მასწავლებელთა მოსწავლეთა, მშობელთა, ასევე სკოლის ექიმებისა და სოციალური მუშაკების ჩართულობით.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთათვის, მათ შორის, მანდატურის სამსახურისთვის (რომელიც, კანონმდებლობის თანახმად, უშუალოდ არის რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტი) აწარმოოს აქტიური საინფორმაციო კამპანია ადრეული ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, რეკომენდებულია, შეიქმნას შეფასების დოკუმენტი განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთათვის, ადრეული ქორწინების საკითხებზე საქართველოს კანონმდებლობების და მათი ვალდებულებების შესახებ ინფორმირებულობის შესაფასებლად.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აწარმოოს ცნობიერების ამაღლების კამპანია ადრეული ქორწინების შესახებ, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც დიდია ადრეული ქორწინების შემთხვევათა რაოდენობა.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>

<p>რეკომენდებულია, საქართველოს მთავრობამ #437 დადგენილებაში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე (კერძოდ დადგენილების მე-5 მუხლის მე-10 პუნქტში). საგანმანათლებლო დაწესებულებების უფლებამოსილება შეცვალოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულებით, შესაბამის უწყებებს შეატყობინონ ბავშვზე ძალადობის ფაქტის შესახებ, მათ შორის, ადრეული ქორწინების ფაქტის შესახებაც.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>
<p>რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რეფერირების პროცედურებში ჩართულ სხვა სუბიექტებთან გააძლიეროს კოორდინაცია; ასევე, განათლების სისტემის მხრიდან რეფერირების პროცედურებში ჩართულ პირთათვის შეიმუშაოს ადრეული ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების და მასთან დაკავშირებული კოორდინაციის სახელმძღვანელო ინსტრუქციები ქმედითი და ეფექტიანი რეაგირებისა და კოორდინაციისთვის.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშაოს და რეგულარულად განახორციელოს ქორწინებაში მყოფ არასრულწლოვანთა სასწავლო პროცესში ხელახლა ჩართვისა და სკოლაში დაბრუნებისკენ მიმართული ღონისძიებები. ასევე, აღნიშნული პროცესების მონიტორინგი.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, აწარმოოს ზედამხედველობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყველა ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციის იმპლემენტაციაზე.</p>	<p>გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო</p>
<p>რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ, შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, შესაბამისი ფინანსური რესურსების უზრუნველყოფით, პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. გეგმის ფარგლებში შემუშავებული ღონისძიებები უნდა იყოს მიმართული ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური საკითხების გაუმჯობესებისკენ, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის (კერძოდ ინტერნეტზე წვდომა, კომპიუტერის ქონა, შესაბამისი უნარების გაძლიერება).</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიასა და შესაბამის სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს კიბერ-ბულინგისა და ონლაინ შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის კონკრეტული მიზნები, ამოცანები და ღონისძიებები. ასევე, უზრუნველყოს აღნიშნულ საკითხზე პროფესორ-მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშაოს საგანმანათლებლო დაწესებულებების უსაფრთხოდ გახსნის სამოქმედო გეგმა.</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>
<p><b>გენდერული თანასწორობა სპორტის სფეროში</b></p>	
<p>გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლს დაემატოს ჩანაწერი სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სახელმწიფო გარანტიების შესახებ, მათ შორის, განათლების, პროფესიული და რეკრეაციული სპორტის კონტექსტში.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>

<p>რეკომენდებულია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ საქართველოს კანონში შევიდეს ცვლილებები გენდერულ გამოწვევებზე საპასუხოდ. რეკომენდებულია, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლს, რომელიც ეხება სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს სპორტის სფეროში, დაემატოს გენდერული თანასწორობის დაცვის პრინციპი. გარდა ამისა, რეკომენდებულია, აღნიშნულ კანონში გაჩნდეს ვალდებულება სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმებში გენდერული ასპექტების ინტეგრირების შესახებ.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>სპორტის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი ეხება სპორტის დაფინანსებას, თუმცა კანონში არაფერია ნათქვამი სპორტის დაფინანსების გენდერულ ასპექტებზე. შესაბამისად, რეკომენდებულია სპორტის დაფინანსების შესახებ მუხლს დაემატოს დებულება გენდერული ბიუჯეტირების შესახებ.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სპორტის პოლიტიკის გენდერული ხედვა. შესაბამისად, რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტმა შეიმუშაოს სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის კონცეფცია, საერთაშორისო სამართლებრივ მოთხოვნებთან, ქვეყნის მიერ აღებულ ვალდებულებებსა და სფეროში დამკვიდრებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში. კერძოდ, აღნიშნული სტრატეგია, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს ზომებს, რომლებიც მიმართული იქნება: (i) სპორტულ აქტივობებში გოგონათა და ქალთა მონაწილეობის გაზრდისკენ (სკოლამდელი, სასკოლო, საუნივერსიტეტო, პროფესიული, რეკრეაციული სპორტი); (ii) სპორტის მასწავლებლებსა და მწვრთნელებში გენდერული თანასწორობის მიღწევისკენ; (iii) სპორტში და ასევე სპორტის საშუალებით გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრისკენ; (iv) გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის გენდერული ბალანსის მიღწევისა და მათი შესაძლებლობების გაძლიერებისკენ გენდერული თანასწორობის საკითხებზე; (v) გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრისკენ სპორტსა (სკოლამდელი, სასკოლო, საუნივერსიტეტო, პროფესიული, რეკრეაციული სპორტი) და სპორტულ მედიაში; (vi) სპორტის დაფინანსების მექანიზმებში გენდერული პერსპექტივის გათვალისწინებისკენ.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>მნიშვნელოვანია, სპორტის პოლიტიკის სახელმწიფო დოკუმენტებში რეგულარულად მოხდეს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება, მათი შესრულების მონიტორინგი და გენდერული გავლენის გაზომვა. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში, რომელიც 2014-2020 წლებს მოიცავდა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამოქმედო გეგმებში გენდერული პერსპექტივა ინტეგრირებული არ ყოფილა. შესაბამისად, რეკომენდებულია, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ, გამოვლენილ გენდერულ გამოწვევებზე საპასუხოდ, სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის მომდევნო დოკუმენტში, რომელმაც 2021 წლიდან პერიოდი უნდა მოიცავს, ასევე, მომდევნო სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს გენდერული თანასწორობის მიზნები და ამოცანები, შესაბამისი აქტივობებით, შეფასების ინდიკატორებით, პასუხისმგებელი პირებითა და სათანადო ბიუჯეტირებით. რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და შესრულებას.</p>	<p>საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, სპორტის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლს საქართველოს მოქალაქეთა უფლებების სახელმწიფო გარანტიების შესახებ, დაემატოს სპორტში გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი პრევენციის გარანტია, რომლის საფუძველზე უნდა შემუშავდეს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა, ასევე სპორტული ორგანიზაციების შიდა მექანიზმები.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>

<p>მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების მიზნით, რეკომენდებულია, სპორტის შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებდეს სპორტის სფეროში გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების წარმოებისა და დამუშავების ვალდებულებას – როგორც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისთვის, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისთვის, შესაბამისი კომპეტენციების ფარგლებში.</p>	
<p>რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საპარლამენტო კომიტეტთან კოორდინაციით, შეიმუშაოს სპორტის სფეროში საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი გენდერული სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია და გენდერული ინდიკატორები.</p>	<p>გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო</p>
<p>რეკომენდებულია, სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის მომდევნო დოკუმენტში და შესაბამის სამოქმედო გეგმაში გაწერილი იყოს სპორტში გენდერული სტატისტიკის წარმოებისა და დამუშავების კონკრეტული მიზნები და ამოცანები, შესაბამისი ინდიკატორებით. ასევე, რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, მოახდინოს აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შეფასება, ასევე სპორტში გენდერული სტატისტიკის წარმოების მონიტორინგი.</p>	<p>საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ შეისწავლოს კოვიდ-19-ის პანდემიის გენდერული გავლენა სპორტის სფეროზე და გამოვლენილ გამოწვევებზე საპასუხოდ შეიმუშაოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ზომები, პანდემიის შედეგად გამოწვეული ზიანის შესარბილებლად. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს სპორტის სფეროსთვის განკუთვნილი ეკონომიკური სტიმულირების ზომების თანასწორად გადანაწილება ქალებსა და კაცებზე. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნული გენდერული გავლენის კვლევისა და საპასუხო ზომების შემუშავებასა და აღსრულებას.</p>	<p>საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</p>
<p><b>გენდერული თანასწორობა კულტურის სფეროში</b></p>	
<p>რეკომენდებულია, საქართველოს კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიებს (მუხლი 4) დაემატოს დებულება გენდერული თანასწორობის გარანტიების შესახებ კულტურის სფეროში – კულტურაზე ხელმისაწვდომობისა და შემოქმედებით ინდუსტრიაში თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>რეკომენდებულია, საქართველოს კანონს კულტურის შესახებ დაემატოს დებულება კულტურის სფეროსა და შემოქმედებით ინდუსტრიაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სახელმწიფო ვალდებულების შესახებ. გარდა ამისა, კანონის 29-ე მუხლს, რომელიც კულტურისა და კულტურული მოღვაწეობის სახელმწიფო დაფინანსებას ეხება, დაემატოს ვალდებულება აღნიშნული დაფინანსების გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვით გაცემის შესახებ.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>
<p>რეკომენდებულია, საქართველოს კანონმა კულტურის შესახებ განსაზღვროს კულტურის როლი გენდერული თანასწორობის გაძლიერებასა და დისკრიმინაციული სტერეოტიპების აღმოფხვრასთან მიმართებით. აღნიშნული როლი, ასევე, უნდა აისახოს კულტურის სახელმწიფო დაფინანსების პრიორიტეტებში (მუხლი 29).</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>



<p>რეკომენდებულია, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დებულებას, კერძოდ – მის მე-2 (2) მუხლს კულტურის სფეროში სამინისტროს ამოცანების შესახებ, დაემატოს, ერთი მხრივ, კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და მეორე მხრივ, საზოგადოებაში კულტურის მეშვეობით გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერების ამოცანები. ასევე რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, ზედამხედველობა გაუწიოს სამინისტროს დებულებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.</p>	<p>საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</p> <p>გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო</p>
<p>რეკომენდებულია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების მიზნით, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განახორციელოს სიღრმისეული კვლევა საქართველოში კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიაში გენდერული გამოწვევების და ბარიერების გამოსავლენად. რეკომენდებულია, აღნიშნული კვლევის განსახორციელებლად სამინისტროსა და პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს კოორდინირებული მუშაობა.</p>	<p>საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, ადამიანის უფლებათა დაცვის მომდევნო სამოქმედო გეგმა მოიცავდეს კულტურის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზანს, შესაბამისი ამოცანებითა და შესრულების ინდიკატორებით, ასევე, კონკრეტული პასუხისმგებელი უწყებების განსაზღვრით.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p> <p>საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებების დაცვის სამდივნო</p>
<p>რეკომენდებულია, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, გამოვლენილ გენდერულ გამოწვევებზე დაყრდნობით, ასევე, საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, განაახლოს კულტურის სტრატეგია 2050 და მასში მოახდინოს გენდერული პერსპექტივის სრულად ინტეგრირება. ასევე, სტრატეგიის შესრულების მომდევნო სამუშაო გეგმაში კონკრეტულად ასახოს გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრითა და სათანადო ბიუჯეტირებით. რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებას.</p>	<p>საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, შეიმუშაოს კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის სფეროში გენდერული სტატისტიკის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდოლოგია. რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებას.</p>	<p>საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</p> <p>გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო</p>

<p>რეკომენდებულია, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ რეგულარულად შეაგროვოს და დაამუშაოს კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის სფეროში გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები. რეკომენდირებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებას.</p>	<p>საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</p> <p>გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო</p>
<p>რეკომენდებულია, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ შეისწავლოს კოვიდ-19-ის პანდემიის გენდერული გავლენა კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის სფეროზე და გამოვლენილ გამოწვევებზე საპასუხოდ შეიმუშაოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა პანდემიის შედეგად გამოწვეული ზიანის შესარბილებლად. რეკომენდებულია, პოლიტიკა ითვალისწინებდეს შემდეგ მიმართულებებს: (i) კულტურასა და შემოქმედებით ინდუსტრიაში ღირსეული სამუშაო პირობების შექმნისკენ მიმართული ზომები; (ii) დიגיტალიზაციის ხელშეწყობა, როგორც სამართლებრივი, ისე ტექნიკური თუ შესაძლებლობების გაძლიერების თვალსაზრისით; (iii) შემოქმედებით ინდუსტრიაში ინოვაციების მხარდაჭერა.<sup>6</sup></p>	<p>საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, საქართველოს მთავრობამ და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ უზრუნველყონ კულტურის სფეროსთვის განკუთვნილი ეკონომიკური სტიმულირების ზომების თანასწორად გადანაწილება ქალებსა და კაცებზე. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნული რეკომენდაციების აღსრულებას.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p> <p>საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</p> <p>გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო</p>
<p><b>ქალები, გვზიდობა და უსაფრთხოება</b></p>	
<p>გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში შევიდეს ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს კონფლიქტების პრევენციის და მართვის პროცესებში ქალთა თანასწორი და არსებითი მონაწილეობის უზრუნველყოფას საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და სტანდარტების შესაბამისად, რაც გულისხმობს ქალთა ჩართულობას როგორც მოლაპარაკებების ფორმალურ და არაფორმალურ პროცესებში, ასევე უსაფრთხოების და თავდაცვის სექტორებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებში. ჩართულობის უზრუნველყოფის სამართლებრივი გარანტიები უნდა მოიაზრებდეს როგორც რაოდენობრივი ჩართულობის, ისე ჩართულობის ხარისხისა და პროცესებზე გავლენის მოხდენის კომპონენტებს.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი</p>

<sup>6</sup> რეკომენდაციები ეყრდნობა ევროპარლამენტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს „კულტურა და შემოქმედებითი სექტორი პოსტკოვიდურ ეროპაში“, 2021. [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2021/652242/IPOL\\_STU\(2021\)652242\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2021/652242/IPOL_STU(2021)652242_EN.pdf) რეკომენდებულია, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ სახელმძღვანელოდ გამოიყენოს აღნიშნული დოკუმენტი, როგორც კოვიდ-19-ის პანდემიის გენდერული გავლენის ანალიზის, ასევე, პოლიტიკის შემუშავების ეტაპებზე.

<p>კონფლიქტების პრევენციის და მართვის პროცესებში ქალთა თანასწორი და არსებითი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე მომდევნო ეროვნულ სამოქმედო გეგმაში უნდა განისაზღვროს ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული ამოცანები, შესაბამისი შესრულების ინდიკატორებით (ზეგავლენის, საბოლოო შედეგების და შუალედური შედეგების დონეებზე), კონკრეტული პასუხისმგებელი უწყებების მითითებით და სათანადო ბიუჯეტირებით. აღნიშნულ ზომებს შორის რეკომენდებულია, განისაზღვროს რაოდენობრივი კვოტის, როგორც დროებითი სავალდებულო მექანიზმის შემოღება. რაოდენობრივი კვოტის მოთხოვნები უნდა ითვალისწინებდეს ე.წ. „კრიტიკული მასის“ ცნებას.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>
<p>ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე მომდევნო ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისთანავე პასუხისმგებელმა უწყებებმა უნდა შეადგინონ აღნიშნული გეგმის აღსრულების უწყებრივი საოპერაციო გეგმა, სადაც ეროვნული სამოქმედო გეგმის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად განისაზღვრება კონკრეტული ღონისძიებები შესაბამისი ბიუჯეტირებით.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>
<p>ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე მომდევნო ეროვნულ სამოქმედო გეგმაში რეკომენდებულია, განისაზღვროს სპეციალური ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების ჩართვა სამშვიდობო პროცესებში კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული დაბრკოლებების გათვალისწინებით. კერძოდ, ღონისძიებები უნდა ეხებოდეს ინტერნეტზე და კომპიუტერზე ხელმისაწვდომობის გაზრდას კონფლიქტით დაზარალებული და დევნილი ქალებისთვის, მათი კომპიუტერული უნარ-ჩვევების გაძლიერებას, ასევე, სამშვიდობო პროცესებში ჩართული სათემო ორგანიზაციების გაძლიერებასა და მხარდაჭერას.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>
<p>მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვისა და შემუშავების მიზნით, რეკომენდებულია კონფლიქტის შედეგად დაზარალებული გოგონებისა და ქალების, ასევე, გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრები გოგონებისა და ქალების საჭიროებების შესწავლა ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და დაძლევის ჭრილში და საპასუხო კონკრეტული ამოცანებისა და ღონისძიებების ინტეგრირება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, ასევე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სამოქმედო გეგმებში, ასევე – აღნიშნული ღონისძიებების ინტეგრირება, ბიუჯეტირება და კონკრეტული პასუხისმგებელი პირების გაწერა შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების საოპერაციო გეგმაში. გარდა ამისა, რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, ზედამხედველობა გაუწიოს პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობას ამ მიმართულებით, მოისმინოს და შეაფასოს როგორც საჭიროებების კვლევის ანგარიში, ასევე მის საფუძველზე შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტები და შემდგომში აღნიშნული პოლიტიკის იმპლემენტაცია.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>
<p>ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე მომდევნო ეროვნული სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის კონცეფციის შემუშავების ვალდებულებას ამ სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, რისთვისაც გამოყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ადამიანური და საბიუჯეტო რესურსები.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>

<p>რეკომენდებულია უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლების, მათ შორის, გადაწყვეტილების მიმღები პირების შესაძლებლობების გაძლიერება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველი და პრევენციული ღონისძიებების საკითხებზე. აღნიშნული შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები რეკომენდებულია, განხორციელდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვისაც, განსაკუთრებით – გამყოფი ხაზის მიმდებარე მუნიციპალიტეტებში.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>
<p>რეკომენდებულია კონფლიქტის შედეგად დაზარალებული გოგონებისა და ქალების, ასევე, გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრები გოგონებისა და ქალების საჭიროებების შესწავლა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანდაცვის სერვისებზე, მათ შორის, რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანდაცვის სერვისებზე, ასევე, შესაბამის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ჭრილში და გამოვლენილ საჭიროებებზე საპასუხო კონკრეტული ამოცანებისა და ღონისძიებების ინტეგრირება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე მომდევნო ეროვნულ სამოქმედო გეგმაში. ასევე, პასუხისმგებელი უწყებების საოპერაციო გეგმაში აღნიშნული ღონისძიებების ინტეგრირება, ბიუჯეტირება და კონკრეტული პასუხისმგებელი პირების გაწერა. გარდა ამისა, რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, ზედამხედველობა გაუწიოს პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობას ამ მიმართულებით, მოისმინოს და შეაფასოს როგორც საჭიროებების კვლევის ანგარიში, ასევე მის საფუძველზე შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტები და შემდგომში აღნიშნული პოლიტიკის იმპლემენტაცია.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p> <p>გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო</p>
<p>რეკომენდებულია, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების მომდევნო სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდეს კონფლიქტით დაზარალებული და დევნილი ქალების საჭიროებებზე მორგებულ, ეკონომიკური და სოციალური გაძლიერების პროგრამებს, რომლებიც კონკრეტულ შედეგებზე იქნება ორიენტირებული და საშუალებას მისცემს სამიზნე ჯგუფებს, განავითარონ მდგრადი, შემოსავლის მომტანი საქმიანობა. დევნილთა წინაშე არსებული გამოწვევების და საჭიროებების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, აღნიშნული პროგრამები აისახოს შესაბამისი უწყებების შიდა ოპერაციულ გეგმებში, სათანადო ბიუჯეტირებით. გარდა ამისა, რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, ზედამხედველობა გაუწიოს პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობას ამ მიმართულებით.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>
<p>რეკომენდებულია, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის შემუშავებასა თუ განხორციელებაზე პასუხისმგებელმა ყველა სახელმწიფო უწყებამ გააძლიეროს კოორდინაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები გოგონებისა და ქალების ეკონომიკური და სოციალური გაძლიერების მიზნით.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>
<p>რეკომენდებულია, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების მომდევნო სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდეს კონკრეტულ ღონისძიებებს დევნილთა უზრუნველსაყოფად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გრძელვადიანი საცხოვრისით. რეკომენდებულია, აღნიშნული ღონისძიებები აისახოს შესაბამისი უწყებების შიდა ოპერაციულ გეგმებში, სათანადო ბიუჯეტირებით. გარდა ამისა, რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, ზედამხედველობა გაუწიოს პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობას ამ მიმართულებით.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>

<p>რეკომენდებულია, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდეს ბაზრის მოთხოვნათა შესაბამის სწავლებას კონფლიქტით დაზარალებული და დევნილი ქალებისათვის, ასევე, რეკომენდებულია, სწავლების სპეციფიკა მოიცავდეს აღნიშნული ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს, რაც უკავშირდება საშინაო შრომას, ბავშვებსა და ხანდაზმულებზე ზრუნვის ტვირთს, სათანადო საჯარო სერვისების არარსებობის პირობებში. ასევე, გადაადგილების სირთულეებსა და ხარჯებს. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნული ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობას, ასევე, ხელი შეუწყოს შრომითი ბაზრის მოთხოვნათა იდენტიფიცირებისთვის კვლევის განხორციელებას.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>
<p>რეკომენდებულია პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>(i) შეიმუშაოს სპეციალური სახელმძღვანელო – ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში პარლამენტის როლის შესახებ;</li> <li>(ii) საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით (კერძოდ, ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი უწყების – გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან თანამშრომლობით) განახორციელოს სიტუაციის სიღრმისეული ანალიზი ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით (სახალხო დამცველის ოფისი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ქალთა სათემო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები), იმისთვის, რომ გამოვლინდეს ქალების და კაცების საჭიროებები შესაბამის სფეროებში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინტერვენციებისთვის, მათ შორის კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული დამატებითი სირთულეების დასაძლევად;</li> <li>(iii) საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ თავის სამოქმედო გეგმაში შეიმუშაოს სპეციალური თავი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ამ მიმართულებით შესასრულებელი აქტივობები საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში, ერთი მხრივ, საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და განვითარების, ხოლო მეორე მხრივ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის მიმართულებით.</li> </ul>	<p>გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო</p>
<p>რეკომენდებულია მოხდეს პანდემიის გავლენის შესწავლა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მდგომარეობაზე კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაში (გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დევნილების კომპაქტურ დასახლებებში) და საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების, ასევე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ეროვნული სამოქმედო გეგმების ფარგლებში.</p>	<p>ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>
<p>რეკომენდებულია, ჯანდაცვის სერვისებსა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისთვის შემუშავდეს პანდემიაზე მორგებული მიდგომები გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებსა და დევნილების კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები ქალებისა და გოგონებისთვის, მათ შორის, ინტერნეტსა და ტრანსპორტზე ფიზიკური და ფინანსური წვდომის თვალსაზრისითაც.</p>	<p>ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.</p>
<p>რეკომენდებულია, კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პროგრამების შემუშავებისას შესწავლილი იყოს კონფლიქტით დაზარალებული გოგონებისა და ქალების, დევნილი გოგონებისა და ქალების, ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა განსაკუთრებული საჭიროებები და აღნიშნულ პროგრამებში საპასუხო ზომები სათანადოდ იყოს ინტეგრირებული.</p>	<p>საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო</p> <p>ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>

### III. შესავალი

გენდერული თანასწორობის ფართო მიზნის მიღწევა სახელმწიფოს მიერ გააზრებული, სისტემური და კომპლექსური ღონისძიებების ურთიერთქმედებით არის შესაძლებელი. აღნიშნული მიზანი მოიცავს ქალთა გაძლიერებასა და მათთვის ისტორიულად შექმნილი ბარიერების აღმოფხვრას ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობის შექმნის გზით. აღნიშნული ნიშნავს, რომ ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობების თანაზიარობის პრინციპი ცხოვრების ყველა სფეროში მთავარ პრინციპს უნდა წარმოადგენდეს, როგორც ადამიანის უფლებას და სოციალური სამართლიანობის პირობას. გენდერული თანასწორობა ასევე წარმოადგენს, განვითარების, მშვიდობისა და თანასწორობის მნიშვნელოვან ელემენტს.<sup>7</sup> გენდერული თანასწორობის მისაღწევად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დისკრიმინაციული სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობა, არამედ შესაბამისი კანონმდებლობა თუ პოლიტიკა არ უნდა იყოს დისკრიმინაციული თავის გავლენასა და შედეგებში. შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციები არსებითი და ფორმალური თანასწორობის, დისკრიმინაციის აკრძალვის და ქალთა გაძლიერების თანადროულ გამოყენებას მოითხოვენ. მხოლოდ თანასწორობის ფორმალური მექანიზმების არსებობა არასაკმარისია, რათა სახელმწიფომ, ერთი მხრივ, შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები და მეორე მხრივ, უპასუხოს პირდაპირ და არაპირდაპირ დისკრიმინაციას და მიაღწიოს სუბსტანციურ თანასწორობას<sup>8</sup>.

გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N28 გამოყოფს სახელმწიფოთა ვალდებულებას, პატივი სცენ, დაიცვან და შეასრულონ დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება, უზრუნველყონ ქალთა განვითარების ხელშეწყობა, მათი პოზიციების გაუმჯობესება და არსებითი თანასწორობის მიღწევა. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ქალთა პერსპექტივების გაუთვალისწინებლობა კანონმდებლობაში, პოლიტიკაში, პროგრამებსა და პრაქტიკაში, შესაბამისად მისი ნეიტრალური ხასიათი [არაპირდაპირი] დისკრიმინაციას იწვევს, გამომდინარე იქიდან, რომ ნეიტრალური ზომები ყურადღების მიღმა ტოვებს ქალთა წინაშე არსებულ უთანასწორო მდგომარეობას. მეტიც, არაპირდაპირი დისკრიმინაცია აძლიერებს უკვე არსებულ

<sup>7</sup> BPfA, 1995, პარ.1

<sup>8</sup> ECOSOC, Contributions to the 2030 Agenda for Sustainable Development, იხ: [https://www.ohchr.org/Documents/Issues/MDGs/Post2015/CEDAW\\_Contribution\\_16May2016.pdf](https://www.ohchr.org/Documents/Issues/MDGs/Post2015/CEDAW_Contribution_16May2016.pdf)

უთანასწორობას ქალთა სტრუქტურული და ისტორიული უთანასწორობის, ქალსა და კაცს შორის ძალაუფლებრივი დისბალანსის აუღიარებლობის გამო.<sup>9</sup>

გაეროს 1995 წლის პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის ფარგლებში, რომელიც გამოყოფს ქალთა მიმართ თანასწორობის უზრუნველყოფის ვალდებულებას სახელმწიფოთათვის 12 კრიტიკულ არეალში, განისაზღვრა გენდერული თანასწორობის და მისი მეინსტრიმიინგის აუცილებლობა და კრიტიკულობა ქალთა უფლებების ყველა სფეროსა და უფლებასთან მიმართებით. დეკლარაციითა და სამოქმედო პლატფორმით ხაზი გაესვა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საჭიროებას სოციალური და ეკონომიკური განვითარების ყველა სფეროში. ამასთან, პეკინის დეკლარაციის სამოქმედო პლატფორმა აღნიშნავს, რომ ქალთა და კაცთა შორის უთანასწორობის აღმოფხვრისას რომელიც ძალაუფლებასა და გადაწყვეტილების მიღებას მიემართება ყველა საფეხურზე, მთავრობებმა და სხვა აქტორებმა ხელი უნდა შეუწყონ გენდერული პერსპექტივის აქტიურ და ხილვად მეინსტრიმიინგს, ყველა შესაბამის პოლიტიკასა და პროგრამაში იმგვარად, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება დააფუძნონ ქალსა და კაცზე გავლენების შეფასებასა და გენდერულ ანალიზს.<sup>10</sup>

საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზების მიზნით, ასევე, განხორციელდა რიგი ცვლილებები პოლიტიკასა და პროგრამებში, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, საკანონმდებლო გარემოსა და პრაქტიკაში ვლინდება რიგი მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაც სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ზომების მიღებას საჭიროებს. მიუხედავად გარკვეული პროგრესისა ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის პროცესში, სახელმწიფოს მხრიდან მიღებული ზომები დანაშაულის ინდივიდუალურ გამოვლინებასთან დაპირისპირებაში გამოიხატება და ვერ აგვარებს ძალადობის გამომწვევ სტრუქტურულ მიზეზებს. ამასთან, სახელმწიფოს ყურადღების მიღმა აქვს დატოვებული სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის ვალდებულება, შესაბამისად, საკმარისი ყურადღება არ ეთმობა ჯანმრთელობაზე, განათლებასა და ადეკვატურ სოციალურ დაცვაზე ხელმისაწვდომობის უფლებათა ეფექტურ რეალიზებას პრაქტიკაში.

ასევე, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საქართველოში გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმების კოორდინირებული მუშაობა. რესურსების სიმწირის და სფეროს არაპროპორციულობის გამო, სამთავრობო, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე არსებული ეროვნული მექანიზმები არსებითი სისუსტით გამოირჩევა თავისი ბუნდოვანი მანდატის, კანონმდებლობის მიერ მათი საქმიანობის არასრულყოფილი რეგულირებისა და შესაბამისი საკადრო და საბიუჯეტო რესურსების არარსებობის გამო, რაც ბუნებრივია, მნიშვნელოვან ნეგატიურ როლს თამაშობს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მექანიზმების ეფექტურ ამუშავებასა და მასთან დაკავშირებული საკითხების უწყებათა შიდა პოლიტიკაში ჩაშენების მხრივ.

<sup>9</sup> CEDAW, General recommendation No. 28 on the core obligations of States parties under article 2 of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, 2010, პარ. 16

<sup>10</sup> BPfA, para. 189

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს UNDP-ის 2018 წლის გამოცემის „**გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები (ნაწილი II)**“ განახლებულ პუბლიკაციას. აღნიშნული ანგარიშის მიზანს წარმოადგენდა ოთხი წლის წინ გაცემული რეკომენდაციების შესრულების პრაქტიკის შეფასება, საქართველოს კანონმდებლობაში ბოლოწლებში მიღწეული პროგრესის იდენტიფიცირება და კანონმდებლობასათუჲ პრაქტიკაში კვლავ არსებული კრიტიკული ხარვეზების ხაზგასმა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებასა და სხვა შესაბამისი ზომების მიღებას საჭიროებს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე დოკუმენტი რიგ მიმართულებებში იმეორებს და ძალაში ტოვებს 2018 წელს გაცემულ რეკომენდაციათა გარკვეულ ნაწილს, რადგანაც მათი უმეტესობა სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მიერ არ შესრულებულა ან არასრულყოფილად შესრულდა.



# IV. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

## ა. ქალები და ეკონომიკა

საქართველოში განხორციელებული კვლევები აჩვენებს, რომ ქალთა ეკონომიკური მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი კვლავ ნარჩუნდება. საქსტატის მიხედვით, სამუშაო ძალის მონაწილეობის დონის სტატისტიკური მაჩვენებელი, ბოლო 10 წლის განმავლობაში, კაცებისთვის შეადგენდა საშუალოდ 64.23%-ს და ქალებისთვის 43.86%-ს, რაც მიუთითებს შრომის ბაზარზე არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებაზე გენდერული მიმართულებით.<sup>11</sup> 2019 წლისთვის ქალების მხოლოდ 36.2% არის დასაქმებული, კაცების შემთხვევაში კი აღნიშნული მაჩვენებელი 50.1%-ს შეადგენს. შესაბამისად, ქალთა პროცენტული მაჩვენებელი სამუშაო ძალის მიღმა 56.9%-ია (კაცების შემთხვევაში კი – 38.2%).<sup>12</sup>

ქალთა დაბალი ეკონომიკური მონაწილეობის მიზეზები კომპლექსურია და ისინი სიღრმისეულ ანალიზს საჭიროებს. ქალების ეკონომიკური გაძლიერების შესახებ გაეროს მაღალი დონის პანელი ქალთა ეკონომიკური საქმიანობის შემაფერხებელ ოთხ ძირითად ბარიერს გამოყოფს:

- ▶ ხელშემშლელი სოციალური ნორმები;
- ▶ დისკრიმინაციული კანონმდებლობა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების სიმწირე;
- ▶ აუნაზღაურებელი საოჯახო საქმიანობისა და ოჯახის მოვლის არადიარება და არასათანადო ზრუნვა მის შემსუბუქებასა და გადანაწილებაზე;
- ▶ არასაკმარისი ხელმისაწვდომობა ფინანსურ და ციფრულ რესურსებსა და საკუთრებაზე.<sup>13</sup>

დასაქმებასთან დაკავშირებული სისტემური გენდერული უთანასწორობა აღრმავებს სიღარიბეს, ეკონომიკურ დაუცველობას და ამცირებს შესაძლებლობებს გოგონებისა და ქალებისთვის.<sup>14</sup>

<sup>11</sup> საქსტატი, ქალი და კაცი საქართველოში, 2020, იხ: <https://bit.ly/3J6gcKU>

<sup>12</sup> საქსტატი, ქალი და კაცი საქართველოში, 2020, იხ: <https://bit.ly/3sn8LJ9>

<sup>13</sup> UN Women, ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში, 2018, იხ: <https://bit.ly/3qhbmsB>

<sup>14</sup> UN Women, ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში, 2018, იხ: <https://bit.ly/3qeEf1G>

საქართველოში განხორციელებული კვლევები აჩვენებს, რომ საშინაო ვალდებულებები და რელევანტური სამუშაო ადგილების არარსებობა ხელს უშლით ქალებს სრულ განაკვეთზე მუშაობაში. შესაბამისად, ქალებს უწევთ, დასაქმდნენ ნახევარ განაკვეთზე, რათა დააბალანსონ ისეთი საშინაო სამუშაო, როგორცაა სახლისა და ბავშვის მოვლა, ოჯახზე ზრუნვის სხვა ვალდებულებები<sup>15</sup>. ამას გარდა, 2017 წლის სამუშაო ძალის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შესწორებული საათობრივი გენდერული სახელფასო სხვაობა საქართველოში 24.8 პროცენტი იყო<sup>16</sup>, რაც ნელს გენდერულ სახელფასო სხვაობას (17.7%) აღემატებოდა. ეს ნიშნავს იმას, რომ ანაზღაურებადი შრომით დაკავებულ ქალებს შრომის ბაზრისთვის უკეთესი მახასიათებლები აქვთ და ნაკლებ ხელფასს იღებენ, ვიდრე დასაქმებული კაცები<sup>17</sup>. გენდერული სახელფასო სხვაობის მაჩვენებელი მრავალი ურთიერთგადასაყვანი ფაქტორით არის განპირობებული, მათ შორის, როგორც ქალების მიმართ სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციული მიდგომებით (მაგ. მაღალანაზღაურებად და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალები უფრო იშვიათად ინიშნებიან), ასევე, კაცებისა და ქალების მიერ შესრულებულ სამუშაო საათებს შორის სხვაობითაც<sup>18</sup>.

საქსტატის მონაცემებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2019 წელს ქალების შემთხვევაში 869.1ლარს შეადგენდა, კაცების შემთხვევაში კი – 1 361.8 ლარს. საქართველოში თითქმის ყველა სექტორში კაცები ქალებზე მეტ საათს მუშაობენ. ქალები, კაცებთან შედარებით, ფორმალური დასაქმების ადგილზე კვირაში, საშუალოდ, 7 საათზე ნაკლებს მუშაობენ. კერძოდ, კაცები მუშაობენ კვირაში, საშუალოდ, 43 საათს, ქალები კი 36 საათს<sup>19</sup>. აღნიშნული ნიშნავს, რომ ოჯახური გარემოებები, განსაკუთრებით – სახლში ბავშვების ყოლა, პირველ რიგში, შრომის ბაზარზე დედის ქცევაზე მოქმედებს.<sup>20</sup> ქალთა დაბალ მონაწილეობას ეკონომიკაში, ასევე, ხელს უწყობს ბავშვთა მოვლის შესაძლებლობების ნაკლებობა, ისევე როგორც მოქნილი სამუშაო გრაფიკის არარსებობა სამუშაო ადგილებზე.<sup>21</sup>

გარდა ინდივიდუალურად ქალთა მონაწილეობისა, შინამეურნეობებში ოჯახური მდგომარეობა პირდაპირ გავლენას ახდენს ქალთა ეკონომიკურ მონაწილეობაზე. კერძოდ კი, კვლევების მიხედვით, დაუოჯახებელი კაცები და ქალები თანაბრად აქტიურობენ შრომის ბაზარზე, თუმცა საშინაო ვალდებულებების „ინტენსივობის“ მატებასთან ერთად, მათ შორის განსხვავებაც იზრდება. მარტოხელა დედები უფრო ნაკლებად მონაწილეობენ შრომის ბაზარზე, ვიდრე მარტოხელა მამები, თუმცა ყველაზე დიდი განსვლა შვილებიანი წყვილების შემთხვევაში აღინიშნება, რაც შვილების რაოდენობის მატებასთან ერთად იზრდება. „ასე, მაგალითად, ორი შვილის დედა ექვსჯერ ნაკლებად აქტიურია შრომის ბაზარზე, ვიდრე სამი შვილის მამა.“<sup>22</sup> ამრიგად, მარტოხელა დედების შემთხვევაში ეკონომიკური მონაწილეობის

<sup>15</sup> UN Women, Country Gender Equality Profile of Georgia, 2020

<sup>16</sup> UN Women, Analysis of the Gender Pay Gap and Gender Inequality in the Labor Market in Georgia, 2020

<sup>17</sup> იქვე

<sup>18</sup> იქვე

<sup>19</sup> The World Bank, Country Gender Assessment Georgia, March 2021, გვ. 45, იხ: <https://documents1.worldbank.org/curated/en/407151616738297662/pdf/Georgia-Country-Gender-Assessment.pdf>

<sup>20</sup> UN Women, გენდერული სახელფასო სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე, მარტი, 2020, გვ. 45, იხ: <https://bit.ly/326zbVa>

<sup>21</sup> IMF, Georgia: Selected Issues, გვ. 23.

<sup>22</sup> UN Women, გენდერული სახელფასო სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე, მარტი, 2020, გვ. 45, იხ: <https://bit.ly/321Dhls>

მაჩვენებელი ყველაზე დაბალია, აღნიშნული ნეგატიურ გავლენას პოვნებს შინამეურნეობაზე და სიღარიბის რისკებს 26%-ით ზრდის.<sup>23</sup>

საქართველომ, ქალთა ეკონომიკური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ბოლო წლების განმავლობაში არაერთი პოზიტიური ღონისძიება გაატარა. ასევე, აიღო მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვალდებულებები, რომლის ფარგლებში სახელმწიფომ იკისრა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით კონკრეტული და გაზომვადი ზომების მიღება, მათ შორის, პეკინის დეკლარაციითა და სამოქმედო პლატფორმით განსაზღვრული ვალდებულებების პრაქტიკაში ეფექტიანი განხორციელება. კერძოდ, BPFA – კრიტიკული არეალი „ქალები და ეკონომიკა“, განსახორციელებლად შემდეგ ვალდებულებებს გამოყოფს:

- ▶ **სტრატეგიული ამოცანა F.1:** გააძლიეროს ქალთა ეკონომიკური უფლებები და დამოუკიდებლობა, მათ შორის, დასაქმებაზე, შესაბამის სამუშაო გარემოსა და ეკონომიკურ რესურსებზე კონტროლის საშუალებით;
- ▶ **სტრატეგიული ამოცანა F.2:** გაამარტივოს ქალთა თანაბარი მისაწვდომობა რესურსებზე, დასაქმებაზე, ბაზარსა და ვაჭრობაზე;
- ▶ **სტრატეგიული ამოცანა F.3:** დაბალი შემოსავლის მქონე ქალებისთვის უზრუნველყოს ბიზნესის სერვისებზე, ინფორმაციაზე, ტექნოლოგიებზე და ბაზარზე ხელმისაწვდომობა;
- ▶ **სტრატეგიული ამოცანა F.4:** გააძლიეროს ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები და კომერციული ქსელები;
- ▶ **სტრატეგიული ამოცანა F.5:** აღმოფხვრას პროფესიული სეგრეგაცია და ყველა ფორმის დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე;
- ▶ **სტრატეგიული ამოცანა F.6:** ხელი შეუწყოს ქალებისა და კაცებისთვის სამუშაოსა და საოჯახო ვალდებულებების ჰარმონიზებას.

ამასთან, გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის ქვეშ ქვეყნებს ეკისრებათ ვალდებულება, აღიარონ: არაანაზღაურებადი შრომა და შინ შრომა საჯარო სერვისების, ინფრასტრუქტურის, სოციალური დაცვის პოლიტიკებისა და შინამეურნეობებში ვალდებულებათა თანაზიარობის პრინციპის ხელშეწყობის გზით (ამოცანა. 5.4.); უზრუნველყონ ქალთა სრული და ეფექტური მონაწილეობა და თანაბარი შესაძლებლობები ლიდერ პოზიციებზე გადაწყვეტილებათა მიმღებ ყველა საფეხურზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ საჯარო ცხოვრებაში (ამოცანა 5.5.); განახორციელონ რეფორმები, რათა ქალებს მიეცეთ წვდომა თანაბარ ეკონომიკურ რესურსებზე, ასევე, მიწასა და სხვა ქონებაზე საკუთრებისა და კონტროლის უფლებაზე, ფინანსურ რესურსებზე, მემკვიდრეობასა და ბუნებრივ რესურსებზე (ამოცანა 5.ა.), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის ქვეშ საქართველოს ყველა ამოცანა არ აქვს ნაციონალიზებული – მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ეროვნული დოკუმენტი შეიცავს, როგორც გლობალურ მიზნებს, ისე საქართველოსადმი მისადაგებულ ამოცანებს, რომელთა შორის, მაგალითად არ გვხვდება ამოცანა 5.4., რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალთა აუნაზღაურებელი შრომის აღიარებასა და სოციალური დაცვის პოლიტიკის განვითარების ვალდებულებებს მოიცავს.<sup>24</sup>

<sup>23</sup> UN Women, ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში, 2018, იხ: <https://bit.ly/3FrrR4w>

<sup>24</sup> მდგრადი განვითარების მიზნების (SDG's) ეროვნული დოკუმენტი

რაც შეეხება, ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმას 2018-2020 წლებისთვის, მასში მითითებულია გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც სახელმწიფომ აიღო ქალთა ეკონომიკური მონაწილეობის გასაძლიერებლად. კერძოდ: სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკურ რესურსებზე ქალთა თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა (12.9.); აღიაროს ქალთა აუნაზღაურებელი შრომა და მიიღოს შესაბამისი ზომები მისი შემცირებისა და გადანაწილებისთვის (12.7.); გაზარდოს შრომით ბაზარზე ქალთა მონაწილეობა და ხელი შეუწყოს შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას (12.6.); ასევე, მიიღოს შესაბამისი ზომები ქალ მეწარმეთა ხელშეწყობისთვის (12.9.2). თუმცა, აღებული ვალდებულებების შესასრულებლად მიღებული ზომები, ზემოთ აღწერილი მდგომარეობის გათვალისწინებით, სრულად ვერ უზრუნველყოფს ქალების წინაშე არსებულ გამოწვევების დაძლევას. აქვე აღსანიშნია, რომ სამოქმედო გეგმებში არ არის გათვალისწინებული გენდერული ბიუჯეტირების წარმოება, ისევე როგორც გენდერული გავლენის შეფასებების განხორციელება, რაც ეკონომიკის სფეროში გენდერული მენისტრიმინგის განხორციელებას უზრუნველყოფდა.

**რეკომენდაცია:**

- ▶ საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს მდგრადი განვითარების მიზნების ქვეშ აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი მთავრობის მხრიდან, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს აქტიური ჩართულობით. ასევე, მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების მიზნების ქვეშ ყველა ამოცანის ნაციონალიზაცია, რათა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზანი იქნეს მიღწეული;
- ▶ საქართველოს პარლამენტმა სისტემურ დონეზე უზრუნველყოს ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით.

**ბ. ქალთა შრომითი უფლებები**

ქალთა გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საქართველომ, აღიარებული ვალდებულებების ფარგლებში, არაერთი რეკომენდაცია მიიღო, რომელიც სამუშაო ადგილზე თანასწორობის უზრუნველყოფის სტანდარტების საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად მოწესრიგებას უკავშირდება.

CEDAW კომიტეტის 2014 წლის შემაჯამებელი დაკვირვებები კრიტიკულად მიმოიხილავს ქალთა შრომის რეგულირების საკითხებს საქართველოში. კომიტეტი უთითებს, რომ ქვეყანაში კვლავაც პრობლემად რჩება ქალთა დასაქმების დაბალი მაჩვენებელი, ისევე როგორც ანაზღაურებებს შორის გენდერული სახელფასო სხვაობა, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სეგრეგაციასთან ერთად. მისთვის პრობლემად რჩება ბავშვის მოვლის ადეკვატური სივრცეების არარსებობა. კომიტეტი, ასევე, მიუთითებს სამუშაო ადგილზე დედობის დაცვისა და სექსუალური შევიწროების ამკრძალავი კანონმდებლობის სუსტ აღსრულებაზე, ეროვნული შრომის ინსპექციისა თუ სხვა მსგავსი მექანიზმის არარსებობის

გამო.<sup>25</sup> იგი მოუწოდებს სახელმწიფოს, მიიღოს ქმედითი ზომები შრომით ბაზარზე ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად და ქალების დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე კონცენტრაციის დასაძლევად.<sup>26</sup>

საქართველოს, ასევე, რატიფიცირებული აქვს **მსო-ს N100** კონვენცია თანაბარი ანაზღაურების შესახებ და კონვენცია N111 დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებთან მისადაგების კომიტეტმა 2018 წელს, შრომის საერთაშორისო კონფერენციის 107-ე სესიაზე, განხილვის საფუძველზე საქართველოს მთავრობას მიუთითა ეროვნული კანონმდებლობის, კერძოდ კი, შრომის კოდექსის, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონისა და საჯარო სამსახურის შესახებ კანონის ფარგლებში, სოციალურ პარტნიორობთან თანამშრომლობით უზრუნველყოს ქალებისა და კაცების თანაბარი ღირებულების შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის რეგულირება. ასევე, შექმნას აღსრულებისა და იდენტიფიცირების ეფექტური მექანიზმები, პრაქტიკაში მათ განსახორციელებლად.<sup>27</sup>

შრომით ბაზარზე გენდერული დისკრიმინაციისა და ბარიერების აღმოსაფხვრელად საქართველომ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებშიც აიღო ვალდებულება. მდგრადი განვითარების მე-10 მიზანი უთანასწორობის შემცირების შესახებ, სახელმწიფოებს მოუწოდებს, „უზრუნველყონ თანასწორი შესაძლებლობები და შეამცირონ სამუშაოს შედეგების კუთხით უთანასწორობა, მათ შორის, დისკრიმინაციული კანონმდებლობის, პოლიტიკისა თუ პრაქტიკის აღმოფხვრით და ამ მხრივ სათანადო კანონმდებლობის, პოლიტიკისა თუ საქმიანობის ხელშეწყობით“.<sup>28</sup> საქართველომ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებისა და მათ წევრ სახელმწიფოთა შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით<sup>29</sup>, აიღო ვალდებულებები, უზრუნველყოს დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარი შესაძლებლობების საკითხებზე ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ჰარმონიზება.

წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასთან მიმართებით საგულისხმოა შემდეგი დირექტივები:

- ▶ 1978 წლის 19 დეკემბრის საბჭოს **79/7/EEC** დირექტივა – სოციალური უსაფრთხოების საკითხებში კაცისა და ქალის თანაბარი მოპყრობის პრინციპების პროგრესული განხორციელების შესახებ (შესრულების ვადა – 2018 წელი);
- ▶ 1992 წლის 19 ოქტომბრის საბჭოს **92/85/EEC** დირექტივა – ორსულ, ახალნამშობიარებ და მეძუძურ მუშაკთათვის შრომის უსაფრთხო პირობებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შესახებ (მე-10 ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში) (შესრულების ვადა – 2018 წელი);

<sup>25</sup> CEDAW/C/GEO/Q/4-5/Add.1. Concluding observations on the combined fourth and fifth periodic reports of Georgia, პარა. 28

<sup>26</sup> იქვე, პარა. 29 (a)

<sup>27</sup> Individual Case (CAS) – Discussion: 2018, Publication: 107th ILC session (2018), იხ: [https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORM-LEXPUB:13100:0::NO::P13100\\_COMMENT\\_ID:3953286](https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORM-LEXPUB:13100:0::NO::P13100_COMMENT_ID:3953286)

<sup>28</sup> მიზანი 10.3, იხ: <https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/11803Official-List-of-Proposed-SDG-Indicators.pdf>

<sup>29</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, XXX დანართი, იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

- ▶ 2000 წლის 27 ნოემბრის საბჭოს **2000/78/EC** დირექტივა<sup>30</sup> – დასაქმებისა და შრომითი საქმიანობის საკითხებთან დაკავშირებით თანაბარი მოპყრობის ზოგადი ჩარჩოს შესახებ (შესრულების ვადა – 2017 წელი);
- ▶ 2006 წლის 5 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს **2006/54/EC** დირექტივა – დასაქმებისა და საქმიანობის საკითხებში კაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელების შესახებ (შესრულების ვადა – 2018 წელი).

საქართველოს შრომის კოდექსის ცვლილებამდელი რეგულირება, დისკრიმინაციის აკრძალვასთან მიმართებით, არსებითად სუსტი იყო. კოდექსი არ განმარტავდა პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის ცნებას და მას შევიწროების დეფინიციამი აერთიანებდა, რაც დისკრიმინაციის საკანონმდებლო რეგულირების საერთაშორისო სტანდარტს არ შეესაბამებოდა. გარდა ამისა, კოდექსი არც დისკრიმინაციით დაცულ სფეროებს ადგენდა და არც მის ფარგლებს აყალიბებდა. 2020 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა უზრუნველყო საქართველოს შრომის კოდექსის ნორმათა ნაწილის სრული შესაბამისობა ევროკავშირისა და მსო-ს მიერ განსაზღვრულ სტანდარტებთან, განსაკუთრებით დისკრიმინაციის ნაწილში<sup>31</sup>. თუმცა ის კვლავ საჭიროებს კანონებისა თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გადახედვასა და ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანას – მიუხედავად იმისა, რომ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ დირექტივათა დიდი ნაწილის შესრულების ვალდებულება 2017-2018 წლებით იყო განსაზღვრული, საქართველოს დღემდე არ მოუხდენია დირექტივების დებულებებთან შრომის კანონმდებლობის სრული ჰარმონიზება.

ამასთან, საქართველოს ჯერაც არ მოუხდენია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (მსო) შემდეგი მნიშვნელოვანი კონვენციების რატიფიცირება:

- ▶ C 183 – დედობის დაცვის კონვენცია;
- ▶ C 156 – კონვენცია მშრომელებზე საოჯახო ვალდებულებებით;
- ▶ C 189 – კონვენცია საშინაო მშრომელების შესახებ;
- ▶ C 131 – კონვენცია მინიმალური ანაზღაურების შესახებ.

## ბ.1. სახელფასო თანასწორობა

2020 წლის ცვლილებებამდე მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსი თანაბარი ანაზღაურების პრინციპს არ მოიცავდა. აღნიშნული პრინციპის ინკლუზიის შესახებ ვალდებულება საქართველომ საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აიღო. ევროპარლამენტისა და საბჭოს **2006/54/EC** დირექტივა, რომელიც დასაქმებისა და საქმიანობის საკითხებთან მიმართებით კაცისა და ქალის

<sup>30</sup> იხ: Council Directive 2000/78/EC of 27 November 2000 establishing a general framework for equal treatment in employment and occupation: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32000L0078>

<sup>31</sup> შრომის კანონმდებლობის რეფორმის შემდგომ საქართველოს შრომის კოდექსისა და საჯარო სამსახურის შესახებ კანონის შესაბამისობის დეტალური ანალიზი 2020 წელს განხორციელდა გაეროს ქალთა ფონდის მიერ. იხ: UN Women, შრომის კანონმდებლობის ცვლილებების გენდერული ანალიზი, 2020 (not yet published, possible date for publishing is November, 2021)

თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას უზრუნველყოფს, თანაბარი სამუშაოსთვის ან თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპს განსაზღვრავს და ანაზღაურების განსაზღვრისას განსხვავებული კრიტერიუმების სახით დისკრიმინაციას კრძალავს.<sup>32</sup>

CEDAW-მ, საქართველოს შესახებ შემაჯამებელ დაკვირვებებში, მოუწოდა სახელმწიფოს, თანაბარი ღირებულების შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის განსახორციელებლად მიიღოს ადეკვატური ზომები, რაც ქალისა და კაცის ანაზღაურების მუდმივი შეფასებით უნდა განახორციელოს ყველა სექტორის მიხედვით.<sup>33</sup>

ამასთან, შსო-ს სტანდარტებთან მისადაგების კომიტეტმა 2018 წელს, შრომის საერთაშორისო კონფერენციის 107-ე სესიაზე განხილვის შედეგად, საქართველოს მოუწოდა, მოეხდინა შრომის კოდექსის, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონისა და საჯარო სამსახურის შესახებ კანონში ქალებისა და კაცების თანაბარი ღირებულების შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის რეგულირება, სოციალურ პარტნიორობებთან თანამშრომლობით.<sup>34</sup>

აღნიშნულ ვალდებულებათა შესრულების პასუხად, საქართველოს შრომის კოდექსის ცვლილებებმა მოიცვა, ერთი მხრივ „ანაზღაურების“ ცნება<sup>35</sup> და მეორე მხრივ, თანაბარი შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი.<sup>36</sup> თუმცა შრომის კოდექსის ცვლილებებმა არ მოიცვა თანაბარი ღირებულების შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების გადახდის ვალდებულება, რაც სახელფასო სხვაობის მთავარ მიზეზებთან ბრძოლის შესაძლებლობას მოგვცემდა და ქალისა და კაცის მიერ შესრულებული თანაბარი ღირებულების სამუშაო თანაბრად შეფასდებოდა.

ყურადსაღებია, რომ თანაბარი ღირებულების შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი არც საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონშია რეგულირებული. კანონის 57-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, მოხელეთა შრომის ანაზღაურების სისტემა გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს ემყარება, რომლებიც თანაბარი სამუშაოს შესრულებისთვის თანაბარი ანაზღაურების მიღებას გულისხმობს. ეს განსაზღვრება არსებითად განსხვავდება თანაბარი ღირებულების შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპისგან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი თანაბარი ღირებულების შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის ექსპლიციტურ რეგულირებას მოიცავდეს, მოხელეთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად.

#### რეკომენდაციები:

- ▶ საქართველოს შრომის კოდექსსა და საჯარო სამსახურის შესახებ კანონში განისაზღვროს თანაბარი ღირებულების შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების გადახდის ვალდებულება;

<sup>32</sup> 2006/54/EC, მუხლი 4

<sup>33</sup> CEDAW/C/GEO/Q/4-5/Add.1. Concluding observations on the combined fourth and fifth periodic reports of Georgia, პარა. 29 (b)

<sup>34</sup> Individual Case (CAS) – Discussion: 2018, Publication: 107th ILC session (2018), იხ: [https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORM-LEXPUB:13100:0::NO::P13100\\_COMMENT\\_ID:3953286](https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORM-LEXPUB:13100:0::NO::P13100_COMMENT_ID:3953286)

<sup>35</sup> მუხლი 41, ნაწილი 1

<sup>36</sup> მუხლი 4, ნაწილი 4

▶ საქართველოს შრომის კოდექსსა და საჯარო სამსახურის შესახებ კანონში „თანაბარი ღირებულება“ ექსპლიციტურად განისაზღვროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროკავშირის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

## ბ.2. ორსულ, ახალნამშობიარე და მეძუძურ მშრომელთა უფლებები

საქართველოს შრომის კოდექსის ცვლილებებით, ორსულობისა და მშობიარობის გამო დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ანაზღაურებადი შვებულება 126 კალენდარული დღე (მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 143 კალენდარული დღე), ხოლო ბავშვის მოვლის გამო გათვალისწინებული შვებულებით – 604 კალენდარული დღე, საიდანაც 57 კალენდარული დღე ანაზღაურებადია, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ისარგებლოს ბავშვის დედამ ან მამამ.<sup>37</sup>

საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილებამდელი რეგულაცია არსებითად ბუნდოვანი იყო და მამებს არ აძლევდა საშუალებას, ესარგებლათ არც მამობის და არც ბავშვის მოვლის გამო შვებულებით. კერძოდ, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოცემულ ბრძანებებში მითითებულია, რომ მამებს შვებულების უფლებით სარგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუკი ბავშვის დედა გარდაიცვლება.<sup>38</sup> არსებითად წინგადადგმული ნაბიჯია ის, რომ შრომის კოდექსის ახალ რეგულაციაში გვხვდება მამის მიერ შვებულების გამოყენების შესახებ მითითება, თუმცა მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ, კანონმდებლობაში არსებობდეს ჩანაწერი ანაზღაურებადი და არაგადაცემადი მამობის შვებულების შესახებ, რაც თავისთავად ხელს უწყობს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას და მათ შრომის ბაზარზე მეტ ჩართულობას. მეორეს მხრივ, არსებული ნორმის არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად, ასევე განახლდეს ის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არეგულირებს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების წესისა და საავადმყოფო ფურცლის გაცემას.

რაც შეეხება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურებას, საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები აღნიშნულ დანაწესს არ შეეხება. შესაბამისად, ნარჩუნდება დასაქმებულთა შვებულების ანაზღაურების დამოკიდებულება დამსაქმებელთა ნებაზე, სახელმწიფო კი მხოლოდ 1000 ლარის კომპენსაციის გადახდას უზრუნველყოფს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კერძო სექტორში დასაქმებულს ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება საერთოდ არ გააჩნია. 1000-ლარიან კომპენსაციას გასცემს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტო. თუმცა, თუკი დასაქმებული ქალი თვეში 100 ლარზე ნაკლებს გამოიმუშავებს, მისთვის გამოყოფილი ერთჯერადი ფულადი დახმარების ოდენობა 600 ლარამდე მცირდება. შესაბამისად, განსაზღვრული ფულადი დახმარება ვერ აკმაყოფილებს დედის/მშობლის საჭიროებებს, რათა მან შეძლოს ადეკვატური ცხოვრების სტანდარტის

<sup>37</sup> მუხლი 37

<sup>38</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №281/6, 25 სექტემბერი 2007, მუხლი 6(6) და ბრძანება №231/6, 25 აგვისტო 2006, მუხლი 9(7).



შენარჩუნება. აქედან გამომდინარე, შრომის კოდექსში დამტკიცებული ცვლილებები არ შეესაბამება ევროკავშირის ღირებულებითა და შსო-ს კონვენციით დადგენილ სტანდარტს.

შსო-ს ორგანიზაციის N183 კონვენციის მიხედვით (რომელიც საქართველოს მიერ რატიფიცირებული არ არის, თუმცა მისი რატიფიცირების შესახებ რეკომენდაცია საქართველოს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა ჯერ კიდევ 2014 წელს გასცა<sup>39</sup>), დასაქმებულებს ფულადი კომპენსაციისა თუ შემწეობის მიღების უფლება აქვთ დედობისა და მშობლობის გამო შვებულების განმავლობაში. ამგვარი ფულადი ბენეფიტი იმხელა უნდა იყოს, რომ ქალისთვის საკუთარი თავის, შვილის მოვლა და ადეკვატური ცხოვრების დონის შენარჩუნება უზრუნველყოს. ისეთ შემთხვევებში, თუ ანაზღაურება დასაქმებულის წინა ანაზღაურების საფუძველზე გამოითვლება, ანაზღაურების რაოდენობა წინა გამომუშავებული ანაზღაურების 2/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.<sup>40</sup>

კერძო სექტორში დასაქმებულისგან განსხვავებით, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის თანახმად, ამ მიმართულებით დაცვის შედარებით მაღალი სტანდარტია დადგენილი. საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 200 კალენდარული დღე. ანაზღაურება შესაბამისი საჯარო დაწესებულების ბიუჯეტიდან გაიცემა, მოხელის თანამდებობრივი სარგოსა და საკლასო დანამატის გათვალისწინებით. თუმცა, რადგანაც საჯარო სამსახურის შესახებ კანონი საჯარო სამსახურში დასაქმებულ ყველა მშრომელს არ ეხება<sup>41</sup>, პრაქტიკაში საჯარო სამსახურში დასაქმებულთათვის გათვალისწინებული უმჯობესი პირობები თუ ბენეფიტები დასაქმებულთა მხოლოდ არსებითად მცირე რაოდენობისთვის არის ხელმისაწვდომი.

#### რეკომენდაციები:

- ▶ საქართველოს პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს შსო-ს 183-ე და 156-ე კონვენციების რატიფიცირება;
- ▶ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტმა მუშაობა გააგრძელოს საქართველოს „შრომის კოდექსის“ შრომის საერთაშორისო

<sup>39</sup> CEDAW/C/GEO/Q/4-5/Add.1. პარა. 29 (c)

<sup>40</sup> ILO, Convention N183, მუხლი 6, პუნქტი 3 და 4

<sup>41</sup> საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-3 მუხლის გ) პუნქტის მიხედვით, საჯარო სამსახურად მიიჩნევა, სხვა საქმიანობებთან ერთად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში საქმიანობა, „გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და ამ კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობისა.“ ანაზღაურების საკითხთან მიმართებით კი, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების წესი, სხვა საქმიანობებთან ერთად, არ ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე, გარდა მისი გამგეობის აპარატის მოსამსახურისა. ასევე – წევრობაზე დაფუძნებულ (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა), კულტურულ, საადმინისტრაციო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო/სამეცნიერო-კვლევით, სასპორტო და რელიგიურ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და კულტურულ, საადმინისტრაციო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო/სამეცნიერო-კვლევით, სასპორტო და რელიგიურ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში დასაქმებულებზე. შესაბამისად, აღნიშნულ საქმიანობებზე შრომითი ურთიერთობის (მათ შორის, ანაზღაურების საკითხის) რეგულირებას შრომის კოდექსი ახდენს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ და კანონით განსაზღვრულ სხვა სფეროებში მშრომელთა უფლებების დაცვის შედარებით დაბალი სტანდარტი მოქმედებს, იმ პირობებში, როდესაც ქალები სწორედ აღნიშნულ საქმიანობებში არიან დიდ წილად ჩართულები, რაც საჯარო სამსახურში დასაქმებულ ქალთა უფლებრივ მდგომარეობას საგრძნობლად აუარესებს.

ორგანიზაციისა და ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებთან სრული ჰარმონიზებისთვის. აღნიშნული, ასევე გულისხმობს, საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შესაბამის ცვლილებებსაც. გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო სამსახურის შესახებ კანონი არ ვრცელდება საჯარო სამსახურში დასაქმებულ ყველა პირზე, სხვადასხვა ფორმის/სტატუსის დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა ჩამოუვარდება საჯარო სამსახურის შესახებ კანონით რეგულირებულ საჯარო უწყებებში დასაქმებულ პირთა შრომით უფლებებს, ამრიგად, კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული განსხვავების პრობლემურობა და მოახდინოს ამ ჯგუფების გათანაბრება;

- ▶ მნიშვნელოვანია, კანონმდებლობის გადახედვა რათა, ერთის მხრივ, სათანადოდ აისახოს ანაზღაურებადი და არაგადაცემადი მამობის შვებულება, რაც ხელს უწყობს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას და მათ შრომის ბაზარზე მეტ ჩართულობას. ასევე, მამის მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულების პრაქტიკული გამოყენების უზრუნველსაყოფად და არსებული ნორმის არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია განახლდეს ის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არეგულირებს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების წესისა და საავადმყოფო ფურცლის გაცემას.
- ▶ სახელმწიფომ, ასევე უნდა დაიცვას იმ ადამიანთა უფლებები, რომელთა შრომითი ურთიერთობა საქართველოს შრომის კოდექსით რეგულირდება, შესაბამისად, კანონით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდში დასაქმებულისთვის ყოველთვიური ანაზღაურების ადეკვატური ოდენობით გადახდა, როგორც ეს განსაზღვრულია შსო-ს N183 კონვენციაში.

### ბ.3. მინიმალური ანაზღაურება

თანაბარი ანაზღაურების პრინციპის ეფექტური აღსრულებისთვის, ღირსეული შრომის უზრუნველყოფისა და ქალთა შრომითი დისკრიმინაციის აღმოფხვრის პროცესში მინიმალური ხელფასის რეგულირებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. მოქმედი შრომის კოდექსი არ შეიცავს დანაწეს მინიმალური ხელფასის შესახებ და არც მის შესამუშავებლად ადგენს ვადებს.

საქართველოში მინიმალური ხელფასის საკითხი რელევანტური რეგულირების მიღმა დარჩენილი და დღეს არსებული რეტროგრადული ნორმა დასაქმებულთა ინტერესების საზიანო შინაარსისაა<sup>42</sup>, რაც არღვევს ღირსეული შრომის უზრუნველყოფის პრინციპს. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის N351 ბრძანებულების<sup>43</sup> საფუძველზე მინიმალური ხელფასი საქართველოში 20 ლარია.<sup>44</sup> მიუხედავად იმისა, რომ ბრძანება შეიცავს

<sup>42</sup> ფრიდრიხ ებერტის ფონდი, „მინიმალური ხელფასის პოლიტიკის შესაბამისობის შემოწმება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ვალდებულებების ქრილში“, 2016, იხ: [http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Studie\\_GEO.pdf](http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Studie_GEO.pdf)

<sup>43</sup> აღნიშნული რეგულაცია არ ვრცელდება საჯარო სკოლებში დასაქმებულ მასწავლებლებზე.

<sup>44</sup> მუხლი 1, იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/112786?publication=0>

ნორმას, რომელიც ქვეყნის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით მინიმალური ხელფასის გადახედვას ემსახურება<sup>45</sup>, ფუნდამენტური ცვლილებები მას დღემდე არ განუცდია. მინიმალური ხელფასის რეგულაციების ფუნდამენტური რეფორმა, სახელმწიფოს მიერ სოციალურ პარტნიორებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობის გზით, კრიტიკული მნიშვნელობისაა. მინიმალური ხელფასი საქართველოში არსებულ რეალობას უნდა ასახავდეს და ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობასა და მშრომელების საჭიროებებს შეესაბამებოდეს.<sup>46</sup>

მინიმალური ხელფასის მნიშვნელობა ასახულია შსო-ს N100 კონვენციაში, როგორც თანაბარი ანაზღაურების პრინციპის აღსრულების ბაზისური საშუალება. შსო-ს მიხედვით, იმის გამო, რომ „უმეტესწილად, ქალები არიან წარმოდგენილნი დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე, მინიმალური ანაზღაურების ადეკვატური პოლიტიკა [სხვა მშრომელებთან ერთად] სწორედ მათთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან ბენეფიტს“.<sup>47</sup>

შსო-ს კონვენცია N131 სპეციფიკურად ეხება მინიმალური ანაზღაურების<sup>48</sup> საკითხს და ხაზს უსვამს მის როლს მშრომელთა უფლებების დაცვასა და შესაბამის ქვეყნებში არსებული საბაზისო საჭიროებების ასახვაში (აღნიშნული კონვენცია საქართველოს მიერ რატიფიცირებული არ არის).

#### რეკომენდაციები:

- ▶ საქართველოს პარლამენტმა უნდა მოახდინოს შსო-ს 131-ე კონვენციის რატიფიცირება;
- ▶ მნიშვნელოვანია, შრომის კოდექსში მოხდეს მინიმალური ანაზღაურების ადეკვატური რეგულირება. აღნიშნული პროცესი სოციალურ პარტნიორებთან, მშრომელთა გაერთიანებებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მათ შორის, შსო) და შესაბამის სპეციალისტებთან გაფართოებულ კონსულტაციებსა და მჭიდრო თანამშრომლობას უნდა დაეფუძნოს, რათა მინიმალური ხელფასის განსაზღვრის მექანიზმმა სრულად მოიცვას მშრომელების საჭიროებები და ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას დაეფუძნოს;
- ▶ იმისათვის, რომ მინიმალური ხელფასი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტს შეესაბამებოდეს, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილ იქნეს მინიმალური ხელფასის დადგენის მეთოდოლოგიის/მექანიზმის შესაბამისობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტთან.

<sup>45</sup> მუხლი 5

<sup>46</sup> GTUC, PDO, Checking the Accordance of the Minimum Wage politics of Georgia in light with the socio-economic development and international obligations, 2016, pg. 5-6, see: [http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Studie\\_GEO.pdf](http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Studie_GEO.pdf)

<sup>47</sup> ILO, Equal pay, An introductory guide, 2013, pg. 50-51, იხ: [https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---dcomm/---publ/documents/publication/wcms\\_216695.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---dcomm/---publ/documents/publication/wcms_216695.pdf)

<sup>48</sup> შსო-ს არცერთი ინსტრუმენტი არ განსაზღვრავს „მინიმალურ ანაზღაურებას“. ILO: General Survey of 1992, პარა.27; თუმცა არსებობს შსო-ს ექსპერტთა კომიტეტის განმარტება, რომლის მიხედვით, „მინიმალური ხელფასი არის თანხის ის მინიმალური ოდენობა, რომელიც უნდა გადაეხადოს მუშაკს გარკვეული პერიოდის განმავლობაში სამუშაოს შესრულებისთვის ან მომსახურების გაწევისთვის და მუშაკის მიერ სამუშაოს შესრულებაზე დახარჯული დროის ან მიღებული შედეგის შესაბამისად დაანგარიშდეს. მინიმალური ხელფასი არ შეიძლება შემცირდეს ინდივიდუალური ან კოლექტიური ხელშეკრულებით, იგი განისაზღვრება კანონით და მისი ოდენობა, კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებასთან ერთად, უნდა ფარავდეს მუშაკისა და მისი ოჯახის მინიმალურ მოთხოვნებს.“ იქვე, პარა. 42

## ბ.4. შრომის ინსპექციის მანდატი

შრომის კოდექსის ცვლილებები კანონის აღსრულების მექანიზმად განსაზღვრავს შრომის ინსპექციას, რომლის საქმიანობას, შრომის კოდექსის გარდა, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიც არეგულირებს. დისკრიმინაციის, მათ შორის, გენდერული თანასწორობისა, ქალისა და კაცისათვის თანაბარი შესაძლებლობების გარანტიების უზრუნველყოფისა და შევიწროების აღმოფხვრაზე ზედამხედველობის კუთხით რეგულირებათა აღსრულების მანდატი შრომის ინსპექციას ეკისრება, რომელსაც ამავე კანონის საფუძველზე აქვს ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების უფლებამოსილება.<sup>49</sup>

შრომის კოდექსის მიერ შრომის ინსპექციის ფუნქციურობის ხელშეწყობა და მისი ამოქმედება არსებითი მნიშვნელობისაა დისკრიმინაციასთან ბრძოლისთვის, რაც ეფექტიანად და გამართულად მუშაობის თვალსაზრისით, არსებითად გააუმჯობესებს დასაქმებულთა უფლებრივ მდგომარეობას სამუშაო ადგილზე.

თუმცა, მიუხედავად შრომის კოდექსისა და შრომით ურთიერთობებში თანასწორობის აღსრულების მექანიზმის შემუშავებისა, მნიშვნელოვანია, რომ ის გარკვეულწილად საქართველოს სახალხო დამცველის ფუნქციების დუბლირებას ახდენს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატი უნდა შემოფარგლულიყო დასაქმების ადგილზე თანასწორობის მხრივ ზოგადი პოლიტიკის შეფასებით, სავარაუდო დისკრიმინაციის ინდივიდუალური შემთხვევის აღმოჩენის შემთხვევებისთვის კი ფაქტის სახალხო დამცველთან რეფერირების მექანიზმი დანერგილიყო.<sup>50</sup>

ორი მექანიზმის ერთდროულად არსებობა, შესაძლოა, პრაქტიკაში ხელის შემშლელი აღმოჩნდეს თანმიმდევრული ეროვნული სტანდარტის დადგენისთვის. კონკრეტულ შემთხვევებში კი, შესაძლოა, წარმოშვას განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღების და ფინანსური რესურსის გაუმართლებელი ხარჯვის საფრთხე.<sup>51</sup>

### რეკომენდაცია:

- ▶ დისკრიმინაციის საკითხებზე საქართველოს სახალხო დამცველისა და შრომის ინსპექციის მანდატების მკაფიო გამიჯვნისთვის აუცილებელია, საქართველოს პარლამენტმა, გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩართულობით, უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა და კონსულტაციების გამართვა, რათა დისკრიმინაციის შემთხვევებზე მანდატების უკეთესი დიფერენცირება მოხდეს და ეფექტიანი საპასუხო მექანიზმები ჩამოყალიბდეს.

<sup>49</sup> შრომის კოდექსის პროექტი, მუხლი 76

<sup>50</sup> იხ: <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-miesalmeba-shromis-kanonmdeblobashi-gankhortsielebul-tsvlilebebs>

<sup>51</sup> იქვე

### 3. გენდერული თანასწორობა სოფლის მეურნეობაში

სოფლის მოსახლეობის წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში 2017 წლისთვის 42%-ს შეადგენდა, 2020 წლისთვის კი ის 1%-ით არის შემცირებული და 41%-ს შეადგენს, ხოლო 2021 წლისთვის 40.6%-ია.<sup>52</sup> 2019 წლისთვის სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 7.4%-ს შეადგენდა.<sup>53</sup>

აგრარულ სექტორში განსაკუთრებული სიმწვავეთ დგას მიწის ფრაგმენტაციის პრობლემა. პრაქტიკაში კრედიტების გაცემას სხვადასხვა ფაქტორი აფერხებს. მაღალია სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაცია, რის გამოც მცირე მეწარმეობა სარისკო ხდება, კომერციული საკრედიტო ორგანიზაციები კი, ჩვეულებრივ, მსხვილ ფერმერებზე ახდენენ ფოკუსირებას<sup>54</sup>. ამასთან, როდესაც სახელმწიფო პროგრამები ბენეფიციარისგან მიწის ფლობას ითხოვენ, ქალები ორმაგად უფრო არამომგებიან პოზიციაში არიან, რადგან ან საერთოდ არ ფლობენ ან ფლობენ მცირე მიწას. საქსტატის მონაცემების მიხედვით, სასოფლო მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის განაწილების პროცენტულ მაჩვენებელში კაცსა და ქალს შორის კვლავ რადიკალური დისბალანსია. 2017 წლის მონაცემების მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი ქალების შემთხვევაში 17.9% იყო, კაცის შემთხვევაში კი 82.1%. შემდგომ წლებში აღნიშნული მაჩვენებლები უმნიშვნელოდ არის შეცვლილი, კერძოდ: 2018 წელს სასოფლო მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი ქალების შემთხვევაში 19%-ს შეადგენდა, კაცების შემთხვევაში კი 81%-ს; 2019 წელს ქალთა 19.8% სარგებლობდა მიწის ფართობით და შესაბამისად, კაცების 80.2%; 2020 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი ქალის შემთხვევაში 20.7%-ს, ხოლო კაცის შემთხვევაში 79.3%-ს წარმოადგენს.<sup>55</sup>

კვლევები აჩვენებს, რომ სოფლის მოსახლეობა მნიშვნელოვნად არის მიდრეკილი სიღარიბისკენ. თუმცა, როგორც მსოფლიო ბანკის მონაცემები უთითებს, აღნიშნული რისკები თანაბრად არის სახასიათო კაცებისა და ქალებისათვის. ქალებისა და გოგონების შემთხვევაში სიღარიბის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი 2018 წელს იყო და 23.3%-ს შეადგენდა, თუმცა კაცების შემთხვევაშიც ეს მაჩვენებელი 23.0%-ს უტოლდებოდა. რეგიონების მიხედვით, ქალები და გოგონები, რომლებიც მცხეთა-მთიანეთში ცხოვრობენ, მეტად არიან მიდრეკილნი სიღარიბისკენ, სამცხე-ჯავახეთში და თბილისში მცხოვრებ ქალებსა და კაცებთან შედარებით, რომლებიც ყველაზე ნაკლები რისკით ხასიათდებიან სიღარიბესთან მიმართებით.<sup>56</sup>

ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმაში 2018-2020 წლებისთვის მითითებულია გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც სახელმწიფომ აიღო სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური მონაწილეობის გასაძლიერებლად (12.8). სამოქმედო გეგმა, ასევე ცალკე გამოყოფს სასოფლო-სამეურნეო მიწასა და უძრავ ქონებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფის ვალდებულებასაც (12.9.1). თუმცა, აღსანიშნავია, რომ

<sup>52</sup> საქსტატი, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020, იხ: [https://www.geostat.ge/media/38833/soflis\\_meurneoba\\_2020.pdf](https://www.geostat.ge/media/38833/soflis_meurneoba_2020.pdf)

<sup>53</sup> საქსტატი, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020, იხ: [https://www.geostat.ge/media/38833/soflis\\_meurneoba\\_2020.pdf](https://www.geostat.ge/media/38833/soflis_meurneoba_2020.pdf)

<sup>54</sup> თ. შერგელაშვილი, მ. თოქმაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი, 2012

<sup>55</sup> საქსტატი, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020, იხ: [https://www.geostat.ge/media/38833/soflis\\_meurneoba\\_2020.pdf](https://www.geostat.ge/media/38833/soflis_meurneoba_2020.pdf)

<sup>56</sup> The World Bank,

პროექტები, რომლებიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ხორციელდებოდა, არ ითვალისწინებდა გენდერულ კომპონენტს. როგორც სხვადასხვა ანგარიში აღნიშნავს, აგრო-კრედიტების მოპოვება ქალების მიერ კვლავ სირთულეს წარმოადგენს, რადგანაც ის მიწისა და სხვა ქონების საკუთრებაში ქონას ითვალისწინებს. სოფლად მცხოვრებ ქალებს ასევე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ინფორმაციაზე, რომელიც სოფლის მეურნეობასა და წარმოებაში მხარდაჭერას მოიცავს.<sup>57</sup>

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის, 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის, 2020 წლის ამოცანის ინდიკატორები ითვალისწინებს გენდერულ პერსპექტივას, თუმცა არსებითად ზოგად პრიორიტეტულ სფეროებში, მაგალითად, გეგმა მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას ინოვაციების და მეწარმეობის მიმართულებით, თანამშრომლობის წახალისება უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობით (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისათვის)<sup>58</sup>. გეგმა, ასევე ხაზს უსვამს, მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების) ჩართულობის გაზრდის მნიშვნელობას ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში.<sup>59</sup> თუმცა, აღნიშნული ღონისძიებები არ არის საკმარისი სოფლად მცხოვრებ ქალთა და გოგონათა საჭიროებებისა და ინტერესების უზრუნველსაყოფად. ის, ასევე, ვერ ახდენს მათ ეკონომიკურ გაძლიერებას, რადგან აღნიშნული ზომები არ არის მხარდაჭერილი შესაბამისი ეფექტური მექანიზმებით, მათ შორის, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში გენდერული ბიუჯეტირების განხორციელების ვალდებულების მხრივ. როგორც წინამდებარე ანგარიშის სხვა ნაწილებში არის აღნიშნული, საქართველოს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი არ ავალდებულებს შესაბამის უწყებებს, უზრუნველყონ გენდერული ბიუჯეტირების, გენდერული გავლენის შეფასებისა თუ გენდერული აუდიტის განხორციელება და შესაბამისი ანგარიშგება. შესაბამისად, აღნიშნული ინსტრუმენტების გარეშე რთულია, რომ სოფლად მცხოვრებ ქალთა და გოგონათა საჭიროებები სრულყოფილად იყოს ასახული შესაბამის სტრატეგიებსა თუ ადგილობრივ პროგრამებში.

**რეკომენდაცია:**

▶ საქართველოს პარლამენტმა, გენდერული თანასწორობის საბჭოს აქტიური ჩართულობით, უნდა ჩაატაროს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფი კანონმდებლობის ანალიზი და რევიზია, რათა ის სრულად პასუხობდეს სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგონების საჭიროებებს და შესაბამის ვალდებულებას აკისრებდეს უწყებებს გენდერული მენეჯმენტის განხორციელებაზე სოფლის მეურნეობის სფეროში.

<sup>57</sup> Report of The Coalition for Equality and Other NGOs to The Pre-Sessional Working Group of The United Nations Committee on The Elimination of Discrimination Against Women (Cedaw), 81st Session, 2021, იხ: <https://sapari.ge/wp-content/uploads/2021/06/Coalition-for-Equality-CEDAW-Report-June-16-2021.pdf>

<sup>58</sup> საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის, 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის, 2020 წლის ამოცანის ინდიკატორები, ამოცანა 2.1. უნარები და დასაქმება. იხ: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/6346>

<sup>59</sup> იქვე, ამოცანა 2.3. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა.

## დ. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე

Covid-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ და თანმდევი კრიზისმა არსებითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

გაეროს სააგენტოების მიერ განხორციელებული სწრაფი მოკვლევის მიხედვით, 2020 წლის ოქტომბრის გამოკითხვის მიხედვით, ქალებისა და კაცების 17%-მა განაცხადა, რომ სამუშაო 2020 წლის მარტში, კორონავირუსის გავრცელების შემდგომ დაკარგა. საქართველოს მოსახლეობის 32%-მა თქვა, რომ მათი სამუშაო საათები შემცირდა, თუმცა მაინც ახერხებენ სამუშაოს შენარჩუნებას.

ამავე კვლევაში არსებული მონაცემებით, ყველაზე მეტად მეწარმეები დაზარალდნენ. 29%-მა, ვინც სხვებს ასაქმებდა, თქვა, რომ პანდემიის გავრცელების შემდეგ სამუშაო დაკარგა. ყველაზე ნაკლებად დაზარალდნენ კომპანიებში, ბიზნესებსა თუ ოჯახებში დასაქმებული რესპონდენტები – ამ კატეგორიიდან მხოლოდ 15%-მა განცხადა სამუშაოს დაკარგვის თაობაზე. თვითდასაქმებულთა შორის კი 19%-მა დაკარგა სამსახური პანდემიის გავრცელების შემდეგ.<sup>60</sup>

განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში – ეთნიკური უმცირესობები კორონავირუსის პანდემიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდნენ. ისინი თითქმის სამჯერ უფრო ხშირად აცხადებენ სამუშაოს დაკარგვის შესახებ, ვიდრე ეთნიკური ქართველები.<sup>61</sup>

პანდემიის პირობებში განსაკუთრებით გაიზარდა ქალთა საშინაო შრომის მაჩვენებელი. ქალთა 42% აცხადებს, რომ პანდემიამდე არსებულ სიტუაციასთან შედარებით, ისინი, მინიმუმ, ერთით მეტ საოჯახო საქმეს ასრულებენ, მაშინ როდესაც ამას კაცების მხოლოდ 35% ამბობს. ქალები უფრო მეტ დროს ხარჯავენ დალაგებაზე (35%), ვიდრე კაცები (24%). ისინი, ასევე, უფრო მეტ დროს უთმობენ საკვების მომზადებას (35%), ვიდრე კაცები (25%). საშინაო შრომის ტვირთი განსაკუთრებით გაიზარდა ბავშვიან ოჯახებში, რაც სკოლებისა და ბაღების დახურვამაც გამოიწვია.<sup>62</sup>

მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული რისკები გადაწონის გენდერული თვალსაზრისით არსებულ პროგრესს და არსებული ჩავარდნების გამწვავებას გამოიწვევს.<sup>63</sup> მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური სამედიცინო და სიცოცხლესთან ასოცირებული რისკები გენდერულად სპეციფიკური არ არის, რადგანაც ის პოპულაციის ყველა ჯგუფზე აისახება, პანდემიის ეკონომიკური, სოციალური და ჯანდაცვასთან დაკავშირებული შედეგები გაამწვავებს მანამდე არსებულ გენდერულ

<sup>60</sup> UNFPA, UNDP, UN Women, საქართველოში Covid-19 -ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება, 2021, გვ. 25, იხ: [https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2021/covid\\_gender\\_assessment\\_2021\\_geo.pdf?la=en&vs=4539](https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2021/covid_gender_assessment_2021_geo.pdf?la=en&vs=4539)

<sup>61</sup> იქვე

<sup>62</sup> UN Women, საქართველოში COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება, 2020, იხ: <https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2020/rga%20unw-geo.pdf?la=en&vs=5941>

<sup>63</sup> The World Bank, Country Gender Assessment Georgia, March, 2021, იხ: <https://documents1.worldbank.org/curated/en/407151616738297662/pdf/Georgia-Country-Gender-Assessment.pdf>

უთანასწორობას სამი ძირითადი მიმართულებით: კეთილდღეობა (ჯანმრთელობა და განათლება), ეკონომიკური მდგომარეობა და აგენტობა. აღნიშნული გრძელვადიან გავლენას მოახდენს განვითარების შესაძლებლობასა და ეკონომიკურ ზრდაზე. ამასთან, პანდემიით გამოწვეული ნეგატიური შედეგები გართულებს ქალთა წვდომას ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. გამომდინარე იქიდან, რომ ქალები მეტად არიან ჩართულნი ზრუნვასა და საშინაო შრომაში, მათ შორის, ბავშვთა და მოხუცთა მოვლაში, ბავშვების საშინაო განათლებაში, ისინი ყველაზე მეტად დაზარალებიან დასაქმებაზე და შემოსავლებზე წვდომის ნაკლებობისგან. აღნიშნულს ხელს უწყობს ქალთა პროფესიული სეგრეგაციაც. ქალთა დიდი ნაწილია ჩართული არსებით სამუშაოში (essential work, იგულისხმება, კლინიკები, ვაჭრობა, კვება და სხვ.), სადაც პანდემიის პირობებში შრომითი პირობების გაუარესების რისკები დგას.<sup>64</sup> განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან ის ოჯახები, რომელთა მთავარი მარჩენალი ქალია, ფინანსურ სერვისებზე დაბალი წვდომის, საკუთრების არქონისა და ზრუნვის ვალდებულებების გამო.

გარდა აღნიშნულისა, ქალთა ჩართულობა არაფორმალურ შრომაში არსებითად დაუცველს ტოვებს მათ სოციალური დაცვისა და შრომითი უფლებების დაცვის გარეშე. მთავრობის ანტიკრიზისულმა გეგმამ, რომელიც მცირე სოციალურ დახმარებას სთავაზობდა ოჯახებს, რომელთაც სამსახური დაკარგეს, ვერ მოიცვა თვითდასაქმებულ პირთა დიდი ნაწილი, მაშინ როდესაც, ისინი საზოგადოების სოციალურად მოწყვლად და დაუცველ კატეგორიას წარმოადგენენ.

#### რეკომენდაციები:

- ▶ პანდემიის პირობებში ეკონომიკისა და ქალთა შრომითი უფლებების კუთხით არსებული გამოწვევების საპასუხოდ არსებითი მნიშვნელობა აქვს, შეიქმნას ინტერუწყებრივი სამუშაო ჯგუფი, საქართველოს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მონაწილეობით და შესაბამისი სამთავრობო უწყებების ჩართულობით (ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო), რათა შემუშავდეს Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული ზიანის შეფასება, ანალიზი და შესაბამისი, გრძელვადიანი ზომების მიღება, მათ შორის, ქალთა უფლებებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად დროებითი სპეციალური ზომების მიღების გზით.

<sup>64</sup> იქვე



## V. გენდერული თანასწორობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უნივერსალური მისაწვდომობისათვის სახელმწიფოს მიერ რიგი პროგრესული ნაბიჯების გადადგმის მიუხედავად, კვლავ არსებობს სისტემური პრობლემები, რომელთა გადაჭრის გარეშე არ შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ყველას თანაბრად მიუწვდება ხელი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ისეთ ბაზისურ სერვისებზე, როგორებიცაა დედათა ჯანმრთელობის, ოჯახის დაგეგმვის, კონტრაცეფციის, უსაფრთხო აბორტის მომსახურებისა და აბორტის შემდგომი მეთვალყურეობის სერვისები.

დადებითად უნდა აღინიშნოს, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა<sup>65</sup> და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება<sup>66</sup>, წინსვლა დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესების, მათ შორის, დედათა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის შემცირების<sup>67</sup> და ხელოვნური აბორტის ჯამური კოეფიციენტის შემცირების თვალსაზრისით.<sup>68</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კოვიდ-19 პანდემიის ფონზე, საგრძნობლად გაიზარდა დედათა სიკვდილიანობა, რაც სპეციალურ ანალიზს საჭიროებს.<sup>69</sup>

სამწუხაროდ, კვლავ გამოწვევად რჩება ამ სფეროში საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან მისადაგების უზრუნველსაყოფად კანონებისა და პოლიტიკის დოკუმენტების

<sup>65</sup> 2020 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაამტკიცა კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) და კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) პერინატალური პერიოდის მართვა ფსიქიკური აშლილობის დროს [http://sms.tsmu.edu/ssms/cme/img/gaid\\_1.pdf](http://sms.tsmu.edu/ssms/cme/img/gaid_1.pdf)

<sup>66</sup> იგულისხმება დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგიის (2017-2030) შესაბამისი ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავება და მიღება, სქესის ნიშნით სელექციური აბორტის აკრძალვის შესახებ საკანონმდებლო ჩანაწერის გაჩენა. UPR, ეროვნული ანგარიში 2021 [https://www.upr-info.org/sites/default/files/document//a\\_hrc\\_wg.6\\_37\\_geo\\_1\\_e.pdf](https://www.upr-info.org/sites/default/files/document//a_hrc_wg.6_37_geo_1_e.pdf)

<sup>67</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, ადამიანის უფლებები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ქრილში: ქვეყნის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება (2018) <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040210585343203.pdf>

<sup>68</sup> 2010 წლიდან 2018 წლამდე – 8 წლის პერიოდში, ყოველ 1 000 ქალზე აბორტების რაოდენობამ 20 ერთეულით დაიკლო. UNFPA, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა საქართველოში: 2018 წლის საქართველოს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემების სიდრმისეული ანალიზი (MICS) (2019) [https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/MICS%20report\\_GEO.pdf](https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/MICS%20report_GEO.pdf)

<sup>69</sup> ჯანმრთელობის დაცვა: სტატისტიკური ცნობარი 2020. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი <https://www.ncdc.ge/#/pages/file/3d9d1b31-4198-4127-90bb-41db1b80aa63>

შემუშავება, აღსრულება და მონიტორინგი; დახარისხებული მონაცემების რეგულარულად შეგროვების უზრუნველყოფა; ასაკის შესაბამისი, სავალდებულო, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ კომპლექსური განათლების დანერგვა ქვეყნის მასშტაბით არსებულ ყველა სკოლაში; ჯანდაცვის სფეროში პერსონალური ინფორმაციისა და კონფიდენციალურობის დაცვის გაუმჯობესება; აბორტის სერვისებთან დაკავშირებული პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული წინააღმდეგობების მოხსნა; დალოდების დროის არსებობა; არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა; რეპროდუქციული ტექნოლოგიების კუთხით არსებული ბარიერების დაძლევა და სუროგაციის სფეროს რეგულირება.<sup>70</sup>

## ა. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების მისაწვდომობა

მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი ითვალისწინებს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვის მომსახურების უნივერსალურ ხელმისაწვდომობას, მათ შორის, ოჯახის დაგეგმვას, ინფორმაციასა და განათლებას, ასევე, რეპროდუქციული ჯანმრთელობის ინტეგრაციას ეროვნულ სტრატეგიებსა და პროგრამებში.<sup>71</sup> სახალხო დამცველის შეფასებით, გამოწვევად რჩება მდგრადი განვითარების დღის წესრიგში ასახული სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად სახელმწიფოს მხრიდან პროგრესული ნაბიჯების გადადგმა.<sup>72</sup>

მდგრადი განვითარების საქართველოსათვის მისადაგებული მიზანი 5.6 გულისხმობს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებებზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფას, მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის შეთანხმებული სამოქმედო პროგრამით და პეკინის სამოქმედო პლატფორმით, ასევე, მათი გადასინჯვის მიზნით გამართული კონფერენციების დასკვნითი დოკუმენტებით.<sup>73</sup>

პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა უზრუნველყოფს ქალთა უფლებების დაცვას, მათ შორის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობას; აღიარებს ქალთა უფლებას, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ თავიანთ სექსულობასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, იძულების, დისკრიმინაციისა და ძალადობის გარეშე.<sup>74</sup>

2018 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დაქორწინებული ან პარტნიორთან ერთად მცხოვრები ქალების მხოლოდ 79% იღებს დამოუკიდებლად ან პარტნიორთან ერთად გადაწყვეტილებას

<sup>70</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება, 2019 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072913513711692.pdf>

<sup>71</sup> საქართველოსათვის მისადაგებული ამოცანა 5.6 გულისხმობს სექსობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვაზე და რეპროდუქციულ უფლებებზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფას. <https://sdg.gov.ge/goals-details-inner/5>

<sup>72</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება (2019)

<sup>73</sup> მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი (2018) <https://sdg.gov.ge/text-page/34>

<sup>74</sup> პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, პუნქტ. 89-107 [https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/SG%20Report\\_Synthesis-EN\\_WEB.pdf](https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/SG%20Report_Synthesis-EN_WEB.pdf)

საკუთარი რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. ქალების 83,8%-მა განაცხადა, რომ მათ შეუძლიათ, უარი უთხრან მეუღლეს/პარტნიორს სქესობრივ აქტზე. 15-19 წლის ქალებს შორის შედარებით მცირეა იმ ქალების პროცენტული წილი (71,2%), რომლებიც ადასტურებენ, რომ ამ საკითხში გადაწყვეტილების მიღების უფლებით სარგებლობენ. კვლევა აჩვენებს, რომ იმ ახალგაზრდა ქალებს შორის, რომლებიც აცხადებენ, რომ არ შეუძლიათ, უარი უთხრან მეუღლეს/პარტნიორს სქესობრივ აქტზე, ჭარბობენ სოფლად მცხოვრები ქალები, განათლების დაბალი დონის მქონე ქალები, დაბალი შემოსავლების მქონე ქალები, ქალები, რომლებსაც რამდენიმე შვილი ჰყავთ და ეთნიკურად არაქართველი წარმოშობის არიან. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი ავალდებულებს სახელმწიფოს, მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა ჯანდაცვის სფეროში დისკრიმინაციის გარეშე ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის, მათ შორის: ოჯახის დაგეგმვისას, ორსულობის, მშობიარობის და პოსტნატალურ პერიოდებში; აგრეთვე, ადეკვატური კვების და მომსახურების უზრუნველყოფისთვის ორსულობისა და ლაქტაციის დროს.<sup>75</sup> ხოლო, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის შესაბამისად, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლება წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის უფლების განუყოფელ ნაწილს.<sup>76</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ადამიანის უფლებების ყველა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო და რეგიონული შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოა, კვლავ პრობლემად რჩება ამ შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. კერძოდ, კვლავ გამოწვევად რჩება გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის (CEDAW) კომიტეტის რეკომენდაციის შესრულება, რომელიც გულისხმობს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე ახალგაზრდა ქალებისა და გოგოების მისაწვდომობის უზრუნველყოფას<sup>77</sup> და გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციის შესრულებას, რომელიც გულისხმობს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების, მათ შორის, აბორტისა და კონტრაცეფციის სერვისების შესახებ ინფორმაციის, ისევე როგორც ამ სერვისების ფიზიკურ და ფინანსურ მისაწვდომობას ყველა ქალისათვის.<sup>78</sup>

გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის, დუბრაკა სიმონოვიჩის მიერ საქართველოს მთავრობისთვის გაცემული რეკომენდაციის შესრულება, რომელიც გულისხმობს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საკითხების ინტეგრირებას განათლების ყველა დონეზე.<sup>79</sup>

<sup>75</sup> ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (2015) <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf>

<sup>76</sup> გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, 22-ე განმარტებითი ბარათი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლების შესახებ – 2016, გვ. 5-7.

<sup>77</sup> CEDAW/C/GEO/CO/4-5, პარაგრაფი 31

<sup>78</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მე-2 ციკლის ფარგლებში აღებული რეკომენდაცია 118.42-118.43

<sup>79</sup> ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის, საქართველოში ვიზიტის ანგარიში, A/HRC/32/42/Add.3, 2016 <https://www.ohchr.org/en/hrbodies/hrc/regularsessions/session32/pages/listreports.aspx>

### რეკომენდაციები:

- ▶ საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტმა მოისმინოს და გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ერთად გასცეს რეკომენდაციები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების კუთხით, საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო და რეგიონული შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების, ასევე, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების მიმართულებით ძირითადი ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებით (ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა, დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგია) გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ;
- ▶ მნიშვნელოვანია, ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, გათვალისწინებული იყოს უნივერსალური ჯანდაცვის პროგრამის საბაზისო პაკეტი ოჯახის დაგეგმვის მომსახურებისა და კონტრაცეპტივების ჩართვის საჭიროება;
- ▶ საჭიროა კანონმდებლობის გადახედვა, რათა მოხდეს შშმ ქალების უფლების უზრუნველყოფა შშმ პირთა კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მათ შორის, ისეთ საკითხებზე როგორცაა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, ინფორმირებული და ავტონომიური გადაწყვეტილების მიღება ჯანმრთელობასა და რეპროდუქციასთან დაკავშირებით და სხვა.

### ბ. დედათა ჯანმრთელობა

დედათა ჯანმრთელობის (პერინატალური მოვლა, მშობიარობა და პოსტნატალური მოვლა) კომპონენტი გათვალისწინებულია ჯანდაცვის სისტემაში, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ქალის რეპროდუქციულ როლს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.<sup>80</sup>

მიუხედავად ამისა, გამოწვევად რჩება დედათა ჯანმრთელობის სერვისების მიწოდებისას კონფიდენციალურობის დაცვა და ინფორმირებული თანხმობის მიღება.<sup>81</sup> ძალიან მაღალია საკეისრო კვეთის მეთოდით მიმდინარე მშობიარობების პროცენტული მაჩვენებელი (46.6%) და პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ პერინატალური მოვლისადმი სისტემური მიდგომის არარსებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში მშობიარობის შემდგომ სამედიცინო შემოწმებას გადის ქალების ერთი მესამედი ან კიდევ უფრო ნაკლები.<sup>82</sup>

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ დედათა ჯანმრთელობის სერვისები არ მოიცავს ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებას. აღნიშნული უარყოფითად აისახება

<sup>80</sup> ამ მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე, 2019 წლიდან ანტენატალური მეთვალყურეობის ვიზიტების რაოდენობა 4-დან გაიზარდა 8-მდე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ახალი გაიდლაინის შესაბამისად. UPR, ეროვნული ანგარიში (2021) [https://www.uprinfo.org/sites/default/files/document//a\\_hrc\\_wg.6\\_37\\_geo\\_1\\_e.pdf](https://www.uprinfo.org/sites/default/files/document//a_hrc_wg.6_37_geo_1_e.pdf)

<sup>81</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება, 2019 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072913513711692.pdf>

<sup>82</sup> UNFPA, სექსობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა საქართველოში: 2018 წლის საქართველოს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემების სიდრმისეული ანალიზი (MICS) (2019) [https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/MICS%20report\\_GEO.pdf](https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/MICS%20report_GEO.pdf)

დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელზე,<sup>83</sup> რაც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მარკერია.

**რეკომენდაცია:**

- ▶ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის კოორდინაციის საბჭომ შეიმუშაოს:  
ა) სისტემური მიდგომა პერინატალურ ზრუნვასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს პერინატალურ პერიოდში საჭირო სერვისების მიწოდებას სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით; ბ) მოახდინოს ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრირება როგორც პოსტ, ისე მშობიარობის და პერინატალური სერვისების საბაზო პაკეტში;
- ▶ პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ჯანდაცვის კომიტეტის თანამშრომლობით უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების ზედამხედველობა.

**8. თანამედროვე კონტრაცეფციის შესახებ ინფორმაციის და მომსახურების მისაწვდომობა**

საქართველოს მიერ საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულების მიუხედავად, რომელიც გულისხმობს კონტრაცეფციის შესახებ ინფორმაციისა და კარგი ხარისხის მომსახურების მისაწვდომობას ქალებისთვის,<sup>84</sup> პრობლემად რჩება ოჯახის დაგეგმვის სერვისებისა და კონტრაცეპტივების მიწოდების სრულად ინტეგრირება პირველადი ჯანდაცვის საფეხურზე და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, რაც ართულებს ფინანსურ მისაწვდომობას და, კონტრაცეფციის მეთოდებზე დაბალ ინფორმირებულობასთან და სოციალურ და კულტურულ ბარიერებთან ერთად, ნეგატიურ სურათს გვაძლევს.<sup>85</sup>

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემების მიხედვით, საქართველოში ქორწინებაში ან პარტნიორთან თანაცხოვრებაში მყოფ ქალებს შორის კონტრაცეფციის გამოყენების უკიდურესად დაბალი (40-45%), ხოლო თანამედროვე კონტრაცეპტივებზე დაუკმაყოფილებლობის უკიდურესად მაღალი (31%) მაჩვენებელია. საგანგაშოა ამავე კვლევაში ასახული ტენდენცია, კონტრაცეფციის გამოყენების მნიშვნელოვნად შემცირებასთან დაკავშირებით 2010 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში (53.4%- დან 45.4%-მდე).

რაც შეეხება ინფორმირებულობას, მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლიდან 2018 წლამდე თანამედროვე კონტრაცეფციის ყველა საშუალებაზე ქალების ინფორმირებულობა გაზრდილია, მოსახლეობა მაინც არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას თანამედროვე კონტრაცეფციის არსებული მეთოდების შესახებ. ამასთან, გამოწვევად რჩება არადომინანტ ეთნიკურ ჯგუფებს მიკუთვნებული, ღარიბი, სოფლად მცხოვრები, უმაღლესი განათლების არმქონე და ახალგაზრდა (15-19 წლის) ქალების ინფორმირება კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით.<sup>86</sup>

<sup>83</sup> NCDC, პერინატალური ჯანმრთელობის ანგარიში (2016) <https://test.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=84ea74ca-f670-4243-ba6b-2ee8558dfc9d>

<sup>84</sup> გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, 22-ე განმარტებითი ბარათი ექსპლანატორი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლების შესახებ – 2016, გვ. 4, 11 & 14.

<sup>85</sup> საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ (2020) <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>

<sup>86</sup> MICS, გვ.25-26

## დ. ორსულობის უსაფრთხო შეწყვეტის სერვისის მისაწვდომობა

მისასაღმებელია, რომ ქვეყანაში ერთ ქალზე ცხოვრების განმავლობაში ჩატარებული აბორტების საშუალო რაოდენობის სწრაფი კლების ტენდენცია აღინიშნება, თუმცა სავარაუდოა, რომ აღნიშნულ ტენდენციაზე გავლენას ახდენს ქალების მზარდი რაოდენობის მიერ გადაუდებელი კონტრაცეფციის გამოყენება არასასურველი ორსულობის თავიდან ასაცილებლად, რომლის აღრიცხვაც არ ხდება. გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სოფლად მცხოვრებ ქალთა შორის ხელოვნური აბორტის ჯამური კოეფიციენტი 50%-ით და მეტი მაღალია (1,2) ვიდრე ქალაქად მცხოვრებ ქალთა შორის (0,8)<sup>87</sup>. ამასთან, პრობლემას წარმოადგენს ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის, როგორც ოჯახის დაგეგმვის მეთოდის გამოყენება.<sup>88</sup>

კვლევებით დასტურდება<sup>89</sup>, რომ პრობლემაა ორსულობის უსაფრთხო შეწყვეტის სერვისის ტერიტორიული და ფინანსური მისაწვდომობა, ხოლო მიღებული სერვისის ხარისხი არათანაბარია ქალაქად და სოფლად.<sup>90</sup> ამ ბარიერს ამწვავებს აბორტის სერვისისთვის დაწესებული 5-დღიანი სავალდებულო მოსაფიქრებელი პერიოდი<sup>91</sup>, რაც განსაკუთრებით პრობლემურია რეგიონებში მცხოვრები ქალებისთვის და ეწინააღმდეგება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დაწესებულ სტანდარტს<sup>92</sup>.

### რეკომენდაცია:

- ▶ ორსულობის პირველი 12 კვირის განმავლობაში აბორტის წინა კონსულტაციის/წინასწარი გასაუბრების სავალდებულო ხუთდღიანი პერიოდის გაუქმების საკითხი გადაიხედოს არსებული საერთაშორისო მტკიცებულებებისა და სახელმძღვანელო წესების შესაბამისად, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ აბორტის სერვისების მიმართ ხელმისაწვდომობის შეზღუდვა არ ახდენს გავლენას ქალის მიერ აბორტის გაკეთების გადაწყვეტილებაზე და, ამავ დროს, ზრდის აბორტის სახიფათო პირობებში ჩატარების რისკს.

## ე. მოზარდთათვის საქსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებისა და განათლების მისაწვდომობა

საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებები ითვალისწინებს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და

<sup>87</sup> MICS, გვ. 39-40

<sup>88</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება (2019), გვ. 42

<sup>89</sup> თანადგომა, „საქართველოში სოფლად მცხოვრებ და იძულებით გადაადგილებულ ქალებს შორის მედიკამენტურ აბორტზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ბარიერების ხარისხობრივი კვლევა“, (2020) <https://tanadgoma.ge/wp-content/uploads/2018/10/medikamenturi-abortis-khelimisatsvdomobis-barrierebis-kvleva.pdf>

<sup>90</sup> MICS, გვ. 44-46

<sup>91</sup> შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის №01-74/ნ ბრძანება განსაზღვრავს ორსულობის პირველი 12 კვირის განმავლობაში სავალდებულო აბორტის წინა კონსულტაციის/წინასწარი გასაუბრების ხუთდღიან პერიოდს.

<sup>92</sup> ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ აღიარა ორსულობის შეწყვეტისას სავალდებულო ლოდინის პერიოდის უარყოფითი ზეგავლენა, რაც საფრთხეს უქმნის უსაფრთხო და ლეგალური აბორტის ხელმისაწვდომობას. WHO, (2012) [https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/70914/9789241548434\\_eng.pdf](https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/70914/9789241548434_eng.pdf)

უფლებების შესახებ ბავშვის ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისი კომპლექსური განათლების უზრუნველყოფას.<sup>93</sup> მიუხედავად ამ კუთხით სახელმწიფოს მიერ წინგადადგმული ნაბიჯებისა<sup>94 95</sup>, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ მოზარდების ცოდნა კვლავ მწირია, მოსწავლეები და მოზარდები არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას თავიანთ სხეულზე, ურთიერთობებზე, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და სექსუალობაზე.

2019 წელს სახალხო დამცველის მიერ ჩატარებულმა ეროვნულმა შეფასებამ გამოავლინა, რომ მოზარდ გოგოებს ყველაზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი კონტრაცეფციის შესახებ ინფორმაციასა და სერვისებზე. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანის კონფიდენციალურობის დაცვას, როდესაც იგი მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას კონტრაცეფციის, არაქირურგიული გზებისა და ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის შესახებ კონსულტაციის მისაღებად, დამკვიდრებულია კანონის საწინააღმდეგო პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, აბორტისა და კონტრაცეფციის საკითხებზე 14-17 წლის არასრულწლოვანებში სამედიცინო მომსახურების გამწევები ინფორმირებულ თანხმობას მათი კანონიერი წარმომადგენლისგან მოიპოვებენ.<sup>96</sup> აღნიშნული მუხლის არსებობა კანონში (საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, მუხლი 40) უადრესად მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ამასთანავე საჭიროა, შესაბამისი ზომების გატარება იმისათვის რომ, ერთი მხრივ, ახალგაზრდებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია აღნიშნული უფლების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, სერვისის მიმწოდებლებმა უზრუნველყონ ამ უფლების რეალიზება.

#### რეკომენდაცია:

- ▶ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მთავრობისგან მოისმინოს საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში (2019) – „სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება“ – გაწერილი რეკომენდაციების შესრულების სტატუსის შესახებ.

### 3. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მისაწვდომობა მოწყვლად ჯგუფებში

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისის გამცემი დაწესებულების მხრიდან მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული ქალების სპეციალური, ინტერსექციური საჭიროებების გათვალისწინება სერვისის დაგეგმვისა და გაცემის კუთხით, გამოწვევას წარმოადგენს. ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამები მხოლოდ ფრაგმენტულად

<sup>93</sup> გაეროს ბავშვთა დაცვის კომიტეტი, მე-15 ზოგადი განმარტება, 2013. გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 24-ე ზოგადი რეკომენდაცია, 1999, პუნქტი 18.

<sup>94</sup> რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების სწავლება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით უფრო მეტად აქცენტირებული გახდა. გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, გადაიხედა და დამტკიცდა დაწყებითი (I – VI კლასების), საბაზო (VII-IX კლასების) და საშუალო საფეხურის (X-XII კლასების) სტანდარტები. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, რეპროდუქციული უფლებების და გენდერული თანასწორობის შესახებ ასაკის შესაბამისი ინფორმაცია გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

<sup>95</sup> სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგია 2025 ითვალისწინებს ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მისაწვდომობას.

<sup>96</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება (2019) გვ. 35-36

მოიცავს შშმ ქალების და გოგოების პრობლემების გადაჭრის გზებს, რის გამოც ისინი ამ პროგრამებით, პრაქტიკულად, ვერ სარგებლობენ.<sup>97</sup> შშმ ქალებსა და გოგონებს არ აქვთ სრულყოფილი შესაძლებლობა სხვებთან თანაბრად ისარგებლონ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ყველა შესაძლო სერვისითა და საშუალებით, ისინი, როგორც წესი, ვერ ახერხებენ საჭირო სამედიცინო მომსახურების მიღებას შესაბამისი სტანდარტებისა და ხარისხის დაცვით, რასაც ხელს უწყობს სამედიცინო პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია და დისკრიმინაციული მიდგომა შშმ ქალებისა და გოგონების მიმართ. სპეციალური საჭიროებების მქონე ქალებისთვის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მისაღებად მნიშვნელოვანი ბარიერია კლინიკების არაადაპტირებულობა.<sup>98</sup> გამოწვევას წარმოადგენს ისიც, რომ გონივრული მისადაგების პრინციპი ჯანდაცვის კანონმდებლობაში ასახული არ არის, რაც ხელს უშლის შშმ ქალებს, მიიღონ ადეკვატური სერვისი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით. კანონმდებლობა შშმ პირთა მიმართ კვლავ დისკრიმინაციულ ენას იყენებს, ხოლო სამედიცინო პერსონალს კანონით არ ევალება შშმ ქალების და გოგონების ინფორმირება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებებზე. შესაბამისად, დაბალია მედიკოსების ცოდნა და მგრძობელობა მათი საჭიროებების მიმართ.<sup>99</sup>

განსაკუთრებით საგანგაშოა ფსიქიატრიულ და სახელმწიფო ზრუნვის<sup>100</sup> დაწესებულებებში და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხანგრძლივი დროით მოთავსებულ ქალთა მდგომარეობა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიღებისა და მათი ინფორმირებულობის თვალსაზრისით.

გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ 2018 წლის საქართველოს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემების სიდრმისეული ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერვისების და ინფორმირებულობის ხარისხი მკვეთრად დაბალია ეთნიკურად არა დომინანტ ჯგუფებს მიკუთვნებული, ღარიბი, უმაღლესი განათლების არმქონე ქალებისთვის.<sup>101</sup>

პრობლემას წარმოადგენს ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ქალების, სექსმუშაკი ქალებისა და წამალდამოკიდებული ქალების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საჭიროებების შესწავლა და მათი გათვალისწინება სერვისების დაგეგმვისა და გაცემის პროცესში.<sup>102</sup>

<sup>97</sup> UNFPA (2020), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკანონმდებლო ანალიზი, სახელმწიფო პროგრამების მიმოხილვა და რეკომენდაციები, გვ. 72

<sup>98</sup> არაადაპტირებული გარემო პრობლემას წარმოადგენს როგორც ეტილით მოსარგებლე, ისე მხედველობის არმქონე ან მცირედმხედველი ქალებისთვის. პრობლემურია სმენისა და მეტყველების არმქონე ქალებისთვის გინეკოლოგიური სერვისის კონფიდენციალურად მიღება, რადგან სამედიცინო დაწესებულებებს უმეტესად არ ჰყავთ სურდო-თარჯიმანი. საქართველოს სახალხო დამცველი, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება (2019)

<sup>99</sup> UNFPA, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკანონმდებლო ანალიზი, სახელმწიფო პროგრამების მიმოხილვა და რეკომენდაციები (2020)

<sup>100</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების დაცვის მდგომარეობა ფსიქიატრიულ და სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში (2020)

<sup>101</sup> MICS, 2019

<sup>102</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება (2019)



### რეკომენდაციები:

- ▶ საქართველოს კანონში „მუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ შევიდეს ცვლილება, რათა კანონმა ზუსტად ასახოს გაეროს მუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის კონვენციის (CRPD) 25-ე მუხლში მოაზრებული ვალდებულებები შშმ პირთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის ჭრილში;
- ▶ გადაიხედოს „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი და შეიცვალოს ყველა ის ჩანაწერი, რომელიც შეიცავს შშმ პირებისთვის დისკრიმინაციულ ენას და არ ესადაგება ან/და წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან;
- ▶ გადაიხედოს საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ და შევიდეს ცვლილებები იმგვარად, რომ კანონმა მოიცვას „სექსუალური ჯანმრთელობა“ და განსაზღვროს მის პრაქტიკაში განსახორციელებლად საჭირო ზომები;
- ▶ გადაიხედოს საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და შეიცვალოს ყველა ის ჩანაწერი, რომელიც შეიცავს შშმ პირებისთვის დისკრიმინაციულ ენას და არ ესადაგება ან/და წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან;
- ▶ გადაიხედოს საქართველოს კანონები „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ და „საექიმო საქმიანობის შესახებ“ და მოხდეს მათი მისადაგება საერთაშორისო სტანდარტებთან;<sup>103</sup>
- ▶ მოხდეს ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, სექსუალური და წამალდამოკიდებული ქალების, ეთნიკურად არადომინანტ ჯგუფებს მიკუთვნიებული, უმაღლესი განათლების არმქონე, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საჭიროებების შესწავლა და შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით, მოხდეს სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა, უფლებებთან დაკავშირებული სერვისებისა და სახელმძღვანელო წესების გადახედვა, მათი ინფორმირებულობისა და სერვისებზე წვდომის გაზრდის მიზნით.

## 8. სუროგაცია და სუროგატი დედაბის უფლებრივი მდგომარეობა

2014 წელს, გაეროს მოსახლეობის ფონდის ხელშეწყობით, იუსტიციის სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროს, პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკოორდინაციო საბჭოს შორის გაიმართა კონსულტაციები საქართველოში სუროგატი დედობის მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების მიზნით. სამწუხაროდ, ამ შეხვედრის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების შესრულება კვლავ გამოწვევად რჩება.<sup>104</sup>

<sup>103</sup> რეკომენდაციები ინფორმირებულია UNFPA-ს ანგარიშით „მუზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკანონმდებლო ანალიზი, სახელმწიფო პროგრამების მიმოხილვა და რეკომენდაციები“ (2020)

<sup>104</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, ადამიანის უფლებები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ჭრილში: ქვეყნის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება (2018), გვ. 117 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040210585343203.pdf>

ბავშვებით ვაჭრობის, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი ღრმა შეშფოთებას გამოხატავს საქართველოში საერთაშორისო კომერციული სუროგაციის შეთანხმებებთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც დაიცავს ასეთი შეთანხმებებით გაჩენილი ბავშვების უფლებებსა და საუკეთესო ინტერესებს, ასევე სუროგატი დედების უფლებებს.<sup>105</sup>

შედეგად, სუროგაციასთან დაკავშირებული ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო<sup>106</sup> არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რადგან არ აღიარებს გესტაციური მატარებლის რაიმე უფლებას, არის დისკრიმინაციული ერთი სქესის პარტნიორების მიმართ<sup>107</sup> და ხელს უწყობს საერთაშორისო და კომერციული სუროგაციის წახალისებას.

**რეკომენდაციები:**

- ▶ საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს სუროგაციის შესახებ ჩარჩო კანონმდებლობას საერთაშორისო პრინციპების და რეკომენდაციების<sup>108</sup> შესაბამისად, სუროგაციაში ჩაბმული ქალებისა და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვების უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით;
- ▶ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს ცვლილება, რომლითაც გათვალისწინებული იქნება სუროგატი დედის და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლების მიერ ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის საკითხი.<sup>109</sup>

**თ. COVID-19-ით გამოწვეული კანდემიის გავლენა გენდერულ თანასწორობაზე ჯანმრთელობის დაცვის სფეროში**

საქართველოში, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში დასაქმებულთა უმეტესობა ქალია.<sup>110</sup> კანდემიის დროს გადატვირთულმა ჯანდაცვის სისტემებმა, რესურსების გადანაწილებამ, სამედიცინო მარაგის ნაკლებობამ და მომარაგების გლობალური ქსელების შეფერხებამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებებით სარგებლობას. მათ შორის, წვდომას დედებისა და ახალშობილებისათვის განკუთვნილ სერვისებზე, უსაფრთხო აბორტზე, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღებასა და

<sup>105</sup> O A/HRC/34/55/Add.1 (2018) <https://digitallibrary.un.org/record/861191?ln=en>  
<sup>106</sup> საქართველოს კანონი ჯანმრთელობის შესახებ, საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ და საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ წარმოადგენს სუროგაციის რეგულირების ეროვნულ ჩარჩო-კანონმდებლობას.  
<sup>107</sup> სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანება  
<sup>108</sup> A/HRC/37/60 (2018) <https://undocs.org/A/HRC/37/60>  
<sup>109</sup> რეკომენდაცია გადმოტანილია საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშიდან ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ (2020) <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>  
<sup>110</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ქალი და კაცი საქართველოში (2020) <https://bit.ly/3qjW6o2>

განათლებაზე, ეფექტიან მიმართვიანობაზე.<sup>111</sup> წინა წლებთან შედარებით, კოვიდ პანდემიის განმავლობაში გაიზარდა დედათა სიკვდილობის მაჩვენებელი და 2020 წელს, ყოველ 100000 ცოცხალშობილზე, 30.1 -ს მიაღწია.<sup>112</sup> დედის გარდაცვალების მიზეზები სხვადასხვაა, თუმცა, სხვა ფაქტორებს შორის, პანდემიის გავლენა ჯანდაცვის სექტორზე შესაძლებელია ერთ-ერთი განმამპირობებელი ფაქტორი იყოს.

COVID-19-ის ნეგატიური გავლენა რეპროდუქციული ჯანმრთელობის, კონკრეტულად კი – ანტენატალურ სერვისებზე წვდომაზე ჯერ კიდევ პანდემიის დასაწყისში გამოჩნდა, კერძოდ, იკლო როგორც ორსულობის პირველ ტრიმესტრში პირველი ანტენატალური ვიზიტების რაოდენობამ, ასევე, ანტენატალური პროგრამით გათვალისწინებული ვიზიტებით სარგებლობის რაოდენობამ, 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით.<sup>113</sup>

გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის ერთობლივმა კვლევამ, რომელიც აფასებს COVID-19-ის გავლენას სამედიცინო სფეროში მომუშავე ქალებზე საქართველოში, აჩვენა, რომ პანდემიამ მნიშვნელოვნად იმოქმედა სამედიცინო სფეროში დასაქმებული იმ ქალების სამუშაო პირობებზე, რომლებიც კოვიდ-კლინიკებსა და ცხელების ცენტრებში მუშაობენ: კერძოდ, გაიზარდა მათი სამუშაო საათები და შემცირდა დასვენების შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, დამძიმებულია გაზრდილი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის რისკებით.<sup>114</sup>

გაეროს სააგენტოების მიერ საქართველოში COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება აჩვენებს, რომ COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ ქალების (57%) ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. ამასთან, მცირეოდენი გენდერული სხვაობაა, როცა საქმე სხვადასხვა პირველადი მნიშვნელობის მომსახურების ხელმისაწვდომობას ეხება. კაცებზე (20%) მეტმა ქალმა (25%) აღნიშნა, რომ გაუჭირდათ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებზე წვდომა.<sup>115</sup>

მნიშვნელოვანია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგებიც, რომლებიც აჩვენებს, რომ ჯანდაცვის სექტორში დასაქმებული ქალები ხშირად ხდებიან საზოგადოებისგან გარიყვის/დისკრიმინაციის მსხვერპლნი იმ ნიშნით, რომ ჯანდაცვის სექტორში მუშაობენ და საზოგადოება მათ ინფიცირების მომეტებული რისკის მქონე პირებად აღიქვამს.<sup>116</sup>

<sup>111</sup> UNFPA, COVID-19: გენდერული ლინზით – სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა (2020) [https://www.unfpa.org/sites/default/files/resource-pdf/COVID-19\\_A\\_Gender\\_Lens\\_Guidance\\_Note.pdf](https://www.unfpa.org/sites/default/files/resource-pdf/COVID-19_A_Gender_Lens_Guidance_Note.pdf)

<sup>112</sup> სტატისტიკური ცნობარი, 2020, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

<sup>113</sup> UNFPA, COVID-19-თან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომებისა და იზოლაციის გავლენა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე საქართველოში (2020) [https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/unfpa-cif\\_report.pdf](https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/unfpa-cif_report.pdf)

<sup>114</sup> UN Women, COVID-19-ის გავლენის შეფასება სამედიცინო სფეროში მომუშავე ქალებზე საქართველოში (2021) <https://bit.ly/3yNRxWD>

<sup>115</sup> UNDP, UNFPA, UN Women, COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება: მეორე ტალღა (2021) <https://bit.ly/3pee2kA>

<sup>116</sup> საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ (2020) <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>

### რეკომენდაციები:

- ▶ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ინიციატივით და უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან თანამშრომლობით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს სისტემურ ხედვას ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში დასაქმებული ქალების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, განსაკუთრებით, პანდემიის პერიოდში, რადგან, აღნიშნული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თავად ჯანდაცვის სექტორის გამართული მუშაობისთვის კრიზისულ პერიოდში;
- ▶ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პანდემიის პერიოდში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების უწყვეტი მიწოდება, განსაკუთრებით, სპეციალური საჭიროებების მქონე და მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული ქალებისათვის და მიწოდებული სერვისების ხარისხის მონიტორინგი. მათ შორის: დედებისა და ახალშობილებისთვის ზრუნვის სერვისების უზრუნველყოფა; უსაფრთხო აბორტი და შემდგომი ზრუნვა; კონტრაცეფცია; აივ ინფექცია/ შიდსის ანტირეტროვირუსული საშუალებებისა და სექსუალური გზით გადამდები დაავადებების სამკურნალო ანტიბიოტიკების მიწოდება. ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამედიცინო სერვისების უსაფრთხო და კონფიდენციალური მისაწვდომობა.

## VI. საზიანო პრაქტიკა

საქართველოს, როგორც ბავშვის უფლებების კონვენციის<sup>117</sup> და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის<sup>118</sup> ხელმომწერ ქვეყანას, ეკისრება საზიანო პრაქტიკების აღკვეთისა და დასრულების ვალდებულება.

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) 2020 წლის ანგარიშში<sup>119</sup>, სულ მცირე, 19 საზიანო პრაქტიკაა მოხსენებული, მათ შორის, მკერდის გაკვრა და ქალწულობის შემოწმება, რაც მიჩნეულია ადამიანის უფლების დარღვევად, რადგან „ღრმა და ხანგრძლივ ტრავმას იწვევს და ცხოვრებაში მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის უფლებას ართმევს“<sup>120</sup>.

აღნიშნული თავი შეეხება იმ პრაქტიკებს, რომლებიც საქართველოში მეტად იდენტიფიცირდება და გენდერულ თანასწორობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, თუმცა მნიშვნელოვანია, მხედველობიდან არ გამოგვრჩეს სხვა საზიანო პრაქტიკებიც და შესწავლილ იქნეს მათი გამოვლენის და გავრცელების მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაში.

### ა. იძულებითი, ადრეული და ბავშვთა ქორწინება და ქალთა გენიტალიების დასახიჩრება

ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინება კომპლექსური საკითხია, რომლის ფესვებიც სიღარიბეში, გენდერულ უთანასწორობაში, საზიანო პრაქტიკებსა და სოციალურ და კულტურულ ნორმებსა და ტრადიციებში შეიძლება ვეძებოთ. ის არა მხოლოდ არღვევს ბავშვის უფლებებს და ეწინააღმდეგება მის საუკეთესო ინტერესებს, არამედ გრძელვადიან უთანასწორობის ციკლს წარმოშობს ადრეულ ასაკში ქორწინების მსხვერპლისა და მისი შვილებისთვის, რაც გულისხმობს სექსუალურად გადამდები ინფექციებისა და ოჯახში ძალადობის გაზრდილ რისკს, გაზრდილ დედათა და ჩვილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელს.

<sup>117</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 8 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>

<sup>118</sup> ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 37 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>

<sup>119</sup> UNFPA, შუალედური ტექნიკური ანგარიში: COVID-19-ის პანდემიის გავლენა ოჯახის დაგეგმვასა და გენდერულ ძალადობაზე, ადრეულ ასაკში ქორწინებასა და გენიტალიების დასახიჩრებაზე (2020) [https://www.unfpa.org/sites/default/files/resource-pdf/COVID-19\\_impact\\_brief\\_for\\_UNFPA\\_24\\_April\\_2020\\_1.pdf](https://www.unfpa.org/sites/default/files/resource-pdf/COVID-19_impact_brief_for_UNFPA_24_April_2020_1.pdf)

<sup>120</sup> დაუყოვნებელი და დაჩქარებული მოქმედებაა საჭიროა ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების, ბავშვთა/ადრეული ქორწინებისა და სხვა მსგავსი პრაქტიკების შესაჩერებლად, რომლებიც ზიანს აყენებს ქალებსა და გოგონებს, ნათქვამია გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ანგარიშში. (2020)

უმეტეს შემთხვევაში, ადრეულ ასაკში ქორწინების მსხვერპლი ადარ აგრძელებს სწავლას<sup>121</sup>, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მის განათლების უფლებაზე და ზღუდავს ეკონომიკურ მონაწილეობას ხანგრძლივადიან პერიოდში. აღნიშნული წარმოადგენს ადრეულ ასაკში ქორწინების შესაძლო ნეგატიურ შედეგებს არა მხოლოდ ძალადობის მსხვერპლთათვის, არამედ მათი ოჯახებისთვის, შვილებისთვის და მთლიანად, საზოგადოებისთვის.

მდგრადი განვითარების მიზნების გლობალური ამოცანა 5.3 გულისხმობს ყოველგვარი მავნე პრაქტიკის აღმოფხვრას, როგორც არის ბავშვთა ქორწინება, ადრეულ ასაკში და იძულებით ქორწინება და ქალთა წინადაცვეთა (გენიტალიების დასახიჩრება).

საქართველოსადმი მისადაგებული ამოცანა 5.3 არ ითვალისწინებს ქალის გენიტალიების დასახიჩრების საზიანო პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აღნიშნული პრაქტიკა 2016 წელს გამოვლინდა. სახელმწიფომ გენიტალიების დასახიჩრება სისხლის სამართლის დანაშაულად აღიარა და ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საკითხზე მომუშავე სპეციალური სამუშაო ჯგუფის<sup>122</sup> მანდატი გააფართოვა, რათა მოეცვა აღნიშნული საზიანო პრაქტიკა<sup>123</sup>.

2020 წლის მდგრადი განვითარების მიზნების ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიშში ასახულია, რომ საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი პროგრესი საზიანო პრაქტიკების შემცირებისა და აღმოფხვრის მიმართულებით, რაც დამოწმებულია ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგების შედეგად 18 წლამდე ასაკის პირებს შორის ქორწინების რეგისტრაციის შესაძლებლობის გაუქმებით.<sup>124</sup> სისხლის სამართლის წესით დასჯადია 16 წლამდე ასაკს მიუღწეველ ბავშვთან თანაცხოვრება და იძულებითი ქორწინება, რაც ბავშვთა/ადრეულ ასაკში და იძულებითი ქორწინების წინააღმდეგ საკმაოდ სრულყოფილ ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოს ქმნის. მისასაღებელია სახელმწიფოს მიერ ადრეულ ასაკში და იძულებითი ქორწინების წინააღმდეგ გადასადგმელი ნაბიჯების ასახვა პოლიტიკის დოკუმენტებში.<sup>125</sup>

<sup>121</sup> 18 წლამდე დაქორწინებული ქალების 46.5% მხოლოდ დაწყებითი ან არასრული საშუალო განათლება ჰქონდა. MICS, 2018

<sup>122</sup> ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საკითხზე მომუშავე სპეციალური სამუშაო ჯგუფის მისიაა, ქვეყანაში არსებული საზიანო პრაქტიკების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის მიზნით, ღონისძიებების სტრატეგიული დაგეგმვა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები, გაეროს გენდერის თემატური ჯგუფის წევრები (საერთაშორისო და ღონისძიებების ორგანიზაციები), სახალხო დამცველის აპარატის და ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ჯგუფი მუშაობს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის თაოსნობით.

<sup>123</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნულია, რომ “2019 წლის 15-17 დეკემბერს, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ჯგუფის გასვლითი შეხვედრის ფორმატში, „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამთავრობო სამოქმედო გეგმით (2018-2020 წლებისთვის)” ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიზნით, განისაზღვრა ცხრა პრიორიტეტული მიმართულება, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და სხვა საზიანო პრაქტიკების აღმოფხვრის ჯგუფი. აღნიშნული სამუშაო/საკოორდინაციო ჯგუფის სამოქმედო მიმართულებათა შორის არის ქალთა გენიტალიების დასახიჩრების საზიანო პრაქტიკის პრევენციაც.” გვ. 199. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>

<sup>124</sup> 2017 წლის დასაწყისში ძალაში შევიდა ცვლილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლში, რომლის შედეგადაც ქორწინების მინიმალური ასაკი 18 წელია, გამონაკლისების გარეშე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=115>

<sup>125</sup> „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიაში“ ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან მიმართებით არსებობს ჩანაწერი, რომელიც აღნიშნავს, რომ აუცილებელია სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ამასთან, საკვანძო სახელმწიფო უწყებები შეთანხმდნენ „ქვეყნის ცვლილებაზე ორიენტირებული საკომუნიკაციო სტრატეგიის“ (COMBI) განხორციელებაზე გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ხელმძღვანელობით.

მიუხედავად ამისა, 2018 წლის საქართველოს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემების სიდრმისეული ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ადრეულ ასაკში/ბავშვთა ქორწინების პრევალენტობა ქვეყანაში 2010 წლიდან არ შეცვლილა და კვლავ მაღალია (13.9% და 14%, შესაბამისად).<sup>126</sup>

ამასთან, კვლევა გამოკვეთს, რომ ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინება გენდერულად განსაზღვრული ფენომენია და ის უფრო მეტ არასრულწლოვან გოგოს აზიანებს, ვიდრე ბიჭს<sup>127</sup>. ადრეულ ასაკში ქორწინება/ბავშვთა ქორწინება უფრო მეტად სოფლად არის გავრცელებული, ვიდრე ქალაქის ტიპის დასახლებებში. კერძოდ, სოფლად 18 წლამდე ასაკში ბავშვის გაჩენის რისკი ორჯერ უფრო მაღალია (რისკი – 11,3%), ვიდრე ქალაქად (რისკი – 6,5%), ხოლო ეთნიკურად აზერბაიჯანელ ქალებს შორის სამჯერ მაღალია ადრეული შვილოსნობის რისკი (16,3%), ვიდრე ეთნიკურად ქართველ ქალებს შორის (5,4%). ასევე მაღალია მოზარდების შობადობის მაჩვენებელი. 2018 წლის მონაცემებით, იმ ახალგაზრდა ქალების პროცენტული წილი, რომლებსაც 20 წლამდე ასაკში უკვე ჰყავდათ შვილები, ისეთივე მაღალი იყო 2010 წელს, როგორც 2018 წელს და შეადგენდა 5,2 პროცენტს.<sup>128</sup>

აღნიშნულს გარკვეულწილად განაპირობებს ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების პრევენციის მექანიზმების არარსებობა. კერძოდ, დაბალია ცნობიერების დონე ადრეულ ასაკში/ბავშვთა ქორწინების ნეგატიურ შედეგებზე, ხოლო სასწავლო კურიკულუმებში სრულად არ არის ინტეგრირებული რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ კომპლექსური განათლების კომპონენტი.<sup>129</sup>

გარდა პრევენციისა, პრობლემაა ადრეულ ასაკში ქორწინებისა და ნიშნობის უკვე მომხდარი შემთხვევების იდენტიფიცირება, შეტყობინება, რეფერირება და მართვა. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი ადრეულ ასაკში ქორწინების/ნიშნობის შემთხვევები მიუთითებს, რომ კვლავ პრობლემურია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სოციალურ სამსახურს შორის დროული და ეფექტური კოორდინაცია და რეფერირების მექანიზმის გამართული მუშაობა.<sup>130</sup>

შედეგად, საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგება აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვან, მაგრამ არასაკმარის პასუხად რჩება. სამწუხაროდ, ხელმისაწვდომი მონაცემები სრულყოფილად ვერ ასახავს ადრეულ ასაკში/ბავშვთა ქორწინებასთან დაკავშირებულ კომპლექსურ რეალობას, რომელიც, დიდი ალბათობით, მნიშვნელოვნად აღემატება სტატისტიკით ნაჩვენებ სურათს.

#### რეკომენდაცია:

- ▶ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საკითხზე მომუშავე სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა კრიტიკულად გააანალიზოს პრევენციის და

<sup>126</sup> 2018 წლის MICS კვლევის ფარგლებში, შეგროვდა მონაცემები ყველა ქორწინების თუ არარეგისტრირებული კავშირის და არა მხოლოდ ოფიციალური ქორწინებების შესახებ.

<sup>127</sup> პროცენტული მაჩვენებელი ქალების და კაცების, რომლებიც პირველად დაქორწინდნენ ან დაიწყეს ცხოვრება პარტნიორთან 15 და 18 წლის ასაკამდე, შესაბამისად 13.9% და 0.5%-ია. UNFPA, MICS (2018).

<sup>128</sup> იქვე

<sup>129</sup> საქართველოს სახალხო დამცველი: სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება, 2019 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072913513711692.pdf>

<sup>130</sup> საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ (2020) <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>

რეაგირების არსებული სისტემა (მათ შორის, გადახედოს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების<sup>131</sup> იმპლემენტაციის ხარვეზებს და სამართალდამცავ უწყებებში საზიანო პრაქტიკებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების წესებს) და საზიანო პრაქტიკების, მათ შორის, იძულებით, ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით შეიმუშაოს კონკრეტულად საზიანო პრაქტიკების პრევენციისა და ზიანის შემცირებისკენ მიმართული ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიაზრებს მონაცემთა შეგროვებას, ანალიზს, მონიტორინგსა და გავლენების შეფასებას.<sup>132</sup>

## **ბ. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკა/ვაჟიშვილის ყოლისთვის უპირატესობის მინიჭება**

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტმა, დასკვნით შეფასებებში საქართველოს მოუწოდა, „აღმოფხვრას პრენატალური სქესის წინასწარი ამოცნობის შედეგად წარმოშობილი სელექციური აბორტების პრაქტიკა.“<sup>133</sup>

საქართველოში, 2020 წლის მონაცემებით, ყოველ 100 გოგონაზე საშუალოდ 109.3 ბიჭი იბადება<sup>134</sup>, რაც ახალშობილთა სქესობრივი თანაფარდობის ნორმას (100/104-106) აღემატება. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკა საქართველოსთვის კვლავ გამოწვევად რჩება, თუმცა აშკარაა პროგრესი.

სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკებთან დაკავშირებული სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების კვლევის მიხედვით, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სიღარიბის შემცირება, შობადობის ზრდა, ქვეყანაში გენდერული თანასწორობის განმტკიცება, ქალთა გაძლიერება, კაცების განათლება დადებითად მოქმედებს ამ პრაქტიკის შემცირებაზე.<sup>135</sup>

### **რეკომენდაცია:**

▶ საქართველოს პარლამენტმა მიიღოს რეზოლუცია, რომელიც დაგმობს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკას/ვაჟიშვილის ყოლისთვის უპირატესობის მინიჭებას და შექმნას პლატფორმა პარლამენტში ამ საზიანო პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკისა და საერთაშორისო გამოცდილების გასაზიარებლად, რომლის ფარგლებშიც პარლამენტის წევრები დააფიქსირებენ მხარდაჭერას ამ საზიანო პრაქტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად.

<sup>131</sup> მთავრობის დადგენილება №437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ (2016) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478?publication=0>

<sup>132</sup> ინფორმირებულია გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ საქართველოსადმი გაცემული რეკომენდაციით: CRC/C/OPSC/GEO/CO/1 (2019)

<sup>133</sup> CEDAW/C/GEO/CO/4-5 (31/b) (2014)

<sup>134</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „ქალი და კაცი საქართველოში“ (2020)

<sup>135</sup> ISET, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების კვლევა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკასთან მიმართებაში (2020)



### 3. COVID-19 პანდემიის გავლენა საზიანო პრაქტიკაზე

კოვიდ-19-ის პანდემია, რომელმაც ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და სოციო-ეკონომიკური კრიზისები გამოიწვია მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით აღრმავებს გენდერულ უთანასწორობას, რაც მოსალოდნელია, რომ ნეგატიურად აისახება ბავშვთა/ადრულ ასაკში ქორწინების, იძულებით ქორწინებისა და გენიტალიების დასახიჩრების საზიანო პრაქტიკების გამოვლენაზე, დროულ შეტყობინებასა და უკვე დამდგარ შემთხვევებთან გამკლავებაზე.<sup>136</sup>

გაეროს მოსახლეობის ფონდის შუალედურ ტექნიკურ ანგარიშში „COVID-19-ის პანდემიის გავლენა ოჯახის დაგეგმვასა და გენდერულ ძალადობაზე, ადრულ ასაკში ქორწინებასა და გენიტალიების დასახიჩრებაზე“<sup>137</sup> აღნიშნულია, რომ პანდემიამ მსოფლიო მასშტაბით შესაძლოა, 2020-დან 2030 წლამდე პერიოდში გამოიწვიოს 13 მილიონით მეტი ბავშვთა ქორწინება და ხელი შეუშალოს სახელმწიფოებს საზიანო პრაქტიკების წინააღმდეგ ბრძოლისთვის შექმნილი დღის წესრიგის განხორციელებაზე და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

#### რეკომენდაცია:

- ▶ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე, კორონავირუსის შედეგებთან გამკლავებისკენ მიმართულ ეროვნულ სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებში ჩამოყალიბდეს საზიანო პრაქტიკების აღმოფხვრისკენ მიმართული დღის წესრიგი, ამგვარ პრაქტიკებზე (ბავშვთა/ადრულ ასაკში ქორწინება, იძულებითი ქორწინება და გენიტალიების დასახიჩრება), მათ გამოვლენასა და მათთან გამკლავებაზე COVID-19 პანდემიის გავლენების შეფასების შედეგად.

<sup>136</sup> UNFPA, კორონავირუსის პანდემიის გლობალური საპასუხო გეგმა (2020), იხ: [https://www.unfpa.org/sites/default/files/resource-pdf/UNFPA\\_Global\\_Response\\_Plan\\_Revised\\_June\\_2020\\_.pdf](https://www.unfpa.org/sites/default/files/resource-pdf/UNFPA_Global_Response_Plan_Revised_June_2020_.pdf)

<sup>137</sup> UNFPA, შუალედური ტექნიკური ანგარიში: COVID-19-ის პანდემიის გავლენა ოჯახის დაგეგმვასა და გენდერულ ძალადობაზე, ადრულ ასაკში ქორწინებასა და გენიტალიების დასახიჩრებაზე (2020). [https://www.unfpa.org/sites/default/files/resource-pdf/COVID-19\\_impact\\_brief\\_for\\_UNFPA\\_24\\_April\\_2020\\_1.pdf](https://www.unfpa.org/sites/default/files/resource-pdf/COVID-19_impact_brief_for_UNFPA_24_April_2020_1.pdf)

## VII. გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში

განათლება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებების განმტკიცების თვალსაზრისით. განათლების განსაკუთრებული როლი სულ უფრო და უფრო აღიარებულია ექსტრემიზმის, რასიზმის, ქსენოფობიის, დისკრიმინაციისა და არატოლერანტობის წინააღმდეგ ბრძოლაში. გარდა ამისა, მაღალი ხარისხის განათლება და მოთხოვნების შესაბამისი უნარების განვითარება ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უმთავრესი წინაპირობაა. უმნიშვნელოვანესია განათლების სექტორის როლი საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის გაძლიერების კუთხითაც – ერთი მხრივ, ადრეული ასაკიდანვე თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომები ხელს უწყობს საზოგადოებაში გავრცელებული დისკრიმინაციული სტერეოტიპების აღმოფხვრას, ხოლო, მეორე მხრივ, განათლების თითოეულ საფეხურზე გოგონებისა და ბიჭებისთვის თანაბარი პირობებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა გენდერული თვალსაზრისით უფრო თანასწორი შრომის ბაზრის არსებობის საწინდარია.

საქართველოში სტაბილურად მაღალია ზრდასრულთა შორის წიგნიერების დონე. დაწყებით კლასებში ჩარიცხვა, ფაქტობრივად უნივერსალურია და ის დაახლოებით, 96%-ს უტოლდება გოგონებისა და ბიჭებისთვისაც. სკოლამდელ განათლებაზე სახელმწიფო ხარჯების ზრდამ გამოიწვია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვების რაოდენობის მკვეთრი ზრდა – ბოლო მონაცემებით, 5 წლის ასაკში საბავშვო ბაღში დადის გოგონების, დაახლოებით, 92% და ბიჭების 88%.<sup>138</sup> შესაბამისად, განათლების ადრეულ ეტაპზე გენდერული განსხვავებები ჩარიცხვის თვალსაზრისით, პრაქტიკულად არ არსებობს.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, დაახლოებით, 11.0 ათასი გოგონა და ბიჭი სწავლობს: სახელმწიფო პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯებში – 44% ქალი და 56% კაცი, კერძო პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯებში – 64% ქალი და 36% კაცი. გოგონები დომინირებენ ხელოვნების, ჯანმრთელობის, განათლებისა და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებში, ხოლო ბიჭები წარმოადგენენ სტუდენტების უმრავლესობას საინჟინრო და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალობებში.<sup>139</sup>

<sup>138</sup> საქსტატი, ქალი და კაცი საქართველოში, 2020

<sup>139</sup> ibid.

რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, აქაც ქალები და კაცები, ფაქტობრივად ერთნაირად არიან წარმოდგენილნი: სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში – 51% ქალი, 49% კაცი, კერძო უმაღლეს სასწავლებლებში – 48% ქალი, 52% კაცი. ქალები უმაღლეს განათლებას, ძირითადად, იღებენ ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, განათლებისა და ჯანმრთელობის სფეროებში, კაცები დომინირებენ საინჟინრო, საწარმოო და სამშენებლო პროგრამებში. ანალოგიური გენდერული განაწილება შეიმჩნევა დოქტორანტიებშიც.<sup>140</sup>

არაერთი შეფასებით,<sup>141</sup> საქართველოს განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი წარმატებული რეფორმები განხორციელდა. 2009-2015 პერიოდის განმავლობაში გაუმჯობესდა 15 წლის მოსწავლის საშუალო მაჩვენებელი კითხვის, მათემატიკის, სამეცნიერო საგნების შესწავლის თვალსაზრისით, თუმცა შეფასებები გარკვეულ უთანასწორობაზე ამხვილებს ყურადღებას – ერთი მხრივ, აღნიშნული პროგრესი ერთგვაროვანი არ ყოფილა ქვეყნის მასშტაბით და სოფლის სკოლების მოსწავლეები ბევრად ჩამორჩებიან ქალაქის სკოლების მოსწავლეებს. გარდა ამისა, განსხვავებებია სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიხედვითაც. ასევე, იმ მოსწავლეების შედეგები, რომლებიც სახლში ქართულ ენაზე არ საუბრობენ, მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება საშუალო მაჩვენებელს. 2019 წლის შეფასებაში უთო მიუთითებს, რომ აღნიშნული განსხვავებები 2009-2015 წლების პერიოდში კიდევ უფრო გაღრმავდა.<sup>142</sup>

მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, არაერთი შეფასებით, განათლების დონე საქართველოში საკმაოდ დაბალია. PISA<sup>143</sup>-ს რეიტინგში, რომელიც ქვეყნებში მოსწავლეთა განათლების დონის შესაფასებლად უთოს მიერ შემუშავებული სისტემაა, მოსწავლეთა მიერ წაკითხულის გააზრებაში საქართველოს არასახარბიელო 69-ე პოზიცია უჭირავს, 380 ქულით<sup>144</sup>, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება უთოს ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. მსოფლიო ბანკის ბოლო, 2018 წლის შეფასებით, საქართველოს განათლების სისტემა ვერ უზრუნველყოფს ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი უნარების სათანადოდ ჩამოყალიბებას.<sup>145</sup> მიუხედავად იმისა, რომ განათლების სისტემა საქართველოში ფართოდაა ხელმისაწვდომი, ვერ ხერხდება შრომის ბაზრის გამოწვევებსა და მოთხოვნებზე მორგება.<sup>146</sup> აღნიშნული პრობლემის დასაძლევად, მსოფლიო ბანკი საქართველოს სამი ძირითადი მიმართულებით ურჩევს მუშაობის გაძლიერებას: (i) მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლება და ზოგადი განათლების სასწავლო კურიკულუმის დახვეწა; (ii) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის ამაღლება, ასევე მისი გაფართოება, განსაკუთრებით – სოფლად მცხოვრები და ეკონომიკურად არახელსაყრელ პირობებში მყოფი მოსახლეობისთვის; (iii) უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირება ინსტიტუციური გაძლიერების, სწავლის ხარისხის ამაღლების და სასწავლო პროგრამების დახვეწის თვალსაზრისით, ასევე, შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების (performance-based funding) და ანგარიშვალდებულებების

<sup>140</sup> *ibid.*

<sup>141</sup> OECD Reviews of Evaluation and Assessment in Education, Georgia, 2019. [shorturl.at/bp347](https://shorturl.at/bp347)

World Bank, Georgia, from reformer to Performer, A Systematic Country Diagnostic, 2018. [shorturl.at/ioqQ8](https://shorturl.at/ioqQ8)

<sup>142</sup> OECD Reviews of Evaluation and Assessment in Education, Georgia, 2019. [shorturl.at/bp347](https://shorturl.at/bp347)

<sup>143</sup> Programme for International Student Assessment. PISA რეიტინგით ქვეყნების შეფასება უთომ დაიწყო 2000 წელს, შეფასება ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ, საქართველოს ბოლო შეფასება 2018 წელს განხორციელდა.

<sup>144</sup> *ib:* <https://gpseducation.oecd.org/CountryProfile?primaryCountry=GEO&treshold=10&topic=PI>

<sup>145</sup> World Bank, Georgia, from reformer to Performer, A Systematic Country Diagnostic, 2018. [shorturl.at/ioqQ8](https://shorturl.at/ioqQ8)

<sup>146</sup> 25-64 წლის ასაკის მოსახლეობის 35%-ს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, რაც ევროპის საშუალო მაჩვენებელს უტოლდება, თუმცა ამავდროულად დაუსაქმებელთა 40% უმაღლესი განათლების მქონეა (მსოფლიო ბანკი, 2018)

(result-based accountability) მექანიზმების გაძლიერება იმისათვის, რომ უმაღლესი განათლების სისტემამ უზრუნველყოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარების განვითარება.<sup>147</sup>

გოგონებისა და ბიჭებისთვის, ქალებისა და კაცებისთვის განათლების უფლების თანაბრად უზრუნველყოფა სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებული ვალდებულებაა. *ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია*<sup>148</sup>, კერძოდ, მისი მე-10 მუხლი მოუწოდებს სახელმწიფოებს, განათლების სფეროში აღმოფხვრან ყველა სახის გენდერული დისკრიმინაცია. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კომიტეტი ცალკე რეკომენდაციას უძღვნის განათლების სფეროს. კერძოდ, *კომიტეტის 36-ე ზოგადი რეკომენდაცია* (2017), რომელიც ქალებისა და გოგონების განათლების უფლებას ეხება<sup>149</sup>, მიიჩნევს, რომ აღნიშნულ უფლებას, სულ მცირე, სამი განზომილება გააჩნია, კერძოდ: ყველა გოგონასა და ქალს უნდა ჰქონდეს განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა (right of access to education); ასევე, განათლების სფეროში სახელმწიფომ უნდა შეძლოს არსებითი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა (right within education); და ბოლოს, განათლებამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის გაძლიერება (right through education).

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი, *საქართველოს მეოთხე და მეხუთე პერიოდული ანგარიშების დასკვნით შენიშვნებში*, პირდაპირ მიუწოდებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს განათლების უფლება ქალებისა და გოგონებისთვის.<sup>150</sup> კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს ამ მიმართულებით პრობლემების არსებობას, კერძოდ: გოგონების მიერ აღრეული ქორწინების გამო სკოლის მიტოვებას; განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობებს შორის, გენდერულ დისბალანსს სკოლის მასწავლებელთა შორის; ასევე სკოლებში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ასაკის შესაბამისი გაკვეთილების არარსებობას.

განათლებას საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად აღიარებს *პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა*.<sup>151</sup> ასევე, *განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო იუნესკოს კონვენცია*,<sup>152</sup> რომელსაც საქართველო 1992 წლიდან შეუერთდა, მოუწოდებს ქვეყნებს ისეთი პოლიტიკის, მეთოდების და მიდგომების გამოყენებისკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ დისკრიმინაციის დაუშვებლობას განათლების სფეროში. *ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ (2010)*<sup>153</sup>,

<sup>147</sup> World Bank, Georgia, from reformer to Performer, A Systematic Country Diagnostic, 2018. [shorturl.at/ioqQ8](http://shorturl.at/ioqQ8)

<sup>148</sup> რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1994წ. 22 სექტემბრის N 561 დადგენილებით, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf>

<sup>149</sup> CEDAW, General recommendation No. 36 (2017) on the right of girls and women to education; [https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1\\_Global/CEDAW\\_C\\_GC\\_36\\_8422\\_E.pdf](https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/CEDAW_C_GC_36_8422_E.pdf)

<sup>150</sup> ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეოთხე და მეხუთე პერიოდული ანგარიშების შესახებ, 26-ე პუნქტი. [shorturl.at/ckuwR](http://shorturl.at/ckuwR)

<sup>151</sup> პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, სტრატეგიული მიზანი B. [shorturl.at/oHQ27](http://shorturl.at/oHQ27)

<sup>152</sup> UNESCO-1960-12-14, განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია, 2019; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4466863?publication=0>

<sup>153</sup> CoE, Charter on Education for Democratic Citizenship and Human Rights Education: <https://www.coe.int/en/web/edc/charter-on-education-for-democratic-citizenship-and-human-rights-education>

მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, განათლების სფეროსა და სწავლების მეშვეობით გააძლიერონ ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებები, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა და ხელი შეუწყონ ძალადობის, რასიზმის, ექსტრემიზმის, ქსენოფობიის, დისკრიმინაციისა და არატოლერანტობის აღმოფხვრას. განათლების საკითხს ასევე ეხება მდგრადი განვითარების მე-4 მიზანი,<sup>154</sup> რომელიც სახელმწიფოებს მოუწოდებს, 2030 წლისთვის ყველას უზრუნველყოფას ინკლუზიური და თანასწორი განათლებით და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობით.

## ა. განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ზოგადი საკანონმდებლო გარანტიები

გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონი<sup>155</sup> ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა ქალისა და კაცისთვის განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და სწავლების ყველა ეტაპზე განათლების თავისუფალი არჩევანის გზით. (მუხლი 4 (2) ბ). ასევე, კანონის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა დისკრიმინაციის გარეშე (მუხლი 7 (1) და ქალებისა და კაცებისთვის ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებაში თანასწორი პირობების შექმნა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების განხორციელებაში მონაწილეობის ჩათვლით (მუხლი 7. (2)

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ<sup>156</sup>, არ მოიცავს ზოგადი განათლების სისტემის ფარგლებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ვალდებულებებს, ასეთი ვალდებულებები არც უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში<sup>157</sup> განსაზღვრული.

### რეკომენდაცია:

- ▶ რეკომენდებულია, გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონი გასცდეს განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის შესახებ დეკლარაციული ხასიათის ჩანაწერებს და განსაზღვროს ადნიშნულ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კონკრეტული მექანიზმები, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების სრულად გათვალისწინებითა და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით;
- ▶ რეკომენდებულია, ზოგადი განათლების, ასევე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონებს დაემატოს გენდერული თანასწორობის გარანტიები და კონკრეტული მექანიზმები, რომლებშიც სრულად იქნება ინტეგრირებული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით

<sup>154</sup> SDG Indicators, Metadata repository: <https://unstats.un.org/sdgs/metadata/>

<sup>155</sup> საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=9>

<sup>156</sup> საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90>

<sup>157</sup> საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=88>

**განსაზღვრული განათლების უფლების სამივე განზომილება, კერძოდ –** ყველა გოგონასა და ქალისთვის განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა (right of access to education), განათლების სფეროში არსებითი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ვალდებულება (right within education), და განათლების სისტემის მეშვეობით საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის გაძლიერება (right through education);

- ▶ რეკომენდებულია, ზოგადი განათლების, ასევე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონებით განისაზღვროს **გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების წარმოებისა და დამუშავების ვალდებულება განათლების ყველა სფეროში, ყველა საფეხურზე.**

## **ბ. საქსუალური და სხვა სახის შევიწროება განათლების სფეროში**

კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, შრომით ურთიერთობებში კრძალავს სექსუალურ შევიწროებას (მუხლი 6 (1) ბ). 2020 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, შრომით ურთიერთობებში სექსუალური აკრძალვის შესახებ დებულებები დაემატა შრომის კოდექსს,<sup>158</sup> ხოლო 2019 წლიდან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით დასჯადი გახდა სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში.<sup>159</sup>

კანონმდებლობაში არ არსებობს ჩანაწერი განათლების სექტორში სექსუალური შევიწროების შესახებ. შრომით ურთიერთობებში სექსუალური შევიწროების დასჯა ასევე ეხება განათლების სექტორში დასაქმებულ პირებს, თუმცა არ მოიცავს მოსწავლეებს თუ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ან საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვა თანამშრომლებს შორის ურთიერთობებს. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, „მოსწავლეს უფლება აქვს, დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისგან“ (მუხლი 9 (8)). თუმცა არც აღნიშნული და არც უმაღლესი განათლების შესახებ კანონი არაფერს ამბობს სექსუალურ შევიწროებაზე.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის 36-ე ზოგადი რეკომენდაცია (2017), რომელიც ქალებისა და გოგონების განათლების უფლებას ეხება, მოუწოდებს სახელმწიფოებს, დაიცვან გოგონები და ქალები სექსუალური შევიწროებისა და ძალადობისგან,<sup>160</sup> შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პროცედურების მიღებისა და აღსრულების გზით, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისე მის მიმდებარედაც.<sup>161</sup> აღნიშნული ზომები, ასევე, უნდა შეეხოს ვერბალური და ემოციური ძალადობის, ადევნების, ფიზიკური ძალადობისა და ექსპლუატაციის საკითხებს.<sup>162</sup> რეკომენდაცია ასევე მოუწოდებს სახელმწიფოებს, სექსუალურ შევიწროებასა და ძალადობასთან საბრძოლველად შეიმუშაონ შესაბამისი სამოქმედო გეგმები და სპეციალური

<sup>158</sup> შრომის კოდექსი, მუხლი 4 (6). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=20>

<sup>159</sup> ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 1661. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=481>

<sup>160</sup> რეკომენდაციის 63-ე პუნქტი (გ)

<sup>161</sup> რეკომენდაციის 69-ე პუნქტი (ე)

<sup>162</sup> რეკომენდაციის 69-ე პუნქტი (ა)

გაიდლაინები სკოლებისთვის, ასევე – სავალდებულო გახადონ ამ მიმართულებით მასწავლებელთა ტრენინგები.

#### **რეკომენდაცია:**

- ▶ რეკომენდებულია, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში, ასევე ზოგადი განათლების და უმაღლესი განათლების შესახებ კანონებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს **სექსუალური შევიწროების, ასევე სასკოლო ძალადობის სხვა ფორმების დეტალური განმარტება, მათი პრევენციისა და მათზე რეაგირების ზომები, საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად;**
- ▶ რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშაოს საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა გასაჩივრების მექანიზმები, **სექსუალური ძალადობის და სხვა სახის სასკოლო ძალადობის საკითხთან მიმართებით;**
- ▶ რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საერთაშორისო სტანდარტების, მათ შორის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის 36-ე ზოგადი რეკომენდაციის მოთხოვნათა შესაბამისად, **საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შეიმუშაოს სპეციალური გაიდლაინები სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის;**
- ▶ რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშაოს საგანმანათლებლო სისტემის გამოწვევებს მორგებული, **სპეციალური ტრენინგ-კურსი პროფესორ-მასწავლებლებისთვის სექსუალური შევიწროების საკითხებში და განახორციელოს პროფესორ-მასწავლებელთა სავალდებულო ტრენინგი ამ მიმართულებით.**

## **8. გენდერული დისბალანსი აკადემიურ პერსონალს შორის**

საქართველოში, პროფესორ-მასწავლებელთა შორის, ზოგადი განათლების მასწავლებლები წარმოადგენენ განათლების სექტორში დასაქმებულთა აბსოლუტურ უმრავლესობას. ქალი სკოლის მასწავლებლების რაოდენობამ 2019 წელს, დაახლოებით 55 000 შეადგინა, რაც 6.5-ჯერ აღემატება მამრობითი სქესის მასწავლებელთა რაოდენობას.<sup>163</sup> ქალები რაოდენობით აღემატებიან კაცებს პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, თუმცა აქ გენდერული განსხვავებები შედარებით ნაკლებად არის გამოხატული.<sup>164</sup> პროფესიის ფემინიზაციის მიზეზთა შორისაა საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები „ქალის“ და „კაცის“ პროფესიათა კატეგორიზაციის შესახებ, ასევე პროფესორ-მასწავლებელთა დაბალი ანაზღაურება.

აღნიშნული საკითხი მოხვდა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის მეოთხე და მეხუთე პერიოდული ანგარიშების დასკვნით შენიშვნებში

<sup>163</sup> ქალი 87% კაცი 13%

<sup>164</sup> სახელმწიფო პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯებში პროფესორ-მასწავლებლები: 62% ქალი, 38% კაცი; სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესორ-მასწავლებლები: 55% ქალი, 45% კაცი.

საქართველოს შესახებ, სადაც კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მასწავლებელთა შორის გენდერული დისბალანსი სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. კომიტეტი, ასევე, ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ სკოლებში მმართველობითი პოზიციები უმეტესად მამაკაცებს უკავიათ. შესაბამისად, კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს, მიიღოს ზომები გენდერული დისბალანსის აღმოსაფხვრელად ყველა დონეზე, როგორც მასწავლებელთა შორის, ისე მმართველობით პოზიციებზე.<sup>165</sup> ასევე, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის 36-ე ზოგადი რეკომენდაცია მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიიღონ ზომები განათლების სექტორის მაღალ რგოლში ქალთა წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად.<sup>166</sup>

განათლების სექტორში გენდერული დისბალანსის შესამცირებლად ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა<sup>167</sup>, კერძოდ – გენდერული თანასწორობისა და განათლების შესახებ ნაწილი, ითვალისწინებდა განათლების რგოლში ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის დაძლევის მიზანს (მიზანი 12.13), თუმცა აღნიშნული გეგმის შესრულების ბოლო წლიური ანგარიშის თანახმად, ამ მიზნის მიღწევა ვერ მოხერხდა.<sup>168</sup>

#### რეკომენდაცია:

- ▶ რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეისწავლოს განათლების სექტორში ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის მიზეზები და მათ დასაძლევად შეიმუშაოს კონკრეტული სტრატეგია, რომელიც განათლების სექტორში დასაქმებულთა გენდერული ბალანსის დამკვიდრებისკენ იქნება მიმართული. სტრატეგია უნდა დაეყრდნოს საუკეთესო პრაქტიკასა და გამოცდილებას, უნდა მოიცავდეს მასწავლებელთა სტატუსისა და ანაზღაურების გაუმჯობესების, ასევე, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისკენ მიმართულ ღონისძიებებს და სხვადასხვა წამახალისებელ ზომებს;
- ▶ რეკომენდებულია, განათლების სექტორში ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის მიზეზების კვლევა განხორციელდეს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტთან კოორდინაციით. გარდა ამისა, რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, შედამხედველობა გაუწიოს შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებასა და აღსრულებას.

<sup>165</sup> ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის მეოთხე და მეხუთე პერიოდული ანგარიშების დასკვნით შენიშვნები; პუნქტი 26 (დ), 27 (დ) [shorturl.at/emvBJ](http://shorturl.at/emvBJ)

<sup>166</sup> რეკომენდაციის 75-ე პუნქტი.

<sup>167</sup> საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის: <http://myrights.gov.ge/ka/plan/Action%20Plan%202020>

<sup>168</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში, 2019: <http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/5726HRAPAnnualReport-2019.pdf>



## დ. გენდერული თანასწორობა ეროვნულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში

დემოკრატიის პრინციპებისა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლება ეროვნულ საბჭოს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ქარტიის<sup>169</sup> ძირითადი მიზანია. ქარტიის თანახმად, საქართველომ, როგორც ევროსაბჭოს წევრმა სახელმწიფომ, უნდა უზრუნველყოს განათლების სფეროსა და სწავლების მეშვეობით ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერება, ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის განმტკიცება, ძალადობის, რასიზმის, ექსტრემიზმის, ქსენოფობიის, დისკრიმინაციისა და არატოლერანტობის აღმოფხვრა. ქარტიის თანახმად, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი გენდერული თანასწორობაცაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით სწავლების უზრუნველყოფა.<sup>170</sup>

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის 36-ე ზოგადი რეკომენდაცია ქალებისა და გოგონების განათლების უფლების შესახებ მიიჩნევს, რომ გენდერული სტერეოტიპები სასწავლო პროგრამაში მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს გენდერული თანასწორობის უფლების რეალიზაციისთვის და მოუწოდებს სახელმწიფოებს ქალთა უფლებების შესახებ სწავლების ინტეგრირებისკენ სასწავლო პროგრამის ყველა დონეზე.<sup>171</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით,<sup>172</sup> როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების სფეროში სათანადო ყურადღება არ ეთმობა ადამიანის უფლებათა სწავლების საკითხს. ასევე, იკვეთება პრობლემები საგანმანათლებლო მასალების ადამიანის უფლებათა პრინციპებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა სასკოლო სახელმძღვანელოებსა და პროგრამებში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირებისა და პოპულარიზაციის მიზანს (მიზანი 12.14), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიზნის მისაღწევად დაგეგმილი ამოცანები და ღონისძიებები სამოქმედო გეგმის მოქმედების პერიოდში სათანადოდ ვერ შესრულდა. კერძოდ, აღნიშნული გეგმის შესრულების ბოლო წლიური ანგარიში სასკოლო სახელმძღვანელოებში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირების ამოცანის (ამოცანა: 12.14.1) შესრულებად მიიჩნევს „დაწყებითი და საბაზო საფეხურების ეროვნულ სასწავლო გეგმაში“ გენდერული პრინციპების ინტეგრირებას მაგრამ აღნიშნული სასწავლო გეგმების შესწავლამ გვიჩვენა<sup>173</sup>, რომ სრულიად ფრაგმენტული და არასაკმარისია მათში გენდერული თანასწორობის საკითხებზე სწავლების წილი.

<sup>169</sup> CoE, Charter on Education for Democratic Citizenship and Human Rights Education: <https://www.coe.int/en/web/edc/charter-on-education-for-democratic-citizenship-and-human-rights-education>

<sup>170</sup> მუხლი 5 (f)

<sup>171</sup> მუხლი 24 (b)

<sup>172</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020

<sup>173</sup> საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, იხ: <http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/sabazo-safekhuri-vi-ix-klasebi-proeqti-sadjaro-gankhivistvis> დაწყებითი საფეხურის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, იხ: <http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsels>

გარდაამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია (2017-2021)<sup>174</sup>, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებს სასწავლო რესურსებში გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით არაადამაკმაყოფილებელი შინაარსის სახელმძღვანელოების არსებობას, სამოქმედო გეგმაში არ განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის სწავლების ხელშემწყობი პროგრამების შექმნას ან არსებული სასწავლო რესურსების გენდერული მენისტრიმინგის ღონისძიებებს.

### რეკომენდაცია:

- ▶ რეკომენდებულია, **ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონმა სახელმწიფოს ვალდებულებად განსაზღვროს ეროვნული სასწავლო პროგრამის გენდერული მენისტრინგი**, საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად;
- ▶ რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპებსა და საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით, **შეიმუშაოს ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა**;
- ▶ რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელოს საქართველოს **განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის გენდერული მენისტრიმინგი** და მასში ასახოს ეროვნულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში გენდერული თანასწორობის ინტეგრირებასთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხო მიზნები, ამოცანები და კონკრეტული ღონისძიებები;
- ▶ რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სათანადო სპეციალისტების და დარგის ექსპერტების ჩართულობით, საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, განახორციელოს **ეროვნული სასწავლო გეგმების გენდერული მენისტრიმინგი**.

სახალხო დამცველის შეფასებით,<sup>175</sup> სასკოლო სახელმძღვანელოების რევენზირების მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. კერძოდ, სახელმძღვანელოების გრიფირების კომისიაში შევიდნენ სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სპეციალისტები, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა სასწავლო მასალებში დისკრიმინაციული, სტერეოტიპული შეხედულებების შემცველი შინაარსების თავიდან აცილება და ტექსტებში მულტიკულტურული მიდგომის, განსხვავებულის მიმართ პატივისცემის იდეის შემცველი შინაარსის დამატება. თუმცა, სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნული პროცესი ბოლომდე ვერ პასუხობს შესაბამის სტანდარტებს, გამოწვევები გამოვლინდა გენდერული თანასწორობის გაძლიერებისკენ მიმართული შინაარსის ინტეგრირების თვალსაზრისით.<sup>176</sup>

<sup>174</sup> განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021: <https://mes.gov.ge/uploads/სტრატეგია/განათლებისა%20და%20მეცნიერების%20სტრატეგია.pdf>

<sup>175</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020

<sup>176</sup> სახალხო დამცველი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რევენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე, 2020: <https://ombudsman.ge/res/docs/2020122517134623546.pdf>

გარდა ამისა, გამოიკვეთა რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფებისთვის ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობა.

### **რეკომენდაცია:**

- ▶ რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, შეიმუშავოს შესაბამისი ზომები **გრიფირებისადმი დაქვემდებარებული სასკოლო სახელმძღვანელოების გენდერული თანასწორობის ქრილში სისტემატური და სავალდებულო რეცენზირებისთვის;**
- ▶ რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, **სასწავლო სახელმძღვანელოების ავტორ-შემდგენლებისა და რეცენზენტებისთვის, კვალიფიციური ექსპერტების ჩართულობით, შეიმუშაოს სპეციალიზებული ტრენინგ-კურსი გენდერული თანასწორობისა და გოგონათა და ქალთა უფლებების შესახებ.** რეკომენდებულია, აღნიშნული კურსის გავლა განისაზღვროს **აუცილებელ კრიტერიუმად** სასწავლო სახელმძღვანელოს შედგენისა და რეცენზირების პროცესში მონაწილეობისთვის;
- ▶ რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მასწავლებელთა პროფესიულ მოთხოვნებს დაამატოს **მოთხოვნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მასწავლებელთა სავალდებულო ტრენინგის შესახებ.** სამინისტრომ, ასევე, უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ტრენინგისთვის, საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, **შესაბამისი მოდულის შემუშავება.**

## **9. ასაკის შესაბამისი სწავლება რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ**

ზოგადსაგანმათლებლო სისტემაში გამოწვევას წარმოადგენს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ კომპლექსური განათლების ინტეგრირება ფორმალური განათლების სისტემაში. სახალხო დამცველის შეფასებით, განათლების აღნიშნული კომპონენტი მხოლოდ ზედაპირულად არის სასკოლო განათლების ნაწილი და ის ვერ უზრუნველყოფს მოზარდების სათანადო ინფორმირებას გენდერული უთანასწორობების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, უსაფრთხო სექსუალური ურთიერთობების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.<sup>177</sup>

აღსანიშნავია, რომ რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სათანადო განათლების ნაკლებობა აფერხებს გოგონებს, თავი დაიცვან ადრეულ ასაკში ქორწინებისა თუ ადრეულ ასაკში ორსულობისაგან, ასევე, ართულებს მათ მიერ სექსუალური თუ სხვა სახის ძალადობის ამოცნობას.

მეოთხე და მეხუთე პერიოდული ანგარიშების დასკვნით შენიშვნებში, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი ხაზს უსვამს საქართველოში სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე ასაკის შესაბამისი განათლების არარსებობას და მოუწოდებს სახელმწიფოს, „სწავლების ყველა დონეზე შემოიღოს ასაკის

<sup>177</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020

შესაბამისი განათლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ“. კომიტეტის 36-ე რეკომენდაცია განათლებაში გოგონათა და ქალთა უფლებების შესახებ, ასევე, ხაზს უსვამს ასაკის შესაბამისი განათლების აუცილებლობის სექსუალურ და რეპროდუქციულ საკითხებში. გარდა ამისა, მდგრადი განვითარების 3.7 მიზანი ითვალისწინებს უნივერსალურ ხელმისაწვდომობას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების შესახებ ინფორმაციასა და განათლებაზე.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის თემაზე მოზარდთა განათლების გაძლიერებას ითვალისწინებდა ადამიანის უფლებათა 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმაც, კერძოდ – მისი ამოცანა 12.11.2, თუმცა შეფასების ანგარიშის თანახმად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამ მიმართულებით მოზარდთა განათლებად ასახელებს მხოლოდ რეპროდუქციულ ორგანოთა სისტემების აგებულებისა და ფუნქციების შესახებ ცოდნას.

**რეკომენდაცია:**

- ▶ რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, სასწავლო პროგრამაში გააფართოოს, კომპლექსურად დაფაროს და **სასწავლო პროგრამის სავალდებულო ნაწილად აქციოს ასაკთან შესაბამისი სწავლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ**, მათ შორის პასუხისმგებლობიანი სექსუალური ქცევის, ადრეული ორსულობის პრევენციისა და სქესობრივად გადამდები ინფექციების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით. ამ ეტაპზე აღნიშნული საკითხი ინტეგრირებულია მხოლოდ მეცხრე კლასის საგნობრივ სტანდარტში. ასევე, რეკომენდებულია აღნიშნული პროგრამის ინტეგრირება **სახელმწიფო ახალგაზრდული ბანაკების პროგრამებში**;
- ▶ რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს მასწავლებლის პორფესიული განვითარების სქემასა და მასწავლებელთა საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გამოცდებში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების სათანადოდ ინტეგრირება;
- ▶ რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის შიგნით სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხის მიმართ სოციალური ნორმის ცვლილებაზე ორიენტირებული მიდგომები და სტრატეგია, მათ შორის – სკოლების დირექტორთა, მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა, ასევე სკოლის ექიმებისა და სოციალური მუშაკების ჩართულობით.

**3. გოგონათა სასკოლო დასწრება და ადრეული ქორწინების გამო სწავლის შეწყვეტა**

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ადრეულ ასაკში ბავშვთა ქორწინების პრაქტიკა, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით ქორწინება დაიშვება მხოლოდ 18 წლის

ასაკიდან. საქართველოს მასშტაბით, 2020 წელს გამოვლინდა ადრეულ ასაკში ქორწინების 131 შემთხვევა და ქორწინების გამო სკოლის მიტოვების 20 შემთხვევა.<sup>178</sup>

გამოწვევას წარმოადგენს როგორც პრობლემის პრევენცია, ასევე მისი მართვა. გარდა ამისა, პრობლემურია შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სოციალურ სამსახურს შორის კოორდინაცია და რეფერირების მექანიზმის გამართული მუშაობა.

განსაკუთრებით პრობლემურია ადრეული ქორწინების საკითხი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი გოგონების შემთხვევაში და აღნიშნულ პრობლემაზე სათანადო რეაგირება. მასწავლებლებსა და ადგილობრივ საზოგადოებას ადრეული ქორწინების უარყოფით ასპექტებზე არ აქვს შესაბამისი ცოდნა. მეტიც, ხშირად ისინი თვითონაც არიან ჩართულნი ერთგვარი გარიგების პროცესში.<sup>179</sup>

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის #31 რეკომენდაცია<sup>180</sup> ადრეულ ქორწინებას ერთ-ერთ საზიანო პრაქტიკად მიიჩნევს და სახელმწიფოებს მისი აღმოფხვრისკენ მოუწოდებს. აღნიშნული კომიტეტი კონკრეტულად საქართველოზე გაკეთებულ შეფასებაში, კერძოდ მეოთხე და მეხუთე პერიოდული ანგარიშების დასკვნით შენიშვნებში, სახელმწიფოს მოუწოდებს ზომების მიღებისკენ ადრეული ქორწინების პრევენციისა და აღმოფხვრისთვის. იმავეს ითვალისწინებს მდგარდი განვითარების მე-5.3 ამოცანა.

#### რეკომენდაცია:

- ▶ რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთათვის, მათ შორის, მანდატურის სამსახურისთვის (რომელიც, კანონმდებლობის თანახმად, უშუალოდ არის რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტი) აწარმოოს **აქტიური საინფორმაციო კამპანია ადრეული ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით**. ამასთან რეკომენდებულია, შეიქმნას **შეფასების დოკუმენტი** განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთათვის ადრეული ქორწინების საკითხებზე საქართველოს კანონმდებლობების და მათი ვალდებულებების შესახებ ინფორმირებულობის შესაფასებლად;
- ▶ რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აწარმოოს **ცნობიერების ამაღლების კამპანია** ადრეული ქორწინების შესახებ, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც მაღალია ადრეული ქორწინების შემთხვევათა რაოდენობა;
- ▶ რეკომენდებულია, საქართველოს მთავრობამ #437 დადგენილებაში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე (კერძოდ დადგენილების (მე-5 მუხლის მე-10 პუნქტში), საგანმანათლებლო დაწესებულებების უფლებამოსილება შეცვალოს **საგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულებით**, შეატყობინონ

<sup>178</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020.

<sup>179</sup> გაეროს მოსახლეობის ფონდი, „ბავშვთა ქორწინება საქართველოში“, გვ. 5.

<sup>180</sup> იხ: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N14/627/78/PDF/N1462778.pdf?OpenElement>

- შესაბამის უწყებებს ბავშვზე ძალადობის ფაქტის შესახებ, მათ შორის, ადრეული ქორწინების ფაქტის შესახებაც;
- ▶ რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, რეფერირების პროცედურებში ჩართულ სხვა სუბიექტებთან **გააძლიეროს კოორდინაცია**, ასევე, განათლების სისტემის მხრიდან, რეფერირების პროცედურებში ჩართულ პირთათვის შეიმუშაოს **ადრეული ქორწინების შემთხვევებზე რეაგირებისა და მასთან დაკავშირებული კოორდინაციის სახელმძღვანელო ინსტრუქციები** ქმედითი და ეფექტიანი რეაგირებისა და კოორდინაციისთვის;
  - ▶ რეკომენდირებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშაოს და რეგულარულად განახორციელოს ქორწინებაში მყოფ არასრულწლოვანთა სასწავლო პროცესში ხელახლა ჩართვისა და სკოლაში დაბრუნებისკენ მიმართული ღონისძიებები, ასევე აღნიშნული პროცესების მონიტორინგი;
  - ▶ რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, **ზედამხედველობა გაუწიოს** განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყველა ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციის იმპლემენტაციას.

## 8. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული სირთულეები განათლების სფეროში

მიჩნეულია, რომ მსოფლიოს უახლეს ისტორიაში განათლების სისტემას ყველაზე მასშტაბური ზიანი კოვიდ-19-ის პანდემიამ მიაყენა, რაც მსოფლიოს 190 ქვეყანაში 1.6 მილიარდ მოსწავლესა თუ სტუდენტს შეეხო.<sup>181</sup> საქართველოში პანდემიამ კიდევ უფრო გააღრმავა განათლების სისტემაში არსებული პრობლემები, როგორებიცაა განათლებაზე ხელმისაწვდომობა, საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გაუმართაობა, მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სრულყოფილი ჩართულობის პრობლემები საგანმანათლებლო პროცესში.

სახალხო დამცველის შეფასებით,<sup>182</sup> დისტანციურ საგაკვეთილო პროცესში სრულყოფილად ჩართვას ვერ ახერხებდნენ ის ბავშვები, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებოდათ ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე. საქართველოში სასკოლო ასაკის ბავშვების 15%-ს არ აქვს სახლში ინტერნეტზე წვდომა, საქსტატის მონაცემებით, კომპიუტერით უზრუნველყოფილია შინამეურნეობების მხოლოდ 61.8%. შესაბამისად, დისტანციური სწავლების რეჟიმზე ხანგრძლივად გადასვლამ, ოჯახებისთვის სათანადო ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გარეშე, რისკის ქვეშ დააყენა ბავშვების ნაწილის განათლების საკითხი,

<sup>181</sup> United Nations, Policy Brief, Education during Covid-19 and byin, 2020

<sup>182</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020

განსაკუთრებით რეგიონებში და მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახების შემთხვევაში.

გარდა ამისა, პანდემიის პერიოდში, სწავლების მთლიანად ონლაინ რეჟიმზე გადასვლის პირობებში, გამწვავდა კიბერ ბულინგის საფრთხეები

სწავლების ონლაინ რეჟიმზე გადასვლა არც მასწავლებლებისთვის ყოფილა იოლი, მატერიალურ-ტექნიკური საკითხების თუ შესაბამისი უნარების ქონის თვალსაზრისით.

#### **რეკომენდაცია:**

- ▶ რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ, შეიმუშაოს **სამოქმედო გეგმა**, შესაბამისი ფინანსური რესურსების უზრუნველყოფით, **პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით**. გეგმის ფარგლებში შემუშავებული ღონისძიებები უნდა იყოს მიმართული ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური საკითხების გაუმჯობესებისკენ, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის (კერძოდ ინტერნეტზე წვდომა, კომპიუტერის ქონა, შესაბამისი უნარების გაძლიერება);
- ▶ რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიასა და შესაბამის სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს **კიბერ ბულინგისა და ონლაინ შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის კონკრეტული მიზნები, ამოცანები და ღონისძიებები**. ასევე, აღნიშნულ საკითხზე უზრუნველყოს **პროფესორ-მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება**;
- ▶ რეკომენდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშაოს **საგანმანათლებლო დაწესებულებების უსაფრთხოდ გახსნის სამოქმედო გეგმა**.

## VIII. გენდერული თანასწორობა სპორტის სფეროში

სპორტისა და ფიზიკური აქტივობის ხელმისაწვდომობა საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტებით გარანტირებულ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს. ასევე, აღიარებულია სპორტის როლი მდგრადი განვითარების დღის წესრიგის (ათი მიზნისა და ოცზე მეტი ამოცანის) მიღწევაში.<sup>183</sup> გაეროს გენერალური ასამბლეა თავის რეზოლუციებში აღიარებს სპორტს, როგორც განათლების, ჯანდაცვის, განვითარებისა და მშვიდობის დამყარების საშუალებას.<sup>184</sup>

ფიზიკურ აღზრდას, ფიზიკურ აქტივობას და სპორტს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად ასევე აღიარებს *ფიზიკური აღზრდის, ფიზიკური აქტივობისა და სპორტის საერთაშორისო ქარტია* და აცხადებს, რომ ყველასთვის, მათ შორის, გოგონებისა და ქალებისთვის, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჩართულობის თანაბარი შესაძლებლობები.<sup>185</sup> **ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია** (1979) (კერძოდ მისი მე-10 და მე-13 მუხლები) ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ქალებისა და კაცებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ვალდებულებას აწესებს.<sup>186</sup> გარდა ამისა, *ჰეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა* ხაზგასმით აღნიშნავს სპორტის როლს გენდერული თანასწორობის მიღწევისა და გენდერული დისკრიმინაციის დაძლევაში და ყურადღებას ამახვილებს სპორტის მნიშვნელობაზე ქალთა ჯანმრთელობის<sup>187</sup>, ასევე,

<sup>183</sup> ეს მიზნებია: 3, 4, 5, 7, 8, 10, 11, 12, 13, 16. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მდგრადი განვითარების მე-3 მიზნის („ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის“) ამოცანა 3.დ: „ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ეროვნული და გლობალური რისკების ადრეული გაფრთხილების, რისკების შემცირების და მათი მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“. ასევე, მე-8 მიზნის („სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის“) ამოცანა 8.9: „2030 წლისთვის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება მდგრადი ტურიზმის მხარდასაჭერად – რომლის შედეგად იქმნება სამუშაო ადგილები და ხდება ადგილობრივი კულტურისა და პროდუქტების პოპულარიზაცია“.

<sup>184</sup> UN General Assembly Resolutions 58/5 of 3 of November 2003, 59/10 of 27 October 2004; 60/1 of 16 September 2005; 61/10 of 3 November 2006; 62/271 of 23 November 2008 and 65/4 of 23 November 2010.

<sup>185</sup> ფიზიკური აღზრდის, ფიზიკური აქტივობისა და სპორტის საერთაშორისო ქარტია მიღებულია 1978 წელს და განახლებულია 2015 წელს. <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000235409>

<sup>186</sup> ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ აღმოფხვრან ქალთა მიმართ დისკრიმინაცია, რათა მათთვის უზრუნველყონ მამაკაცებთან თანაბარი უფლება განათლების სფეროში, კერძოდ, სპორტულ მეცადინეობებსა და ფიზიკურ მომზადებაში აქტიური მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობები (მუხლი 10. ზ). გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად დასვენებასა და სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში და უზრუნველყონ კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში თანაბარი მონაწილეობის უფლება (მუხლი 13. ც).

<sup>187</sup> ჰეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის სტრატეგიული მიზანი C.2. (f)



განათლების, უნარების გაძლიერებისა და პროფესიულ თუ რეკრეაციულ სპორტში თანასწორი ჩართულობის თვალსაზრისით.<sup>188</sup>

საქართველოს ეროვნულ ნორმატიულ ჩარჩოში ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა, გენდერული თანასწორობის გაძლიერების კონტექსტში, სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასაც ითვალისწინებს (მიზანი 12.18), რაც მოიცავს გენდერული ასპექტების გათვალისწინებას სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ფორმირებისას და სპორტში, ყველა მიმართულებით გოგონებისა და ქალების თანაბარი ჩართულობის ხელშესაწყობად. თუმცა, აღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის<sup>189</sup> თანახმად, ამ მიმართულებით არცერთი კონკრეტული ნაბიჯი ჯერჯერობით არ გადადგმულა.

სპორტსა და ფიზიკურ აღზრდაში გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით საქართველოში არაერთი გამოწვევა არსებობს.<sup>190</sup> მოსახლეობაში დაბალია ფიზიკური აქტივობის მაჩვენებლები, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე. გამოწვევებია სასკოლო სპორტისა და ფიზიკური აღზრდის თვალსაზრისით, რაც, ერთი მხრივ, უკავშირდება არასაკმარის და არასათანადო სპორტულ ინფრასტრუქტურას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მეორე მხრივ კი, სპორტის სპეციალისტის კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელთა სიმცირეს და აღნიშნულ მასწავლებელთა შორის გენდერულ დისბალანსს. საუნივერსიტეტო სპორტში დაბალია სტუდენტთა, განსაკუთრებით გოგონათა ჩართულობა. არაერთი გენდერული გამოწვევაა მაღალი მიღწევების სპორტშიც – სახეზეა გენდერული დისბალანსი პროფესიონალ სპორტსმენებს, ასევე მწვრთნელებსა და მსაჯებს შორის. გენდერული დისბალანსია სპორტულ ორგანიზაციებში როგორც გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე, ასევე დასაქმებულ თანამშრომელთა შორის. სპორტის სფეროში გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების უდიდესი წილი მიემართება კაცებით დომინირებული სპორტის სახეობების დაფინანსებაზე. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში ქალები და კაცები არ არიან თანაბრად ჩართულნი. გარდა ამისა, სპორტში იშვიათი არ არის გენდერულად სტერეოტიპული მედიაგაშუქება. ასევე ვლინდება გენდერული დისბალანსი სპორტულ ჟურნალისტებს შორის.

## **ა. ნორმატიული ჩარჩოსა და პოლიტიკის არარსებობა სპორტში გენდერული თანასწორობის შესახებ**

ქვეყნის ნორმატიული ჩარჩო არ მოიცავს სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის გაძლიერებისკენ მიმართულ დებულებებს. გენდერული ასპექტები არ არის გათვალისწინებული სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და გადაწყვეტილებების მიღებისას.

<sup>188</sup> პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის სტრატეგიული მიზნები: B.4 (m); L.4. (d) (h)

<sup>189</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში, 2020 <http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/5726HRAPAnnualReport-2019.pdf>

<sup>190</sup> სიტუაციის შეფასება ეყრდნობა საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტისა და საბიუჯეტო ოფისის მიერ 2020 წელს განხორციელებულ „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გენდერული ზეგავლენის ანალიზს.

გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონი<sup>191</sup> აყალიბებს სახელმწიფოს ვალდებულებებს სხვადასხვა სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის შესახებ. ასეთი სფეროებს შორისაა განათლებისა და მეცნიერების სფეროები, თუმცა კანონი არ მოიცავს დებულებას სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის შესახებ. ასეთ დებულებებს, ასევე არ მოიცავს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ საქართველოს კანონი.<sup>192</sup>

ზოგადად, გამოწვევას წარმოადგენს სპორტში გენდერული ნიშნით ძალადობა. ევროსაბჭოს მონაცემებით<sup>193</sup>, გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევები არაერთხელ გამოვლენილა პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მწვრთნელებსა და სპორტსმენებს შორის, ასევე სპორტის სხვა პერსონალის (მენეჯერები, ექიმები და ა.შ) მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამ მხრივ სიტუაციის შესაფასებლად საკმარისი მონაცემები არ მოგვეპოვება, მნიშვნელოვანია სპორტის შესახებ ნორმატიულ ჩარჩოში სპორტში გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ მიმართული დებულებების არსებობა, როგორც ძალადობის პრევენციის, ისე ძალადობასთან ბრძოლის თვალსაზრისით. ევროსაბჭოს 2015 წლის რეკომენდაციის<sup>194</sup> თანახმად, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს სპორტში გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი პრევენციის პოლიტიკა.

### რეკომენდაციები:

- ▶ გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლს დაემატოს ჩანაწერი სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სახელმწიფო გარანტიების შესახებ, მათ შორის განათლების, პროფესიული და რეკრეაციული სპორტის კონტექსტში;
- ▶ რეკომენდებულია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ საქართველოს კანონში შევიდეს ცვლილებები გენდერულ გამოწვევებზე საპასუხოდ. რეკომენდებულია, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლს, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს ეხება სპორტის სფეროში, დაემატოს გენდერული თანასწორობის დაცვის პრინციპი. გარდა ამისა, რეკომენდებულია, აღნიშნულ კანონში გაჩნდეს ვალდებულება სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმებში გენდერული ასპექტების ინტეგრირების შესახებ;
- ▶ სპორტის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი ეხება სპორტის დაფინანსებას, თუმცა კანონში არაფერია ნათქვამი სპორტის დაფინანსების გენდერულ ასპექტებზე. შესაბამისად, რეკომენდებულია, სპორტის დაფინანსების შესახებ მუხლს დაემატოს დებულება გენდერული ბიუჯეტირების<sup>195</sup> შესახებ;

<sup>191</sup> საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=9#!>

<sup>192</sup> საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი სპორტის შესახებ, 1996: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31552?publication=18>

<sup>193</sup> CoE, Gender Based Violence in Sport: <https://rm.coe.int/bis-factsheet-gender-equality-sport-violence-en/1680714c0c>

<sup>194</sup> CM/REC(2015)2 [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805c4721](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805c4721)

<sup>195</sup> გენდერული ბიუჯეტირება გულისხმობს გენდერული თანასწორობის ასპექტების ჩართვას ქვეყნის საბიუჯეტო პროცესში და საბიუჯეტო რესურსების ისეთ გადანაწილებას, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას ყველა სფეროსა თუ სექტორში. აღსანიშნავია, რომ გენდერული ბიუჯეტირება არ გულისხმობს ქალთა და მამაკაცთათვის განსხვავებული ბიუჯეტის შედგენას ან ბენეფიციართა დაყოფას გენდერულ ჭრილში, არამედ იგი წარმოადგენს გენდერულ ორიენტირებული საბიუჯეტო პროცესის ფორმირებას, რაც გულისხმობს საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების შესაბამისობას გენდერული თანასწორობის მიმართულებით განსაზღვრულ პოლიტიკასთან. მისი კომპლექსური

- ▶ გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სპორტის პოლიტიკის გენდერული ხედვა. შესაბამისად, რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტმა,<sup>196</sup> შეიმუშაოს სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის კონცეფცია, საერთაშორისო სამართლებრივ მოთხოვნებთან, ქვეყნის მიერ აღებულ ვალდებულებებსა და სფეროში დამკვიდრებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში. კერძოდ, აღნიშნული სტრატეგია, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს ზომებს, რომლებიც მიმართული იქნება: (i) სპორტულ აქტივობებში გოგონათა და ქალთა მონაწილეობის გაზრდისკენ (სკოლამდელი, სასკოლო, საუნივერსიტეტო, პროფესიული, რეკრეაციული სპორტი); (ii) სპორტის მასწავლებლებსა და მწვრთნელებში გენდერული თანასწორობის მიღწევისკენ; (iii) სპორტში და ასევე სპორტის საშუალებით გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრისკენ; (iv) გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის გენდერული ბალანსის მიღწევისა და მათი შესაძლებლობების გაძლიერებისკენ გენდერული თანასწორობის საკითხებზე; (v) გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრისკენ სპორტსა (სკოლამდელი, სასკოლო, საუნივერსიტეტო, პროფესიული, რეკრეაციული სპორტი) და სპორტულ მედიაში; (vi) სპორტის დაფინანსების მექანიზმებში გენდერული პერსპექტივის გათვალისწინებისკენ;
- ▶ მნიშვნელოვანია, სპორტის პოლიტიკის სახელმწიფო დოკუმენტებში რეგულარულად მოხდეს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება, მათი შესრულების მონიტორინგი და გენდერული გავლენის გაზომვა. არც სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში, რომელიც 2014-2020 წლებს მოიცავდა, არც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამოქმედო გეგმებში<sup>197</sup> გენდერული პერსპექტივა ინტეგრირებული არ ყოფილა. შესაბამისად, რეკომენდებულია, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ, გამოვლენილ გენდერულ გამოწვევებზე საპასუხოდ, სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის მომდევნო დოკუმენტში, რომელმაც 2021 წლიდან პერიოდი უნდა მოიცვას, ასევე, მომდევნო სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს გენდერული თანასწორობის მიზნები და ამოცანები, შესაბამისი აქტივობებით, შეფასების ინდიკატორებით, პასუხისმგებელი პირებითა და სათანადო ბიუჯეტირებით. რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, მოახდინოს აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების კონტროლი;
- ▶ რეკომენდებულია, სპორტის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლს საქართველოს მოქალაქეთა უფლებების სახელმწიფო გარანტიების შესახებ,

ბუნებიდან გამომდინარე გენდერული ბიუჯეტირების უნივერსალური მიდგომა არ არსებობს და გამოყენებული მიდგომა და ინსტიტუციური ჩარჩო, როგორც წესი, ეყრდნობა ქვეყნის სპეციფიკურ მახასიათებლებს. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. <http://pbo.parliament.ge/ge/rs/rpapers/item/393-2018-04-17-09-38-15>

<sup>196</sup> სპორტის შესახებ საქართველოს კანონის 4 (1) მუხლი: „სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და პრიორიტეტებს განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი.“

<sup>197</sup> საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2015-2018 წლების და 2016-2019 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები: [http://msy.gov.ge/index.php?sec\\_id=1682&lang\\_id=GEO](http://msy.gov.ge/index.php?sec_id=1682&lang_id=GEO)  
 2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა. [http://msy.gov.ge/files/111/Sajaro%20Informacia/01-721\\_\(2\).pdf](http://msy.gov.ge/files/111/Sajaro%20Informacia/01-721_(2).pdf)

დაემატოს სპორტში გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი პრევენციის გარანტია, რომლის საფუძველზე უნდა შემუშავდეს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა, ასევე სპორტული ორგანიზაციების შიდა მექანიზმები.

## **ბ. სპორტის სფეროში გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და დამუშავება**

გენდერული სტატისტიკის წარმოება აუცილებელი წინაპირობაა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისთვის. გოგონებისა და ბიჭების, ქალებისა და კაცების განსხვავებულ საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკა ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფის საშუალებას იძლევა. მხოლოდ გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკა იძლევა შესაძლებლობას, სათანადოდ შეფასდეს ამა თუ იმ პოლიტიკის გავლენა სხვადასხვა ჯგუფებზე, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი გენდერული ინდიკატორების საშუალებით.<sup>198</sup>

ევროსაბჭოს მიერ 2016 წელს შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად,<sup>199</sup> სპორტში გენდერული სტატისტიკის წარმოება უნდა მოხდეს შემდეგი ხუთი სტრატეგიული მიმართულებით:

- ▶ გადაწყვეტილების მიღება და მართვა;
- ▶ სპორტში ჩართულობა და მონაწილეობა;
- ▶ გენდერული ბალანსი მწვრთნელებსა და სპორტის მასწავლებლებს შორის;
- ▶ გენდერული ნიშნით ძალადობა სპორტში;
- ▶ გენდერული სტერეოტიპები სპორტსა და სპორტულ მედიაში.

ევროსაბჭოს თანახმად, აღნიშნული მიმართულებებით გენდერული სტატისტიკის დამუშავება და შესაბამის მტკიცებულებებსა და გამოწვევებზე დაფუძნებული სპორტის პოლიტიკის შემუშავება ხუთ ძირითად მიზანს უნდა ემსახურებოდეს, ესენია:

- ▶ სპორტში ქალთა ჩართულობის გაზრდა;
- ▶ გენდერული ბალანსი და გენდერული მგრძნობელობა გადაწყვეტილების მიღების დონეზე;
- ▶ სპორტსა და ფიზიკურ აღზრდაში ჩართულ მწვრთნელებსა და მასწავლებლებს შორის გენდერული ბალანსი;
- ▶ გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრა სპორტში და სპორტის საშუალებით;
- ▶ გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრა სპორტში და სპორტულ მედიაში.

საქართველოს ნორმატიული ჩარჩო (*გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი, კანონი სპორტის შესახებ, სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი, სამოქმედო გეგმები*) არ

<sup>198</sup> რაოდენობრივი გენდერული ინდიკატორები ეფუძნება გენდერულად სეგრეგირებულ სტატისტიკას და ეხება გარკვეულ აქტივობაში ჩართული კონკრეტული სქესის ადამიანების რაოდენობას ან პროცენტულ მაჩვენებელს. მაგალითად, სკოლის სპორტულ გუნდებში გოგონების რაოდენობა ბიჭების რაოდენობასთან შედარებით; სპორტის სფეროში გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების წევრი ქალების პროცენტული მაჩვენებელი და ა.შ. თვისებრივი გენდერული ინდიკატორები განსაზღვრავს კონკრეტული სქესის ადამიანების ჩართულობის ან მათ მიერ მიღებული მომსახურების ხარისხს. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი ეფუძნება სქესის მიხედვით გამოცდილებების, დამოკიდებულებების, აზრების, შეგრძნებების შეფასებას. მაგალითად, სკოლის მოსწავლე ბიჭებისა და გოგონების აზრი სპორტში ჩაბმასთან დაკავშირებით; გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების წევრი ქალების აქტიურობის მაჩვენებელი, და ა.შ.

<sup>199</sup> Balance in Sport, tools to implement gender equality, BIS (2016) 7 [shorturl.at/jmngd](http://shorturl.at/jmngd)

ითვალისწინებს სპორტის სფეროში გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების დამუშავების და ანალიზის ვალდებულებას. სპორტში გამოვლენილ არაერთ გენდერულ გამოწვევაზე სათანადო პასუხი, კანონმდებლობის თუ პოლიტიკის დოკუმენტების ფარგლებში, მხოლოდ გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების სათანადო ანალიზითაა შესაძლებელი.

### **რეკომენდაცია:**

- ▶ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების მიზნით, რეკომენდებულია, **სპორტის შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებდეს სპორტის სფეროში გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების წარმოებისა და დამუშავების ვალდებულებას**, როგორც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისთვის, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისთვის, შესაბამისი კომპეტენციების ფარგლებში;
- ▶ რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საპარლამენტო კომიტეტთან კოორდინაციით, შეიმუშაოს **სპორტის სფეროში საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი გენდერული სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია და გენდერული ინდიკატორები**;
- ▶ რეკომენდებულია, სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის მომდევნო დოკუმენტში და შესაბამის სამოქმედო გეგმაში გაწერილი იყოს სპორტში გენდერული სტატისტიკის წარმოებისა და დამუშავების კონკრეტული მიზნები და ამოცანები, შესაბამისი ინდიკატორებით. ასევე რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, გააკეთოს აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შეფასება ასევე – ჩაატაროს სპორტში გენდერული სტატისტიკის წარმოების მონიტორინგი.

## **გ. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული დაგაბებითი სირთულეები და მათი დაძლევის გზები სპორტის სფეროში**

კოვიდ-19-ის პანდემიამ განსაკუთრებული გავლენა ქალებსა და გოგონებზე მოახდინა. ამ მხრივ გამონაკლისი არც სპორტის სფერო იყო. საქართველოში კოვიდ-19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება<sup>200</sup> არ მოიცავს სპორტის საკითხებს, არც სხვა კვლევა განხორციელებულა აღნიშნულ სფეროში კოვიდ-19-ის გენდერული გავლენის დასადგენად, შესაბამისად, სპორტში პანდემიის პერიოდში ადგილობრივი გენდერული გამოწვევების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია არ მოგვეპოვება, თუმცა ზოგადი დაკვირვება<sup>201</sup> აჩვენებს, რომ კოვიდ-19-ის პანდემიამ, სპორტის სფეროში უკვე არსებული უთანასწორობების ფონზე, კიდევ უფრო არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა გოგონები და ქალები.

<sup>200</sup> იხ: <https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2020/08/rapid-gender-assessment-of-the-covid-19-situation-in-georgia>

<sup>201</sup> UN Women, Covid-19, Women, Girls and Sport: Build Back Better. [shorturl.at/cmBR3](https://shorturl.at/cmBR3)

**გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა დაბალმა ჩართულობამ** აჩვენა პანდემიით გამოწვეული კრიზისის მართვისას გოგონებისა და ქალების საქროებებზე მორგებული ზომების ნაკლებობა სპორტის სფეროში. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხაზგასმით აღნიშნავს<sup>202</sup>, რომ როდესაც ქალები არ არიან ჩართულნი კრიზისის მართვაში, პოლიტიკა ნაკლებად ეფექტიანია და შესაძლოა ის ზიანის მომტანიც იყოს.

გარდა ამისა, პანდემიით გამოწვეულ, დისტანციის და სპორტული აქტივობების შეზღუდვისკენ მიმართულ ზომებს შესაძლოა, უარყოფითი გავლენა **მოხდინა გენდერული ნიშნით ძალადობის** მაჩვენებლებზე. მიჩნეულია, რომ ბევრი ქალისა და გოგონასთვის სპორტი ერთგვარი ემანსიპაციის საშუალებაა და თანაგუნდელები თუ მწვრთნელები ხშირად მათი ერთადერთი მხარდამჭერები არიან ძალადობისგან თავის დასაღწევად.

კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეულმა შედეგებმა შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს **სპორტის სფეროში დასაქმებულ ქალთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე**. არსებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში სპორტულმა კლუბებმა და ორგანიზაციებმა შესაძლოა, პრიორიტეტი მიანიჭონ მამაკაცების სპორტს, უფრო მაღალი შემოსავლიანობის არგუმენტით, რამაც ქალი სპორტსმენი შეიძლება, კიდევ უფრო არახელსაყრელ პირობებში ჩააყენოს. სპორტის სფეროში დასაქმებული სხვადასხვა პროფესიის ქალები ეკონომიკური კრიზისის გამო შეიძლება, კაცებზე მეტად აღმოჩნდნენ სამუშაო საათების შემცირებისა თუ სამსახურიდან გათავისუფლების საფრთხის წინაშე.

**რეკომენდაცია:**

▶ რეკომენდებულია, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ შეისწავლოს კოვიდ-19-ის პანდემიის გენდერული გავლენა სპორტის სფეროზე და გამოვლენილ გამოწვევებზე საპასუხოდ შეიმუშაოს მტიცებულებებზე დაფუძნებული ზომები პანდემიის შედეგად გამოწვეული ზიანის შესარბილებლად. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ უნდა უზრუნველყონ სპორტის სფეროსთვის განკუთვნილი ეკონომიკური სტიმულირების ზომების თანასწორად გადანაწილება ქალებსა და კაცებზე. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, შედამხედველობა გაუწიოს აღნიშნული გენდერული გავლენის კვლევას და საპასუხო ზომების შემუშავებასა და აღსრულებას.

<sup>202</sup> United Nations, Policy Brief: The Impact of Covid-19 on Women, 2020. [shorturl.at/gkxW4](https://shorturl.at/gkxW4)

## IX. გენდერული თანასწორობა კულტურის სფეროში

ბოლო ათწლეულების განმავლობაში სულ უფრო და უფრო აღიარებულია კულტურის როლი მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში<sup>203</sup>, მდგრადი განვითარება კი, თავის მხრივ, ვერ მიიღწევა გენდერული თანასწორობის გარეშე. კულტურაზე ხელმისაწვდომობა და კულტურის სფეროში მონაწილეობა ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს, რომელიც თანაბრად უნდა იყოს ყველასთვის გარანტირებული. გარდა ამისა, კულტურა და კულტურული მრავალფეროვნება საზოგადოების განვითარების აუცილებელი პირობაა, ვინაიდან მას რეალური გარდამტეხი ძალა გააჩნია და შეუძლია, ხელი შეუწყოს ტრანსფორმაციულ ცვლილებებს საზოგადოებაში, მათ შორის, დისკრიმინაციული სტერეოტიპების აღმოფხვრის და ადამიანის უფლებების და თავისუფლებების განმტკიცების კუთხით.

კულტურის სფეროს განვითარებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს *იუნესკოს 2005 წლის კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნებისა და დაცვის შესახებ*,<sup>204</sup> რომელსაც საქართველო 2008 წელს შეუერთდა. კონვენცია ხაზგასმით აღნიშნავს: (i) კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხორციელებაში; (ii) კულტურის მნიშვნელობას საზოგადოებაში ქალთა როლის ამაღლებისთვის; (iii) ასევე, აუცილებლად მიიჩნევს კულტურის, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული ელემენტის ინტეგრაციას განვითარების ეროვნულ და საერთაშორისო პოლიტიკაში. კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს „თავიანთ ტერიტორიაზე შექმნან ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს, შექმნან, აწარმოონ, გაავრცელონ, გაანაწილონ და თავისთვის ხელმისაწვდომი გახადონ კულტურული თვითგამოხატვის საკუთარი ფორმები, ამასთან, სათანადო ყურადღება დაუთმონ ქალების, ასევე, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების განსაკუთრებულ პირობებსა და მოთხოვნილებებს.“<sup>205</sup>

<sup>203</sup> გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენციის (რიო +20) დოკუმენტი, პუნქტი 41. <https://sustainabledevelopment.un.org/index.php?menu=1298>

<sup>204</sup> კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ, 2008: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1205118?publication=0>

<sup>205</sup> კონვენციის მე-7 მუხლი

უნესკოს 2013 წლის *ჰანჯოუს დეკლარაცია – კულტურა მდგრადი განვითარების პოლიტიკის ეპიცენტრში*,<sup>206</sup> ხაზს უსვამს კულტურის როლს მშვიდობისა და შერიგების, სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური განვითარების, გარემოს დაცვისა და ურბანული განვითარების საკითხებში და ასევე აღნიშნავს, რომ კულტურას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინკლუზიური სოციალური განვითარებისთვის, გენდერული უთანასწორობისა და გენდერული დისკრიმინაციის დაძლევისთვის.

გაეროს გენერალური ასამბლეის 2013 წლის რეზოლუცია 68/223<sup>207</sup> მოუწოდებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ: ქალებისა და კაცებისთვის კულტურის თანაბარი ხელმისაწვდომობა; ასევე, კულტურის სფეროში, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების დონეზე, თანაბარი ჩართულობა; კულტურის პოლიტიკაში გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება; ასევე, კულტურის მეშვეობით გენდერული თანასწორობის განმტკიცება და გოგონათა და ქალთა გაძლიერება.

უნესკოს შეფასებებითა და დაკვირვებით<sup>208</sup>, კულტურის სფეროში არაერთი გენდერული გამოწვევა არსებობს, მათ შორის: გენდერული დისბალანსი გადაწყვეტილების მიღების დონეზე; ქალთა ხელმისაწვდომობის პრობლემა დაფინანსების მექანიზმებზე; ხელოვანი ქალების მარგინალიზაციის საკითხი; კულტურის ინდუსტრიაში ქალთა თანასწორი ჩართულობა და მათი ეკონომიკური გაძლიერება. საქართველოში კულტურასა და შემოქმედებით ინდუსტრიაში გენდერული ბარიერების გამოსავლენად გენდერულად სეგრეგრირებული მონაცემები არ შეგროვებულა და შესაბამისი კვლევა არ განხორციელებულა, რის გამოც კულტურის სფეროში გენდერულ ბარიერებზე დაზუსტებით საუბარი რთულია. ასეთი კვლევის განხორციელების ვალდებულებას ითვალისწინებდა *ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა*<sup>209</sup>, კერძოდ მისი მიზანი 12.17 *კულტურის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის შესახებ*. 12.17.1.1 საქმიანობის თანახმად, გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით უნდა განხორციელებულიყო კვლევა კულტურის სფეროში გენდერული ბარიერების გამოსავლენად, თუმცა აღნიშნული გეგმის შესრულების ბოლო წლიური ანგარიშის თანახმად, მსგავსი საქმიანობა არ განხორციელებულა.<sup>210</sup>

<sup>206</sup> UNESCO, The Hangzhou Declaration Placing Culture at the Heart of Sustainable Development Policies, 2013: <http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/HQ/CLT/images/FinalHangzhouDeclaration20130517.pdf>

<sup>207</sup> რეზოლუციის 11 (c) პუნქტი <https://digitallibrary.un.org/record/765783>

<sup>208</sup> Gender equality, Heritage and Creativity”, UNESCO, 2014; Measuring the Economic Contributions and Cultural Industries”, UNESCO, 2012.

<sup>209</sup> საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ, 2018: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4153833?publication=0>

<sup>210</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში, 2019: <http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/5726HRAPAnnualReport-2019.pdf>



## ა. გენდერული თანასწორობა კულტურის კანონმდებლობასა და პოლიტიკაში

საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ<sup>211</sup> განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიებს (მუხლი 4) და სახელმწიფოს ვალდებულებად აცხადებს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებების უზრუნველყოფას, მათ შორის, კულტურულ ცხოვრებაში. აღნიშნული ზოგადი დეკლარაციული სახის ჩანაწერია, გენდერული თანასწორობის კანონი არ აყალიბებს კულტურაზე ხელმისაწვდომობისა და შემოქმედებით ინდუსტრიაში თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფის გარანტიებს.

კულტურის შესახებ საქართველოს კანონის<sup>212</sup> თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი კულტურის განვითარებას და კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას. კანონი განსაზღვრავს ყოველი ადამიანის უფლებას ნებისმიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისა (მუხლი 8), კულტურული ფასეულობებით სარგებლობისა (მუხლი 11), სახელოვნებო განათლებისა (მუხლი 12). ასევე, კანონი სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენციებს შორის ასახელებს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვას კულტურის სფეროში (მუხლი 18). თუმცა, კულტურის შესახებ კანონის არცერთი დებულება არ ეხება კულტურის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიებსა და მექანიზმებს.

### რეკომენდაციები:

- ▶ რეკომენდებულია, საქართველოს კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიებს (მუხლი 4) დაემატოს **დებულება კულტურის სფეროში – კულტურაზე ხელმისაწვდომობისა და შემოქმედებით ინდუსტრიაში თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით – გენდერული თანასწორობის გარანტიების შესახებ;**
- ▶ რეკომენდებულია, საქართველოს კანონს კულტურის შესახებ დაემატოს **დებულება კულტურის სფეროსა და შემოქმედებით ინდუსტრიაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სახელმწიფო ვალდებულების შესახებ.** გარდა ამისა, კანონის 29-ე მუხლს, რომელიც კულტურისა და კულტურული მოღვაწეობის სახელმწიფო დაფინანსებას ეხება, **დაემატოს ვალდებულება აღნიშნული დაფინანსების გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვით გაცემის შესახებ;**
- ▶ რეკომენდებულია, საქართველოს კანონმა **კულტურის შესახებ განსაზღვროს კულტურის როლი გენდერული თანასწორობის გაძლიერებასა და დისკრიმინაციული სტერეოტიპების აღმოფხვრასთან მიმართებით.** აღნიშნული როლი ასევე უნდა აისახოს სახელმწიფოს მიერ კულტურის სახელმწიფო დაფინანსების პრიორიტეტებში (მუხლი 29).

<sup>211</sup> საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=9#!>

<sup>212</sup> საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი კულტურის შესახებ, 1997: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31402?publication=13>

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დებულება<sup>213</sup> კულტურის სფეროში, სამინისტროს ამოცანების განსაზღვრისას არ ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის არცერთ ამოცანას.

### რეკომენდაცია:

► რეკომენდებულია, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დებულებას, კერძოდ მის მე-2 (2) მუხლს კულტურის სფეროში სამინისტროს ამოცანების შესახებ, დაემატოს, ერთი მხრივ, **კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის** და მეორე მხრივ, **საზოგადოებაში კულტურის მეშვეობით გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერების ამოცანები**. ასევე, რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, შედამხედველობა გაუწიოს სამინისტროს დებულებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.

2016 წელს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ (2021 წლიდან, რეორგანიზაციის შემდეგ, აღნიშნული უწყება გახდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო<sup>214</sup>) შეიმუშავა დოკუმენტი – *კულტურის სტრატეგია 2025*,<sup>215</sup> რომელშიც განსაზღვრულია კულტურის სფეროში სახელმწიფოს ხედვა, რომლის მიზნებს შორისაა: კულტურულ ცხოვრებაში ფართო საზოგადოების ჩართვა; კულტურის პოზიციონირება მდგრადი განვითარების სხვადასხვა სექტორსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებში; კულტურის სფეროს დაფინანსების მდგრადობის უზრუნველყოფა; კულტურის ეკონომიკის განვითარება; კულტურის მართვის დემოკრატიზაცია. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სტრატეგია სრულიად მოკლებულია კულტურის სფეროში გენდერული თანასწორობის გააზრებასა და მისი მნიშვნელობის აღიარებას. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიის ერთ-ერთი ამოცანა ითვალისწინებს „კულტურის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება(ს) და კულტურის პოტენციალის გამოყენება(ს) გენდერული თანასწორობის მხარდაჭერის მიზნით,“ აღნიშნული ამოცანის იმპლემენტაცია კულტურის სამინისტროს არცერთ სტრატეგიულ თუ სამოქმედო დოკუმენტში არ განხორციელებულა. კერძოდ, *კულტურის სტრატეგია 2025*-ის შემდეგ სამინისტრომ შეიმუშავა აღნიშნული სტრატეგიის ერთადერთი სამოქმედო გეგმა, რომელიც 2017-2018 წლებს მოიცავდა და ქალთა უფლებების ქრილში ითვალისწინებდა მხოლოდ ერთ საქმიანობას, კერძოდ – ათი საინფორმაციო შეხვედრის ჩატარებას ქალთა უფლებებთან დაკავშირებით

<sup>213</sup> საქართველოს მთავრობა, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ, 2021: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5171084?publication=0>

<sup>214</sup> საქართველოს მთავრობა, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ, 2021: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5171084?publication=0>

<sup>215</sup> დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1-ლი ივლისის N 303 დადგენილებით. [shorturl.at/gpqMR](http://shorturl.at/gpqMR)

(სამოქმედო გეგმის საქმიანობა 2.2.5). მხოლოდ ეს საქმიანობა ვერ მოახდენდა გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების თვალსაზრისით მნიშვნელოვან გავლენას.

საყურადღებოა, რომ კულტურის სფეროს კანონმდებლობა და პოლიტიკა ვერ პასუხობს იმ ვალდებულებებს, რომლებიც ქვეყანამ 2008 წელს იუნესკოს კონვენციის რატიფიცირებით აიღო. კერძოდ: კულტურის სფეროს პოლიტიკის შემუშავებისა და იმპლემენტაციისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ქალების სპეციფიკურ საჭიროებებს; ასევე, უზრუნველყოს საზოგადოებაში ქალების სტატუსის და როლის ამაღლება კულტურის მეშვეობით.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა<sup>216</sup>, კერძოდ – მისი მიზანი 12.17, კულტურის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას ითვალისწინებდა. ამ მიმართულებით განსაზღვრული იყო არაერთი ამოცანა. კერძოდ: გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვით შემოქმედებითი ინდუსტრიების მხარდაჭერა; სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერისას გენდერული ბალანსის და გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვა; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კულტურის მეშვეობით გენდერული თანასწორობის შესახებ. თუმცა აღნიშნული გეგმის შესრულების ანგარიში<sup>217</sup> საუბრობს მხოლოდ რამდენიმე პროექტისა და ფესტივალის დაფინანსებაზე, ასევე, უნარ-ჩვევების განვითარების ცალკეულ ვორქშოპებზე. საბოლოო ჯამში, ანგარიშის მიხედვით ვერ დგინდება, რა გავლენა მოახდინა აღნიშნულმა ცალკეულმა ღონისძიებამ გენდერული თანასწორობის მიმართულებით დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე.

**რეკომენდაციები:**

- ▶ რეკომენდებულია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების მიზნით, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განახორციელოს **სიდრმისეული კვლევა საქართველოში კულტურისა და შემოქმედებით ინდუსტრიაში გენდერული გამოწვევებისა და ბარიერების გამოსავლენად**. რეკომენდებულია, აღნიშნული კვლევის განსახორციელებლად სამინისტროსა და პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს კოორდინირებული მუშაობა;
- ▶ რეკომენდებულია, ადამიანის უფლებათა დაცვის მომდევნო სამოქმედო გეგმა მოიცავდეს კულტურის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზანს, შესაბამისი ამოცანებითა და შესრულების ინდიკატორებით, ასევე, კონკრეტული პასუხისმგებელი უწყებების განსაზღვრით;
- ▶ რეკომენდებულია, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, გამოვლენილ გენდერულ გამოწვევებზე დაყრდნობით, ასევე, საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებისა და

<sup>216</sup> საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ, 2018: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4153833?publication=0>  
<sup>217</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში, 2019: <http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/5726HRAPAnnualReport-2019.pdf>

საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, განაახლოს კულტურის სტრატეგია 2050 და მასში მოახდინოს გენდერული პერსპექტივის სრულად ინტეგრირება. ასევე, სტრატეგიის შესრულების მომდევნო სამუშაო გეგმაში, კონკრეტულად ასახოს გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრითა და სათანადო ბიუჯეტირებით. რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე ადმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებას.

## ბ. გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და დაუმუშავება კულტურის სფეროში

კულტურის სფეროში გენდერული ბარიერების იდენტიფიცირებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს ენიჭება. ასევე, სულ უფრო და უფრო აღიარებულია კულტურის როლი მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით. შესაბამისად, შემოქმედებით ინდუსტრიაში ჩართულობის თვალსაზრისითაც, გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პოლიტიკის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. მიუხედავად საერთაშორისო ვალდებულებებისა და სტანდარტებისა, საქართველოში არ ხდება კულტურის სფეროში გენდერული სტატისტიკის დამუშავება.

### რეკომენდაციები:

- ▶ რეკომენდებულია, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად,<sup>218</sup> შეიმუშაოს კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის სფეროში გენდერული სტატისტიკის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდოლოგია. რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე ადმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებას;
- ▶ რეკომენდებულია, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ რეგულარულად შეაგროვოს და დაამუშაოს კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის სფეროში გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები. რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე

<sup>218</sup> გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისას რეკომენდებულია UNESCO-ს, ასევე, EIGE მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო სტანდარტებზე დაყრდნობა.

UNESCO, Statistics on Cultural Industries: [shorturl.at/af059](http://shorturl.at/af059)

EIGE, Gender mainstreaming: gender statistics and indicators: [shorturl.at/cpGNW](http://shorturl.at/cpGNW)

აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებას.

### **გ. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული დაავადებითი სირთულეები და მათი დაკლავის გზები კულტურის სფეროში**

კოვიდ-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შემოქმედებით ინდუსტრიაზე. იუნესკოს მონაცემებით, 2020 წელს მკვეთრად შემცირდა კულტურასა და შემოქმედებით ინდუსტრიაში დასაქმებულთა რიცხვი. მსოფლიო მასშტაბით, 2020 წელს შემოქმედებითი ინდუსტრიებიდან გენერირებული დამატებითი ღირებულება 750 მილიარდით ნაკლები იყო 2019 წელთან შედარებით, რაც, დაახლოებით, 10 მილიონი დაკარგული სამუშაო ადგილია.<sup>219</sup> გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებით დაზარალებულნი თვითდასაქმებულები. საქართველოში კონკრეტული მონაცემები კოვიდ-19-ის პანდემიის გენდერულ გავლენაზე კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის სფეროში არ მოგვეპოვება, შესაბამისად, სიტუაციის სიდრმისეული ანალიზისთვის მნიშვნელოვანია აღნიშნული შეფასების გაკეთება.

არაერთი შეფასებით<sup>220</sup>, პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვამ ფიზიკურ გადაადგილებასა და თავშეყრაზე, აუცილებელი გახდა კულტურასა და შემოქმედებით ინდუსტრიაში ახალი მიდგომების ჩამოყალიბება და მიწოდების განსხვავებული ჯაჭვის შექმნა. კერძოდ, გაჩნდა დიგიტალიზაციის აუცილებლობა, რაც კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიის არაერთი სფეროსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა. პანდემიამ, ასევე, გამოავლინა სფეროში უკვე არსებული სირთულეები დასაქმების ღირსეული პირობების უზრუნველყოფის კუთხით.

#### **რეკომენდაციები:**

- ▶ რეკომენდებულია, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ, შეისწავლოს კოვიდ-19-ის პანდემიის გენდერული გავლენა კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის სფეროზე და გამოვლენილ გამოწვევებზე საპასუხოდ შეიმუშაოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა პანდემიის შედეგად გამოწვეული ზიანის შესარბილებლად. რეკომენდებულია, პოლიტიკა ითვალისწინებდეს შემდეგ მიმართულებებს: (i) კულტურასა და შემოქმედებით ინდუსტრიაში ღირსეული სამუშაო პირობების შექმნისკენ მიმართული ზომები; (ii) დიგიტალიზაციის ხელშეწყობა, როგორც სამართლებრივი, ისე ტექნიკური თუ შესაძლებლობების გაძლიერების თვალსაზრისით; (iii) შემოქმედებით ინდუსტრიაში ინოვაციების მხარდაჭერა;<sup>221</sup>

<sup>219</sup> UNESCO, Cultural and creative industries in the face of COVID-19: an economic impact outlook, 2021: <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000377863?posinSet=1&queryId=18d8b725-72cd-4018-ad79-bfdd0ee274e4>

<sup>220</sup> UNESCO; ევროპარლამენტი.

<sup>221</sup> რეკომენდაციები ეყრდნობა ევროპარლამენტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს „კულტურა და შემოქმედებითი სექტორი პოსტკოვიდურ ევროპაში“, 2021. [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2021/652242/IPOL\\_STU\(2021\)652242\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2021/652242/IPOL_STU(2021)652242_EN.pdf) რეკომენდებულია, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ სახელმძღვანელოდ გამოიყენოს აღნიშნული დოკუმენტი, როგორც კოვიდ-19-ის პანდემიის გენდერული გავლენის ანალიზის, ასევე, პოლიტიკის შემუშავების ეტაპებზე.

► რეკომენდებულია, საქართველოს მთავრობამ და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ უზრუნველყონ კულტურის სფეროსთვის განკუთვნილი ეკონომიკური სტიმულირების ზომების თანასწორად გადანაწილება ქალებსა და კაცებზე. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, შედამხედველობა გაუწიოს აღნიშნული რეკომენდაციების აღსრულებას.

## X. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

საქართველომ ბოლო 30 წლის განმავლობაში კონფლიქტების ორი ძირითადი ტალღა განიცადა. პირველი იყო სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტები 1991-1993 წლებში, ხოლო მეორე – შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთთან, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 2008 წელს, თანმხლები ეფექტით აფხაზეთში. ამჟამად აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონები, ასევე ზემო აფხაზეთის ტერიტორია კოდორის ხეობის ჩათვლით, რუსული ოკუპაციის ქვეშ იმყოფება. აღნიშნულ კონფლიქტებს შედეგად მოჰყვა ასეულობით ათასი ადამიანის იძულებითი გადაადგილება, რომელთა უმრავლესობამ საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა 1990-იან წლებში.<sup>222</sup>

საქართველოში კონფლიქტების მოგვარების მიზნით ოფიციალური მოლაპარაკებების პროცესი **ქენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების** ფორმატში მიმდინარეობს, რომელიც 2008 წლის ოქტომბრიდან დაიწყო.<sup>223</sup> 2009 წელს ჩამოყალიბდა მოლაპარაკებათა მეორე ფორმატი – **ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი**, რომლის მიზანია ადგილზე ყოველდღიური ინციდენტების განხილვა და ოპერატიული რეაგირების უზრუნველყოფა. აღნიშნული ფორმატი შეიქმნა როგორც აფხაზეთის, ასევე, სამხრეთ ოსეთის მიმართულებით, თუმცა აფხაზეთის მიმართულებით შეხვედრები 2018 წლის ივნისიდან დროებით შეწყვეტილია.<sup>224</sup>

2018 წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგით მესამე სამოქმედო გეგმა **ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების შესახებ (2018-2020 წწ.)**.<sup>225</sup> აღნიშნული გეგმის პრიორიტეტებს შორისაა ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე, როგორც უსაფრთხოების სექტორში, ასევე სამშვიდობო მოლაპარაკებებში. სამოქმედო გეგმა,

<sup>222</sup> საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისია. <https://smr.gov.ge/uploads/prev/66c4e7.pdf>

<sup>223</sup> ქენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესაბამისად ჩამოყალიბდა და მასში მონაწილეობენ საქართველოსა და რუსეთის მხარეები, ასევე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმომადგენლები, აშშ, ეუთო, ევროკავშირი, გაერო. <https://smr.gov.ge/ge/page/26/jenevis-saertashoriso-molaparakebebi>

<sup>224</sup> ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM): <https://smr.gov.ge/ge/page/27/incidentebis-prevencii-sa-da-matze-reagirebis-meganizmi>

<sup>225</sup> საქართველოს მთავრობა, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე, 2018: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4140938?publication=0>

ასევე, ითვალისწინებს ქალებსა და გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენციას, მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უზრუნველყოფას და სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას. აღსანიშნავია, რომ ეს სამოქმედო გეგმა არაერთ ხარვეზს შეიცავდა, როგორც ტექნიკური, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. მასში არ იყო განსაზღვრული დაფინანსების წყაროები და გეგმის განხორციელებისას წარმოშობილი შესაძლო რისკები. გეგმის შესრულების ანგარიში<sup>226</sup> ვერ ასახელებს კონკრეტულ შედეგებს ქალთა გაზრდილი წარმომადგენლობის, ქალთა მიმართ ძალადობის, ჯანდაცვის საბაზისო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის თუ ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების მსოფლიო დღის წესრიგი ეფუძნება მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ერთი მხრივ, კონფლიქტებს განსხვავებული გავლენა აქვს ქალებსა და კაცებზე, გოგონებსა და ბიჭებზე, ხოლო, მეორე მხრივ, კონფლიქტების პრევენციისა თუ მშვიდობის აღდგენის პროცესებში მნიშვნელოვანია ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობა.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც, ძირითადად, მოიცავს გაერთიანებული ერების რეზოლუციას 1325 (2000) და მის თანმდევ რეზოლუციებს<sup>227</sup>, ოთხ მთავარ პრინციპს ეფუძნება:

- ▶ **მონაწილეობის პრინციპი**, რაც გულისხმობს ქალთა თანაბარ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღებაში ცენტრალურ, ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეებზე, როგორც პრევენციის, ასევე კონფლიქტების გადაჭრის, სამშვიდობო მოლაპარაკებების და სამშვიდობო ოპერაციების მიმართულებით, სამხედრო, საპოლიციო თუ სამოქალაქო სტატუსით თუ სპეციალური წარმომადგენლობის ფორმატებში;
- ▶ **დაცვის პრინციპი**, რაც მოიცავს ქალთა და გოგონათა დაცვას გენდერული ნიშნით ძალადობისგან, მათ შორის, კონფლიქტის მიმდინარეობისას;
- ▶ **პრევენციის პრინციპი**, რაც მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველი პრევენციული ღონისძიებების გაძლიერებას და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას;
- ▶ **განახლება და რეაბილიტაცია**, რაც გულისხმობს სამშვიდობო შეთანხმებებში გენდერულ ასპექტებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებას, მათ შორის, რეპატრიაციის და განსახლების პროცესებში, აგრეთვე, რეაბილიტაციის, რეინტეგრაციის და კონფლიქტის შემდგომ აღდგენით პერიოდში ქალების და გოგონების განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებას.

<sup>226</sup> საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის ანგარიში“, 2020 წ.

<sup>227</sup> 1325 (2000), 1820 (2008), 1888 (2008), 1889 (2009), 1960 (2010), 2106 (2013), 2122 (2013), 2242 (2015), 2467 (2019), and 2493 (2019)



გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2019 წელს დამატებით ორი რეზოლუცია მიიღო (No.2467 და No.2493) ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის გასაძლიერებლად. რეზოლუცია 2467 მოუწოდებს სახელმწიფოებს, კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების გაძლიერებას, კერძოდ, ჯანდაცვის და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სერვისებზე, ასევე, მართლმსაჯულებასა და რეაგირების ეფექტიან მექანიზმებზე სათანადო ხელმისაწვდომობას. რეზოლუცია 2493 (2019) მოუწოდებს სახელმწიფოებს ქალებისა და გოგონების გაძლიერებას მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში. რეზოლუცია საუბრობს არა მხოლოდ რაოდენობრივ მონაწილეობაზე, არამედ, ხაზს უსვამს აღნიშნულ პროცესებში ქალთა თანასწორი და არსებითი ჩართულობის (equal and meaningful participation) მნიშვნელობას.

2020 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა სტრატეგიული დოკუმენტი „აღდგენა, მედეგობა და რეფორმირება – აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტები 2020 წლის შემდეგ“<sup>228</sup>, სადაც დეტალურადაა გაწერილი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან ევროკავშირის თანამშრომლობის სტრატეგიული მიმართულებები. აღნიშნულ მიმართულებებს შორისაა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხი. დოკუმენტის თანახმად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან, შესაბამისად – საქართველოსთან თანამშრომლობისას, ევროკავშირი ხელს შეუწყობს კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, აღნიშნულ პროცესში გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას, მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესებში ქალთა სათანადო მონაწილეობას. სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული თანამშრომლობა ეყრდნობა ევროკავშირის 2019-2025 წლების სამოქმედო გეგმას ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ.<sup>229</sup>

## ა. ქალთა მონაწილეობა კონფლიქტების პრევენციისა და მართვის პროცესებში

კონფლიქტების პრევენციისა და მართვის პროცესებში ქალთა მონაწილეობის განსაზღვრისთვის ყურადღება ენიჭება ქალთა ჩართულობას როგორც მოლაპარაკებების ფორმალურ თუ არაფორმალურ პროცესებში, ასევე უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორებში. ყველა ამ მიმართულებით საქართველოში მკვეთრი გენდერული დისბალანსია.

- ▶ თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობის მხოლოდ 23%-ია ქალი;
- ▶ შეიარაღებულ ძალებში ქალთა წარმომადგენლობა 8%-ია;
- ▶ შეიარაღებულ ძალებში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მხოლოდ 2% ქალია წარმოდგენილი;
- ▶ განსაკუთრებით დაბალია შინაგან საქმეთა სამინისტროში ქალთა წარმომადგენლობა და ის 5%-ს შეადგენს;
- ▶ საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა შორის მხოლოდ 14%-ია ქალი.<sup>230</sup>

<sup>228</sup> „აღდგენა, მედეგობა და რეფორმირება: აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტები 2020 წლის შემდეგ, პუნქტი 2.24, გვ.8 [https://eeas.europa.eu/sites/default/files/swd\\_2021\\_186\\_f1\\_joint\\_staff\\_working\\_paper\\_en\\_v2\\_p1\\_1356457\\_0.pdf](https://eeas.europa.eu/sites/default/files/swd_2021_186_f1_joint_staff_working_paper_en_v2_p1_1356457_0.pdf)

<sup>229</sup> Council of the European Union, EU Action Plan on Women, Peace and Security (WPS) 2019-2024, EEAS(2019)747: <https://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-11031-2019-INIT/en/pdf>

<sup>230</sup> მონაცემები ეყრდნობა გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2020 წლის სტატისტიკურ ბროშურას „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ <https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2020/12/women-peace-and-security>

გამოწვევები არსებობს სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა ჩართულობის თვალსაზრისითაც, კერძოდ:

- ▶ ქენევის საერთაშორისო დისკუსიებში საქართველოს 12 წარმომადგენლიდან მხოლოდ 2 (17%) არის ქალი;
- ▶ 2017 წელს ინციდენტების მართვისა და მათზე რეაგირების მექანიზმში საქართველოს ყოველ 3 წარმომადგენელს შორის 1 იყო ქალი;
- ▶ ქალები საერთოდ არ არიან წარმოდგენილნი მოლაპარაკებების პროცესებში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მხრიდან;<sup>231</sup>
- ▶ ბოლო წლების განმავლობაში შემცირებულია ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახალხო დიპლომატიის ინიციატივის მაჩვენებელი.<sup>232</sup>

რეზოლუცია 1325 და მისი თანმდევი რეზოლუციები (No.2122 და No.2493) მოუწოდებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ ქალთა **თანასწორი და არსებითი მონაწილეობა** კონფლიქტის მოგვარებისა და სამშვიდობო პროცესებში, მათ შორის, მკაცრი ზომების მიღების გზითაც. გარდა ამისა, ევროკავშირის 2019-2025 წლების სამოქმედო გეგმა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ, რომლის პრინციპებსაც საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა ეფუძნება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების მიმართულებით, მკაფიოდ აყალიბებს ქალთა თანაბარი და არსებითი მონაწილეობის მიზანს (მიზანი 1) მშვიდობისა და უსაფრთხოების ყველა სფეროში, მათ შორის, ფორმალური და არაფორმალური დაბრკოლებების იდენტიფიცირების და დაძლევის, ასევე სტრუქტურული ბარიერების აღმოფხვრის გზით.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ კონფლიქტების პრევენციის და მართვის პროცესებში არსებითი მონაწილეობის (meaningful participation) ცნებას ორი ძირითადი ასპექტი აქვს: ერთი მხრივ, ქალთა ჩართულობა რაოდენობრივი თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, ქალთა ჩართულობის ხარისხი და პროცესებზე გავლენის მოხდენის კომპონენტი. ასევე, აღსანიშნავია, რომ ქალთა ჩართულობის თვალსაზრისით მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქალების ჩართულობას არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ არაფორმალურ და სახალხო დიპლომატიის პროცესებშიც და მიიჩნევს, რომ არაფორმალური პროცესების სათანადოდ წარმართვის გარეშე ვერ იქნება გარანტირებული ოფიციალური მოლაპარაკებების წარმატება.<sup>233</sup>

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს 1979 წლის კონვენცია (მუხლი 4)<sup>234</sup>, ასევე ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის No.25 ზოგადი რეკომენდაცია<sup>235</sup> ავალდებულებს სახელმწიფოებს არა მხოლოდ ფორმალური, არამედ, ასევე, არსებითი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას ყველა საჭირო ზომის, მათ შორის, დროებითი სპეციალური ზომების მიღების გზით.

<sup>231</sup> იქვე.

<sup>232</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის (2018-2020) შესრულების შუალედური ანგარიში, 2020

<sup>233</sup> რეზოლუცია 2122 (2019); USIP, "A Primer on Multi-track Diplomacy: How Does it Work?"

<sup>234</sup> იხ: <https://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/text/econvention.htm>

<sup>235</sup> იხ: [https://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/General%20recommendation%2025%20\(English\).pdf](https://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/General%20recommendation%2025%20(English).pdf)

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი, საქართველოს მეოთხე და მეხუთე პერიოდული ანგარიშების დასკვნით შენიშვნებში, პირდაპირ მიუწოდებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს ქალთა ჩართულობა კონფლიქტების მოგვარებისკენ მიმართული ყველა სამოქმედო გეგმის თუ პოლიტიკის იმპლემენტაციაში, ასევე, უზრუნველყოს ქალთა თანაბარი მონაწილეობა აღნიშნულ საკითხზე გამართულ მაღალი დონის შეხვედრებში.<sup>236</sup>

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის (2018-2020) ერთ-ერთ მიზნად (მიზანი 1) განსაზღვრული იყო ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე უსაფრთხოების სექტორში და სამშვიდობო მოლაპარაკებებში. სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზანი, ასევე, მოიცავდა არაფორმალურ პროცესებში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების, ახალგაზრდების და ქალთა ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდის ამოცანასა და სახალხო დიპლომატიის ინიციატივების მხარდაჭერას. (ამოცანა 1.3). სამოქმედო გეგმის მოქმედების პერიოდში აღნიშნული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული ამოცანები არასათანადოდ შესრულდა, შესაბამისად – ვერ მოხერხდა ქალთა თანასწორი და არსებითი ჩართულობის უზრუნველყოფა სხვადასხვა მიმართულებით.

იმპლემენტაციის თვალსაზრისით არსებული გამოწვევებიდან ერთ-ერთია კონფლიქტით დაზარალებული პირების საკითხებზე პასუხისმგებელი სამინისტროების მიერ ეროვნული სამოქმედო გეგმის ამოცანების არასათანადო დასახვაში და უწყებრივ დღის წესრიგში. კერძოდ, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2019-2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა<sup>237</sup> საერთოდ არ ითვალისწინებს დევნილი ქალების ჩართულობის ხელშეწყობ დონის ძიებებს სამშვიდობო პროცესებში.

შესაბამისად, აღნიშნული გამოწვევების ფონზე აუცილებელი ხდება უფრო მკაცრი ზომების (რეზოლუცია No.2122) მიღება კონფლიქტების მოგვარებისა და მართვის პროცესებში ქალთა სათანადო ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

#### რეკომენდაციები:

- ▶ გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში შევიდეს ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს კონფლიქტების პრევენციის და მართვის პროცესებში ქალთა **თანასწორი და არსებითი** მონაწილეობის უზრუნველყოფას საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და სტანდარტების შესაბამისად, რაც გულისხმობს ქალთა ჩართულობას როგორც **მოლაპარაკებების ფორმალურ და არაფორმალურ პროცესებში**, ასევე **უსაფრთხოების და თავდაცვის** სექტორებსა და **დიპლომატიურ** წარმომადგენლობებში. ჩართულობის უზრუნველყოფის სამართლებრივი გარანტიები უნდა მოიაზრებდეს როგორც **რაოდენობრივი ჩართულობის**, ისე **ჩართულობის ხარისხისა** და პროცესებზე **გავლენის** მოხდენის კომპონენტებს;

<sup>236</sup> ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეოთხე და მეხუთე პერიოდული ანგარიშების შესახებ, 25-ე პუნქტი. [shorturl.at/ckuwR](http://shorturl.at/ckuwR)

<sup>237</sup> საქართველოს მთავრობა, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2019-2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 2018: [http://gov.ge/files/495\\_69712\\_967817\\_2566.pdf](http://gov.ge/files/495_69712_967817_2566.pdf)

- ▶ კონფლიქტების პრევენციის და მართვის პროცესებში ქალთა თანასწორი და არსებითი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მომდევნო ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, უნდა განისაზღვროს ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული ამოცანები, შესაბამისი შესრულების ინდიკატორებით (ზეგავლენის, საბოლოო შედეგების და შუალედური შედეგების დონეებზე), კონკრეტული პასუხისმგებელი უწყებების მითითებით და სათანადო ბიუჯეტირებით. აღნიშნულ ზომებს შორის რეკომენდებულია, განისაზღვროს რაოდენობრივი კვოტის, როგორც დროებითი სავალდებულო მექანიზმის შემოღება. რაოდენობრივი კვოტის მოთხოვნები უნდა ითვალისწინებდეს ე.წ. „კრიტიკული მასის“<sup>238</sup> ცნებას.
- ▶ ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე მომდევნო ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისთანავე პასუხისმგებელმა უწყებებმა უნდა შეადგინონ აღნიშნული გეგმის აღსრულების უწყებრივი საოპერაციო გეგმა, სადაც ეროვნული სამოქმედო გეგმის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად განისაზღვრება კონკრეტული დონის ძიებები, შესაბამისი ბიუჯეტირებით.

### ა.1. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ქალთა ჩართულობის დაბრკოლებები კონფლიქტების პრევენციისა და მართვის პროცესებში

კოვიდ-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კონფლიქტების დარეგულირებასა და ნდობის აღდგენაზე და გაართულა სახელმწიფოსა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მიერ მშვიდობის აღდგენის პროცესების წარმართვა. ამ პერიოდის მანძილზე საქართველოს ფარგლებს გარეთ ორმხრივი შეხვედრები არ ჩატარებულა, დაწყებული მოლაპარაკებები ონლაინ ფორმატში წარიმართა, თუმცა ახალი სამშვიდობო ინიციატივები არ გამოვლენილა.<sup>239</sup>

ონლაინ დისკუსიებმა ვერ შეძლო სამშვიდობო და ნდობის აღდგენის პროცესის სრულფასოვნად ჩანაცვლება, ვინაიდან აღნიშნული პროცესი დიდწილად დამოკიდებულია ერთ ფიზიკურ სივრცეში ადამიანების ურთიერთობაზე. ამასთანავე, პროცესებში ჩართულმა ზოგიერთმა ორგანიზაციამ უარი თქვა ჩართულობაზე პანდემიის პერიოდში, როგორც უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით, ასევე სათანადო ოპერაციულ-ტექნიკური ხარჯებისა და პირობების არარსებობის გამო.<sup>240</sup>

<sup>238</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის რეკომენდაციის თანახმად, რომელიც ქალების და კაცების თანაბარ ჩართულობას ეხება პოლიტიკურ და საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, 40% წარმოადგენს იმ რეკომენდებულ მინიმუმს, რომლის ქვემოთ არცერთი სქესი არ უნდა იყოს წარმოდგენილი აღნიშნულ პროცესებში. სწორედ 40% არის ის „კრიტიკული მასა“, რომელსაც შეუძლია, გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებაზე. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის რეკომენდაცია: „Balanced participation of women and men in political and public decision making“, <https://rm.coe.int/1680519084>

<sup>239</sup> სახელმწიფომ 2020 წელს, კონფლიქტით დაზარალებული ქალების ჩართულობით, ორი შეხვედრა ჩატარა მრავალმხრივ ფორმატში და ათამდე შეხვედრა – ორმხრივ ფორმატში. საქართველოს სახალხო დამცველი, „Covid-19 პანდემიის გავლენა კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგონებზე, სპეციალური ანგარიში“, 2021

<sup>240</sup> იქვე

### რეკომენდაცია:

► მომდევნო ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, რეკომენდებულია, განისაზღვროს **სპეციალური ღონისძიებები**, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების ჩართვა სამშვიდობო პროცესებში **კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული დაბრკოლებების გათვალისწინებით**. კერძოდ, ღონისძიებები უნდა ეხებოდეს ინტერნეტსა და კომპიუტერზე ხელმისაწვდომობის გაზრდას კონფლიქტით დაზარალებული და დევნილი ქალებისთვის, მათი კომპიუტერული უნარ-ჩვევების გაძლიერებას, ასევე, სამშვიდობო პროცესებში ჩართული სათემო ორგანიზაციების გაძლიერებასა და მხარდაჭერას.

## ბ. კონფლიქტების შედეგად დაზარალებული გოგონების და ქალების უსაფრთხოების დაცვა, სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უზრუნველყოფა

2020 წლის მდგომარეობით, კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა საქართველოში 283 271-ს შეადგენს, მათგან 53% ქალია.<sup>241</sup> იძულებით გადაადგილებული პირები არაერთი სოციალური და ეკონომიკური გამოწვევის წინაშე დგანან, მათგან 41 688 – სოციალურად დაუცველია და სოციალურ დახმარებას იღებს, აქედან 54% ქალია<sup>242</sup>. აღნიშნულ პირთა შორის უმუშევრობის დონის შესახებ გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების მოპოვება ვერ მოხერხდა. ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული წერილის თანახმად, სამინისტრო აღნიშნულ ინფორმაციას არ ამუშავებს.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი, საქართველოს მეოთხე და მეხუთე პერიოდული ანგარიშების დასკვნით შენიშვნებში, შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს სახელმწიფო სერვისები არ მიეწოდება გენდერულად მგრძნობიარე მიდგომებზე დაფუძნებით, ანუ არ არის გათვალისწინებული ქალების და კაცების განსხვავებული საჭიროებები. შესაბამისად, კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს, დაწეროს ასეთი მიდგომები სახელმწიფო სერვისების მიწოდებისას.<sup>243</sup>

<sup>241</sup> ოფიციალური სტატისტიკა ხელმისაწვდომია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე: <https://www.moh.gov.ge/uploads/files/2019/Faile-bi/27.03.2019-51.pdf>

აღნიშნული მონაცემების გენდერული სეგრეგაცია ხელმისაწვდომია საქსტატის პუბლიკაციაში „ქალი და კაცი საქართველოში, 2020“, თუმცა ბოლო მონაცემები მიცემულია 2019 წლის მდგომარეობით (საერთო რაოდენობა 286 216, აქედან 152 106 ქალი და 134 110 კაცი)

<sup>242</sup> ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, პოლიტიკის დეპარტამენტის, დევნილთა და ეკომიგრანტთა სამმართველოდან 24 აგვისტოს მიღებული ელექტრონული წერილის თანახმად.

<sup>243</sup> ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეოთხე და მეხუთე პერიოდული ანგარიშების შესახებ, 34-ე და 34-ე პუნქტები. [shorturl.at/ckuWR](http://shorturl.at/ckuWR)

## ბ.1. უსაფრთხოება და ძალადობისგან დაცვა

დეველოპმენტი და კონფლიქტით დაზარალებული გოგონებისა და ქალებისთვის, განსაკუთრებით კი გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრებთათვის, უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს ადამიანური უსაფრთხოების პრობლემა. საოკუპაციო ხაზზე გადაადგილებისას ხშირია უკანონო დაკავებები.<sup>244</sup> ასევე, მწვავედ ღვას კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებსა და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემა, როგორც ძალადობის პრევენციისა და იდენტიფიცირების, ასევე ძალადობისგან თავის დაღწევისა და ძალადობაზე რეაგირების თვალსაზრისით.<sup>245</sup>

აღნიშნული მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებს შორის არის როგორც მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე დაცვის და დახმარების არსებულ მექანიზმებზე არასათანადო წვდომა, ასევე რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. კიდევ უფრო მძიმეა გამყოფი ხაზის მიღმა მყოფი გოგონებისა და ქალების მდგომარეობა, ვინაიდან გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ისინი ვერ ახერხებენ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას, ოკუპირებულ აფხაზეთში კი არ არსებობს ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები, რაც კიდევ უფრო ართულებს ძალადობისგან თავის დაღწევას და უსაფრთხო გარემოში ყოფნას.<sup>246</sup>

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების შესახებ 2018-2020 წლების ეროვნული გეგმა ითვალისწინებს ქალებსა და გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენციას, მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უზრუნველყოფას და სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას. თუმცა, აღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში<sup>247</sup> ვერ ასახელებს უსაფრთხოების გაძლიერებისა და გენდერული ნიშნით ძალადობის დაძლევის წინააღმდეგ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებს და მხოლოდ საინფორმაციო შეხვედრების ჩამოთვლით შემოიფარგლება. ასევე, არ განსაზღვრავს ამ შეხვედრების კონკრეტულ გავლენას არსებულ გამოწვევებზე. სახალხო დამცველის ანგარიში აღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ უსაფრთხოებისა და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და დაძლევის კუთხით სახელმწიფომ არ გაატარა საკმარისი ზომები.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს (გაერთიანებული ერების რეზოლუცია 1325 და მისი თანმდევი რეზოლუციები<sup>248</sup>) დაცვის

<sup>244</sup> 2020 წელს, საოკუპაციო ხაზზე, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 64 პირი (აქედან 6 ქალი და 1 არასრულწლოვანი), ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით 13 პირი დააკავეს (აქედან 1 ქალი და 2 არასრულწლოვანი), საქართველოს სახალხო დამცველის მონაცემები.

<sup>245</sup> ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა ზუგდიდისა და გალის კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაში, საქართველოს დახმარების კომიტეტი/GECCOR, 2018

<sup>246</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019, 2020

<sup>247</sup> საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის ანგარიში“, 2020 წ.

<sup>248</sup> 1325 (2000), 1820 (2008), 1888 (2008), 1889 (2009), 1960 (2010), 2106 (2013), 2122 (2013), 2242 (2015), 2467 (2019), and 2493 (2019)

და **პრევენციის** პრინციპები გულისხმობს ქალთა და გოგონათა დაცვას გენდერული ნიშნით ძალადობისგან, მათ შორის, კონფლიქტის მიმდინარეობისას. ასევე, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველი და პრევენციული ღონისძიებების გაძლიერებას და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

*ევროკავშირის 2019-2025 წლების სამოქმედო გეგმა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ*,<sup>249</sup> რომლის ფარგლებში განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს ევროკავშირი ეყრდნობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან თანამშრომლობისას, ითვალისწინებს გენდერული ნიშნით ძალადობის დასაძლევად და გოგონებისა და ქალების უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას, რომელთა შორისაა ძალადობის მსხვერპლთა სათანადო მხარდაჭერა შესაბამისი სერვისების საშუალებით, უსაფრთხოების სექტორის შესაძლებლობების გაძლიერება, ასევე, ძალადობის გამომწვევი ფაქტორების და სტრუქტურული უთანასწორობების თანმიმდევრული დაძლევა.

### რეკომენდაცია:

- ▶ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვისა და შემუშავების მიზნით, რეკომენდებულია კონფლიქტის შედეგად დაზარალებული გოგონებისა და ქალების, ასევე გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრები გოგონებისა და ქალების საჭიროებების შესწავლა ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და დაძლევის **ჭრილში** და **საპასუხო კონკრეტული ამოცანებისა და ღონისძიებების ინტეგრირება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე**, ასევე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმებში, ასევე, შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების საოპერაციო გეგმაში აღნიშნული ღონისძიებების **ინტეგრირება, ბიუჯეტირება და კონკრეტული პასუხისმგებელი პირების გაწერა**. გარდა ამისა, რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, მოახდინოს პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობის კონტროლი ამ მიმართულებით, მოისმინოს და შეაფასოს როგორც საჭიროებების კვლევის ანგარიში, ასევე, მის საფუძველზე შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტები და შემდგომში აღნიშნული პოლიტიკის იმპლემენტაცია;
- ▶ ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე მომდევნო ეროვნული სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს **კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის კონცეფციის შემუშავების** ვალდებულებას, ამ სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, რისთვისაც გამოყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ადამიანური და საბიუჯეტო რესურსები;
- ▶ რეკომენდებულია **უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლების**, მათ შორის, გადაწყვეტილების მიმღები პირების **შესაძლებლობების გაძლიერება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველი და პრევენციული ღონისძიებების საკითხებზე**. აღნიშნული შესაძლებლობების

<sup>249</sup> Council of the European Union, EU Action Plan on Women, Peace and Security (WPS) 2019-2024, EEAS(2019)747: <https://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-11031-2019-INIT/en/pdf>

გაძლიერების ღონისძიებები რეკომენდებულია, განხორციელდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვისაც, განსაკუთრებით, გამყოფი ხაზის მიმდებარე მუნიციპალიტეტებში.

## ბ.2. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უზრუნველყოფა

კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონებისთვის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ასევე, არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი კონფლიქტის შედეგად დაზარალებული გოგონების და ქალების ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისები. რეგიონების ამბულატორიებში არ არის ხელმისაწვდომი სამედიცინო აპარატურა, მედიკამენტები და ხშირ შემთხვევაში, ექიმის კონსულტაცია.<sup>250</sup> დამატებითი გამოწვევების წინაშე დგანან უშუალოდ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები გოგონები და ქალები, რომლებსაც შეზღუდული აქვთ გადაადგილების უფლება და ბაზისურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა.<sup>251</sup> ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაუმართავია სამედიცინო სერვისები და ინფრასტრუქტურა, არადამაკმაყოფილებელია მედპერსონალის მომსახურების დონე და მაღალია ჯანდაცვის სერვისების ფასები, ოკუპირებულ აფხაზეთში სრულად აკრძალულია აბორტი. შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქალები სამედიცინო დახმარების მიღებას უმეტესად ოკუპირებული ტერიტორიების მიღმა ცდილობენ.<sup>252</sup>

პრობლემურია წვდომა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვის სერვისებზე, მათ შორის, ოჯახის დაგეგმვის სერვისებსა და თანამედროვე კონტრაცეფციაზე. ასევე, პრობლემურია სექსობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების შესახებ ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების საკითხი.<sup>253</sup> ქვეყანაში არ არსებობს სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასა და საჭიროების შემთხვევაში, მედიკამენტებით უზრუნველყოფას.<sup>254</sup>

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების შესახებ 2018-2020 წლების ეროვნული გეგმა ითვალისწინებს ქალებისა და გოგონების უსაფრთხოების, საჯარო სერვისებზე წვდომის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზანს (მიზანი 4), რომლის შედეგადაც უნდა გაზრდილიყო სახელმწიფო სერვისებით მოსარგებლე ქალების პროცენტული მაჩვენებელი (ინდიკატორი 4.2), გაფართოებულიყო გაწეული სერვისების მოცულობა და გეოგრაფიული არეალი (ინდიკატორი 4.2.ბ), გაზრდილიყო სოციალურ და ჯანდაცვის სერვისებზე ინფორმირებულობის დონე (ინდიკატორი 4.2.გ). თუმცა, აღნიშნული გეგმის შესრულების სამთავრობო ანგარიში<sup>255</sup> ვერ ასახელებს ვერანაირ კონკრეტულ და გაზომვად შედეგს და

<sup>250</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019

<sup>251</sup> იქვე.

<sup>252</sup> იქვე.

<sup>253</sup> იქვე.

<sup>254</sup> იქვე.

<sup>255</sup> საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის ანგარიში“, 2020 წ.



მე-4 მიზანთან მიმართებით საუბრობს მხოლოდ ერთ ღონისძიებაზე – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებულ ერთ შეხვედრაზე სამეგრელოს რეგიონში დევნილი ქალებისა და გოგოების საჭიროებების განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით.

### **რეკომენდაცია:**

► კონფლიქტის შედეგად დაზარალებული გოგონებისა და ქალების, ასევე გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრები გოგონებისა და ქალების საჭიროებების შესწავლა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანდაცვის სერვისებზე, მათ შორის, რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანდაცვის სერვისებზე, ასევე, შესაბამის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ქრილში და გამოვლენილ საჭიროებებზე საპასუხო კონკრეტული ამოცანებისა და ღონისძიებების ინტეგრირება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე მომდევნო ეროვნულ სამოქმედო გეგმაში. ასევე, პასუხისმგებელი უწყებების საოპერაციო გეგმაში აღნიშნული ღონისძიებების ინტეგრირება, ბიუჯეტირება და კონკრეტული პასუხისმგებელი პირების გაწერა. გარდა ამისა, რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, მოახდინოს პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობის კონტროლი ამ მიმართულებით, მოისმინოს და შეაფასოს როგორც საჭიროებების კვლევის ანგარიში, ასევე, მის საფუძველზე შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტები და შემდგომში აღნიშნული პოლიტიკის იმპლემენტაცია.

### **ბ.3. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული გოგონების და ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება**

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების შესახებ 2018-2020 წლების ეროვნული გეგმა ითვალისწინებს სხვადასხვა აქტივობას კონფლიქტით დაზარალებულ და დევნილ ქალთა ეკონომიკური და სოციალური გაძლიერების მიმართულებით, მათ შორის, პროფესიული განვითარების და მეწარმეობის განვითარების პროგრამებს, სახელოვნებო-შემოქმედებით პროგრამებს, ქალთა ბიზნესპროექტების დაფინანსებას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნაში დახმარებას, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების უმაღლესი განათლების ფინანსურ დახმარებას. თუმცა, გეგმის შეფასების ანგარიშის თანახმად<sup>256</sup>, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა, გარდა უმაღლესი განათლების მხარდასაჭერად გაწეული ფინანსური დახმარებისა.

გამოწვევად რჩება კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის თანახმად, კონფლიქტით

<sup>256</sup> საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის ანგარიში“, 2020 წ.

დაზარალებულ ქალთა სრული უმრავლესობა დიასახლისია და მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა სოციალური შემწეობა და პენსია. რიგ შემთხვევებში ქალები, ოჯახში აღებული ვალდებულებების გამო, ვერ ახერხებენ ეკონომიკურ აქტივობებში ჩართვას ან სემინარებსა თუ ტრენინგებზე დასწრებას. მიუხედავად იმისა, რომ დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები და გოგონები ფლობენ ინფორმაციას პროფესიული გადამზადების კურსების შესახებ, პრობლემურია ამ კურსებით სარგებლობა, რადგან სასწავლებლები, ძირითადად, მდებარეობს დიდ ქალაქებში, რაც ტრანსპორტისა და სხვა დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.<sup>257</sup> დაბალია სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ ტრენინგებში ჩართული, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების რაოდენობა. ასევე, დაბალია კულტურულ, საგანმანათლებლო-შემეცნებით და სპორტულ პროგრამებში ჩართულობა.<sup>258</sup>

ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით ერთ-ერთ მწვავე გამოწვევას წარმოადგენს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების საკითხი, ასევე, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მომატებული საფრთხის შემცველ შენობებში ცხოვრების პრობლემა.

**რეკომენდაცია:**

- ▶ რეკომენდირებულია, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების მომდევნო სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდეს **კონფლიქტით დაზარალებული და დევნილი ქალების საჭიროებებზე მორგებულ, ეკონომიკური და სოციალური გაძლიერების პროგრამებს**, რომლებიც კონკრეტულ შედეგებზე იქნება ორიენტირებული და საშუალებას მისცემს სამიზნე ჯგუფებს, განავითარონ მდგრადი, შემოსავლის მომტანი საქმიანობა, დევნილთა წინაშე არსებული გამოწვევების და საჭიროებების გათვალისწინებით. რეკომენდებულია, აღნიშნული პროგრამები აისახოს შესაბამისი უწყებების შიდა ოპერაციულ გეგმებში, სათანადო ბიუჯეტირებით. გარდა ამისა, რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, მოახდინოს პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობის კონტროლი ამ მიმართულებით;
- ▶ რეკომენდირებულია, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის შემუშავებასა თუ განხორციელებაზე პასუხისმგებელმა ყველა სახელმწიფო უწყებამ **გააძლიეროს კოორდინაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან**, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები გოგონებისა და ქალების ეკონომიკური და სოციალური გაძლიერების მიზნით;
- ▶ რეკომენდებულია, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების მომდევნო სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდეს კონკრეტულ ღონისძიებებს დევნილთა უზრუნველსაყოფად **სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გრძელვადიანი საცხოვრისით**. რეკომენდებულია, აღნიშნული

<sup>257</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის“ (2018-2020) შუალედური ანგარიში, 2020

<sup>258</sup> იქვე.

დონისძიებები აისახოს შესაბამისი უწყებების შიდა ოპერაციულ გეგმებში, სათანადო ბიუჯეტირებით. გარდა ამისა, რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის ფარგლებში, მოახდინოს პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობის კონტროლი ამ მიმართულებით;

- ▶ რეკომენდებულია, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდეს **ბაზრის მოთხოვნათა შესაბამის სწავლებას კონფლიქტით დაზარალებული და დევნილი ქალებისათვის**; ასევე, რეკომენდებულია, **სწავლების სპეციფიკა მოიცავდეს აღნიშნული ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს**, რაც უკავშირდება საშინაო შრომასა, ბავშვებსა და ხანდაზმულებზე ზრუნვის ტვირთს სათანადო საჯარო სერვისების არარსებობის პირობებში, ასევე გადაადგილების სირთულეებსა და ხარჯებს. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ მოახდინოს აღნიშნული ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობის კონტროლი, ასევე, ხელი შეუწყოს შრომითი ბაზრის მოთხოვნათა იდენტიფიცირებისთვის კვლევის განხორციელებას.

### **გ. საქართველოს პარლამენტის როლის გაძლიერება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის იმპლემენტაციაში**

კონფლიქტების პრევენციის, მართვისა და სამშვიდობო პროცესების სათანადოდ წარმართვა საქართველოს უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნულ პროცესებში გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება აღიარებულია საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებითა და საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტის როლი გაძლიერდეს კონფლიქტების პრევენციისა და მართვის პოლიტიკის გენდერული მეინსტრიმინგის თვალსაზრისით.

#### **რეკომენდაცია:**

- ▶ რეკომენდებულია, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ:
  - (i) შეიმუშაოს **სპეციალური სახელმძღვანელო ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში პარლამენტის როლის შესახებ**;
  - (ii) საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით (კერძოდ, ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი უწყების – გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან თანამშრომლობით) განახორციელოს **სიტუაციის სიღრმისეული ანალიზი** ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით (სახალხო დამცველის ოფისი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ქალთა სათემო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები), იმისთვის რომ

გამოვლინდეს ქალების და კაცების საჭიროებები შესაბამის სფეროებში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინტერვენციებისთვის, მათ შორის, კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული დამატებითი სირთულეების დასაძლევად;

(iii) საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ თავის **სამოქმედო გეგმაში შეიმუშაოს სპეციალური თავი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე**, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ამ მიმართულებით შესასრულებელი აქტივობები საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში, ერთი მხრივ, **საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და განვითარების**, ხოლო, მეორე მხრივ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე **ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის კონტროლის** მიმართულებით.<sup>259</sup>

## **დ. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული დამატებითი სირთულეები და მათი დაძლევის გზები უსაფრთხოების, სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ჭრილში**

პანდემიასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა გაამწვავა **ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის** პრობლემა, ვინაიდან მოხდა მოძალადისა და მსხვერპლის ერთ სივრცეში ხანგრძლივი იზოლირება, მძიმე ეკონომიკური და სოციალური პირობების გამო, კიდევ უფრო გართულდა ძალადობისგან თავის დაღწევა. ოჯახში ძალადობის გაზრდილი რისკები ასევე გამოიხატა პანდემიასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ძალადობის სპეციფიკურ ფორმებში (მაგ. ექიმთან ვიზიტის და ტესტირების სერვისთან წვდომის შეზღუდვა და ა.შ.)

კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო გართულდა **ჯანდაცვის სერვისებზე, ბაზისურ მედიკამენტებსა და კონტრაცეფციაზე ხელმისაწვდომობა**. **ოკუპირებულ აფხაზეთში**, ასევე, პრობლემას წარმოადგენდა **ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის სერვისის** მიღება, რაც პანდემიამდე შესაძლებელი იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

პანდემიის პერიოდში **ინტერნეტზე წვდომის პრობლემამ** დამატებითი გამოწვევები წარმოშვა როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ისე გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, სადაც ინტერნეტის ხარისხისა და მასზე ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა ისედაც იდგა. შესაბამისად, პრობლემა შეიქმნა კოვიდ-19-ის ინფექციის პრევენციასა და მართვასთან დაკავშირებულ **ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის** თვალსაზრისით, განსაკუთრებით – შუახნის და უფროსი თაობებისთვის. პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შესახებ ინფორმაციას გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მოსახლეობა, ძირითადად, ერთმანეთისგან იღებდა.

<sup>259</sup> გენდერული თანასწორობის საბჭოს კომპეტენციების შესახებ: საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 12 (1)

პანდემიით განპირობებულმა შეზღუდვებმა გაართულა მუნიციპალურ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა და გააძვირა გადაადგილება.

კოვიდ-19-ის პანდემიამ მძიმედ იმოქმედა კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შემოსავლის წყარო შეუწყდათ ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებ ქალებს, რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არაფორმალურ ეკონომიკურ საქმიანობას ეწეოდნენ. ასევე, იმ ქალებს, რომლებიც დამოკიდებულნი იყვნენ საქართველოს მიერ გაცემულ პენსიებსა და დევნილთა შემწეობებზე. გაუარესდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური მდგომარეობაც, ვინაიდან ისინი, ძირითადად, ჩართულნი იყვნენ ისეთ სფეროებში (მცირე ბიზნესი, მომსახურების სფერო), რომლებიც პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა განსაკუთრებით დააზარალა.<sup>260</sup>

#### რეკომენდაცია:

- ▶ რეკომენდებულია პანდემიის გავლენის შესწავლა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მდგომარეობაზე კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაში (გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დევნილების კომპაქტურ დასახლებებში) და საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების, ასევე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ეროვნული სამოქმედო გეგმების ფარგლებში;
- ▶ რეკომენდებულია, შემუშავდეს ჯანდაცვის სერვისებსა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პანდემიასთან მორგებული მიდგომები გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებსა და დევნილების კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები ქალებისა და გოგონებისთვის, მათ შორის, ინტერნეტსა და ტრანსპორტზე ფიზიკური და ფინანსური წვდომის თვალსაზრისითაც;
- ▶ რეკომენდებულია, კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პროგრამების შემუშავებისას შესწავლილი იყოს კონფლიქტით დაზარალებული გოგონებისა და ქალების, დევნილი გოგონებისა და ქალების, ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა განსაკუთრებული საჭიროებები და აღნიშნულ პროგრამებში საპასუხო ზომები სათანადოდ იყოს ინტეგრირებული.

<sup>260</sup> კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული სირთულეების შეფასება ეფუძნება სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშს „Covid-19 პანდემიის გავლენა კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგონებზე“, 2021.